# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 25 იანვარი, 2008 წელი.

№ 14 (5872)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


რა იქნება ხვალ?



2

## ცვლილებები უცვლილებოდ

4

## მსურდა ჩემი ხალხისთვის უქამო ქამი მიმელოცა...



## ჩემთვის ეს ხელისუფლება 7 ნოემბერმა მთლიანად გადახაზა



3

11

## „სამეული“ ამიერკავკასიაში მიემგზავრება



## დვაწლი მსოფლიოს წინაშე

8

## ედუარდ შევარდნაძე – 80

დღეს ევროპა ხაფანგშია, ეს აშკარაა. თანაც რუსეთთან ურთიერთობა გაუარესდება, რადგან კოსოვოს გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებას, რომელსაც ევროპა მხარს დაუჭერს, იდეგენ გაეროს რეზოლუციებისა და ნების საწინააღმდეგოდ

12

## ევროპის მოთვინიერება



## უმძიმესმა გადასახადებმა ხალხი წელში გაწყვიტა



6

დენისა და გაზის ტარიფები მართლა გაორმაგდა?



5

## ეი, მეთიუ, ერთი აქეთ მოიხედე, ყმაწვილო!

## ხელისუფლების მამზავენილი ტრაქტორები მუდმივად გამგებლების ეზოებში დგანან

9

# სახელმწიფო

● **დიდი ცვლილებების წინაშე დგას საქართველო. ჯერ „პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი“ შეიცვალა „პრეზიდენტით“, ახლა მინისტრთა კაბინეტი უნდა შეიცვალოს, თანაც ამ ცვლილებას ე.წ. „სტრუქტურული ცვლილებები“ უნდა მოჰყვეს**



## ◉ რა იქნება ხვალ?

# ცვლილებები უცვლილებოდ

**დიდი ცვლილებების წინაშე დგას საქართველო. ჯერ „პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი“ შეიცვალა „პრეზიდენტით“, ახლა მინისტრთა კაბინეტი უნდა შეიცვალოს, თანაც ამ ცვლილებას ე.წ. „სტრუქტურული ცვლილებები“ უნდა მოჰყვეს. საარჩევნო კანონიც შესაცვლელია, ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ერთად. მერიაშიც ხორციელდება ცვლილებები. თბილისის რაიონების გამგეობებშიც და სამხარეო ხელმძღვანელობებშიც.**

ბუნებრივია, „ზედა რგოლებში“ ცვლილებებს, ჯერ „საშუალო“, შემდეგ კი „ქვედა რგოლებში“ მოჰყვება ცვლილებები. მოკლედ, დიდი „ჟრიამულია ატეხილი“ პარლამენტისა თუ კანცელარიის კულუარებში.

როდესაც ოჯახის უფროსი სახლში ავეჯის შეცვლას გადაწყვეტს, ძველი ავეჯი ან აგარაკზე მიაქვს (ანუ სახელისუფლებო ენით რომ ვთქვა, „დააქვეითებს“ძ, ან სარდაფში ინახავს (გადაიყვანს კადრების განკარგულებაშიძ, ან გადაყრის (ეს იმ შემთხვევაში, თუ საერთოდ აღარ ვარგა, ან იმდენი საშუალება აქვს, რომ საკუთარ თავს ამის ფუფუნება მისცესძ.

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაში მიმდინარე ცვლილებები ძალიან ჰგავს „ავეჯშეცვლილ“ ოჯახს, მაგრამ ერთი მცირე განსხვავებით. როდესაც ოჯახში ახალი ავეჯი შემოდის, ის უფრო კომფორტული, ახალი და გამოსადეგია.

ბევრი რომ არ ვილაპარაკო, დიდი არაფერი „ცვლილება“ არ განხორციელებულა. უბრალოდ ზოგიერთი ძველი „სკამი“, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებში „ვერ გაამართლა“, შეიცვალა იგივე „ფირმის“, ოღონდ უფრო „გაპრიალებული სკამით“. არც „მოდელი“ და არც „დანიშნულების ადგილი“, ანუ ისევ სახელისუფლებო ენით, რომ ვთქვა „პოლიტიკური კურსი“ არ შეცვლილა.

არადა როგორ ველოდით!

რომელიმე სკეპტიკოსი მკითხველი იკითხავს: რას ელოდით ასეთსო?

გიპასუხებ, ჩემო მკითხველო: რას ველოდით და ძალოვან სტრუქტურებში, სასამართლო ხელისუფლებაში, საფინანსო-ეკონომიკურ ბლოკში ძირეულ, იდეოლოგიურ ცვლილებებს. ველოდით, რადგან ჩვენ ხომ ჩვეულებრივი, გულუბრყვილო ქართველები ვართ.

რა დასამალია და, რამდენიმე კარგი საქმე მართლაც გაკეთდა. ამ საქმეთაგან ყველაზე ღირსეული ის ამნისტიები და შეწყალებებია, რომლებსაც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა მოაწერა ხელი. უამრავი ადამიანი დაუბრუნდა ოჯახებს და ბევრსაც იმედი გაუჩინა.

ძალიან კარგია, როდესაც სახელმწიფო კეთილ ნებას იჩენს და დიდსულოვნად იქცევა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ციხეში მოხვედრილ ადამიანს არა საპრეზიდენტო არჩევნების, არამედ სამართლიანი, დამოუკიდებელი და თავისუფალი სასამართლოს იმედი ჰქონდეს.

როგორი სახის ცვლილებებს ველოდი ამ სტრუქტურებში?

ერთი მაგალითის მოყვანით შევეცდები ავხსნა ის ცვლილებები, რომლებსაც ველოდი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ისევ ველოდები.

გასული წლის 7 მაისს საშინელი ტრაგედია მოხდა თბილისის №66 საჯარო სკოლაში. ამ სკოლის მოსწავლეებს შორის მომხდარი ჩხუბის დროს ცეცხლსასროლი იარაღით დაიღუპა ერთი ახალგაზრდა. ზედმეტია იმის თქმა, რომ ნებისმიერი ადამიანის და განსაკუთრებით პატარა ბიჭის სიკვდილი საშინელებაა, გამოუსწორებელი უბედურება, მაგრამ არანაკლები დანაშაულია გამოძიების დროს დაშვებული შეცდომები.

ამ დანაშაულში ბრალდებულ ბაჩო სირაძის ადვოკატის მიერ სააპელაციო სასამართლოსადმი მიწერილ საჩივარში ნათქვამია, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიება ჩატარებულია ცალმხრივად, არაობიექტურად და უხარისხოდ. მთელი რიგი მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენისას კი ძალიან არაპროფესიულად და წინასწარი გამოძიების მხრიდან ხშირ შემთხვევაში — უპასუხისმგებლოდ, რამაც გამოიწვია ბაჩო სირაძის ქმედებისთვის არასწორი იურიდიული შეფასების მიცემა.

სასამართლომ დაარღვია ის მოთხოვნები, რომლითაც განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენის გამოტანისას არ განხილულა ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, არ იქნა შესწავლილი დანაშაულის ჩადენის მოტივი და არ იქნა შესწავლილი მოწმეთა ჩვენებები.

იმ კითხვას, თუ რას ელოდება საქართველოს მოსახლეობა დაპირებული ცვლილებებისაგან, საკმაოდ მარტივი პასუხი აქვს. საქართველოს მოსახლეობა ელოდება ისეთ სასამართლოს, რომელიც არ დაუშვებს მსგავს შეცდომებს. პასუხგაუცემელს არ დატოვებს არანაირ კითხვას და იხელმძღვანელებს სამართლიანობის პრინციპებით.

მე ვერ გავაკეთებ ამ დანაშაულის იურიდიულ შეფასებას, რადგანაც არ ვარ კომპეტენტური, მაგრამ ერთი კი ნათელია: სასამართლომ არ უნდა წაართვას სამართლიანობის რწმენა არც ბაჩო სირაძის მშობლებს, არც მის თანატოლებს და, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ბაჩო სირაძეს.

ვნახოთ. ისე კი გვპირდებიან სასამართლოში დიდი ცვლილებები იქნებაო.

ოპოზიციაც დიდი ძვრების და ცვლილებების რეჟიმში ცდილობს ცხოვრების გაგრძელებას.

ორი მიმართულებით მიდის მუშაობა. პირველი მიმართულება ცენტრალური საარჩევნო კომისია და საარჩევნო კანონია. მეორე მიმართულება — „საზოგადოებრივი მაუწყებელი“.

ორივე მიმართულება „რომისკენ“, ანუ პარლამენტისკენ მიდის.

წესით ორივე ცვლილებამ ე.წ. „სახელისუფლებო რესურსი“ უნდა შეამციროს.

ძალიან დაძაბულ რეჟიმში მოუწევს შრომა ოპოზიციას. აქაც ორ „ფრონტზე“ იქნება ბრძოლა: გარეთ — ხელისუფლება, შიგნით — პირადი ამბიციები.

ხელისუფლებასთან ბრძოლაში, ოპოზიციას ხალხის მხარდაჭერა მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ ისინი ერთიანობას შეინარჩუნებენ. გიგა ბოკერიას მიერ რუსთავი 2-ისთვის მიცემულ კომენტარში ჩანდა, რომ ხელისუფლება მზად არის არა მხოლოდ „კაკალი გააგდოს“, არამედ უფრო სერიოზულ „შეთანხმებებზეც“ წავიდეს (ძალიან არ უნდოდა ბატონ გიგას სიტყვა „დათმობის“ თქმა, მაგრამ წამოსცდა და შემდეგ სიტყვა „შეთანხმებით“ შეცვალა).

ოპოზიციის ერთიანობისკენ მიმავალი გზა კი „პირად ამბიციებზე“ გადის.

ეს ნამდვილად დიდი გამოცდაა. ნებისმიერმა პოლიტიკოსმა იცის, რომ ერთიანი ოპოზიციური სპექტრიდან ამოვარდნა პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასია, მაგრამ ყველა პოლიტიკოსს „საკუთარ პარტიებში“ ჰყავთ სხვადასხვა სახის „მდივნები“, სამხარეო, თუ რეგიონული ორგანიზაციების ლიდერები, ანუ „პატარა პარტ-ჩინოვნიკები“, რომელთა გარეშეც ვერც ერთი პარტია ვერ იარსებებს და რომლებსაც გარკვეული ამბიციები აქვთ.

სწორედ ეს „ბირთვებია“ საშიში ერთიანობის შენარჩუნების პროცესში.

რატომ?

ახლავე მოგახსენებთ.

გავიხსენოთ ის პროცენტები, რომლებიც საპრეზიდენტო კანდიდატებმა მიიღეს 5 იანვრის არჩევნების დროს.

100 პროპორციული ადგილიდან 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის შემთხვევაში პოლიტიკური ძალა სულ მცირე 5 ადგილს ღებულობს. თუ ხელისუფლებამ ისევ ისე „ივაჟკაცა“, ოპოზიციას პარლამენტში 46 ადგილი ერგება. მაგრამ ხელისუფლების ის ნაწილი, რომელთა არა მხოლოდ მატერიალური მდგომარეობა, არამედ მომავალიც, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, საკმაოდ ბუნდოვნად ჩანს, „ვაჟკაცობას“ გაათკეცებენ.

მათგან განსხვავებით ოპოზიციური ძალები ერთმანეთის „ხმებზეც“ დაიწყებენ „ნადირობას“. თუ აქამდე მთავარი იყო სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ ბრძოლაში ოპოზიციური პარტიები „ერთსულოვანნი“ იყვნენ და ერთმანეთის კანდიდატებს „არ ერჩოდნენ“, საპარლამენტო არჩევნებისას სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება.

როგორც ცნობილია, ამომრჩეველი იყოფა ორ ნაწილად. ერთნი მხარს უჭერენ ხელისუფლებას, მეორენი — ოპოზიციას. იმის შანსი, რომ ან ხელისუფლებამ გადაიყვანოს „თავის ჭკუაზე“ სალარო აპარატის დადგმის პერსპექტივით შეშინებული რომელიმე ინდმეწარმე, ან ოპოზიციამ გადაიბიროს რომელიმე რაიონის გამგებელი, ძალიან მცირეა. აქედან გამომდინარე, თუ ხელისუფლებას მაინც რჩება შანსი რაღაც დაპირებებითა და „შეჩვეული ჭირის“ პრინციპით გაზარდოს თავისი ელექტორატი, ოპოზიციურ პარტიას „დასათრევად“ მხოლოდ სხვა ოპოზიციონერი პარტიის ამომრჩეველი რჩება.

არის კიდევ ერთი საკმაოდ სერიოზული პრობლემა: შიდა პარტიული ბრძოლა სიაში გამსვლელი ადგილების დასაკავებლად.

თუ ხელისუფლება და „მარტოხელა“ პარტიები შიდა ბრძოლისგან დაზღვეულნი არიან (იქ ლიდერი წყვეტს ყველაფერსძ, „ერთიანი სახალხო მოძრაობა“ საკმაოდ დიდი გამოცდის წინაშე დგება.

ლევან გაჩეჩილაძის მიერ მიღებული 26 პროცენტი (ის ოფიციალური ციფრი, რომელიც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დააფიქსირა, თორემ მეტი რომ იყო, ყველამ კარგად ვიცითძ მხოლოდ 26 მანდატია. „ერთიან სახალხო მოძრაობაში“ შემავალი 11 სუბიექტისთვის ეს ციფრი ძალიან ცოტაა. ე.ი. თითოეულ სუბიექტზე 2,3 ადგილი გამოდის. ესეც იმ შემთხვევაში, თუ „ძმური“ გაყოფა მოხდა. ასეთ დროს კი უეჭველად წამოაყენებენ პრეტენზიებს ის პარტმუშაკები, რომლებზეც ზემოთ ვამბობდი. მათი პრეტენზიები სრულიად გამართლებულია, რადგანაც ყოველგვარი ფინანსური ანაზღაურების გარეშე, მათზე გადადის არა მხოლოდ მთელი „შავი“ სამუშაო, არამედ ხელისუფლების მხრიდან გარკვეული ზეწოლებიც.

ე.წ. „ერთკაციანი“ და იდეოლოგიური ნიშნით ჩამოყალიბებული პარტიების ლიდერებს ამ სიტუაციიდან გამოსვლის საშუალება ასე, თუ ისე, მაინც აქვთ (იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასეთი პარტიები ერთნაირი შეხედულებების ადამიანებისგან შედგებაძ, მაგრამ მათ მაინც მოუწევთ გარკვეული წინააღმდეგობის დაძლევა თავიანთი „შიდა ლიდერების“ წარმოჩენის პროცესში.

დიდი გამოცდისა და დიდი ცვლილებების წინაშე მოუწევს დადგომა ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც. ხელისუფლებას იმიტომ, რომ მის მიერ განხორციელებულმა ძვრებმა მოსახლეობა კი არ უნდა გაალიზიანოს, არამედ დაანახოს, რომ „ცრემლები“ ფუჭი არ იყო. ოპოზიციას კი მოუწევს ერთიანობის შენარჩუნება და პირადი ამბიციების ოდნავ „გვერდზე ჩაჩოჩება“.

რიგითმა მოქალაქეებმა რაღა ვქნათ?

არაფერი ისეთი. დაველოდოთ ცვლილებებს და მუდმივი კონტროლის ქვეშ ვიყოლიოთ ორივე მხარე, რათა ნამდვილი ცვლილებები მოხდეს ამ ქვეყანაში.

**გია გაბრიჭიძე**

## ◉ კადრები

# დავით ბაქრაძეს თემურ იაკობაშვილი შეცვლის

**კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევების ფონდის ხელმძღვანელმა თემურ იაკობაშვილმა შეცვალოს.**

არსებული ვერსიით, იაკობაშვილმა საქართველოს პრეზიდენტთან კონსულტაციები უკვე გაიარა.

სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევების ფონდის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება სწორედ ეთნო და სხვა სახის კონფლიქტების კვლევაა. ფონდის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორმატში, აფხაზურ და ოსურ მხარეებთან შეხვედრებშიც მონაწილეობენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრად კი, შესაძლოა, პოლიტოლოგი გია ნოდია დაინიშნოს.

სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, ამის შესახებ გადაწყვეტილება თითქმის მიღებულია, თუმცა, მთავრობის კანცელარიაში მინისტრების თანამდებობებთან დაკავშირებით კონსულტაციები კვლავ მიმდინარეობს.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე აქამდე ირინა ქურდაძისა და მაია ფანჯიკიძის კანდიდატურები სახელდებოდა, თუმცა, ბოლო დრომდე მათზე გადაწყვეტილება არ იყო მიღებული. რაც შეეხება მოქმედ მინისტრ მაია მიმინოშვილს, იგი, სავარაუდოდ, კვლავ ძველ პოსტს — შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობას დაუბრუნდება.

უშიშროების საბჭოს ამჟამინდელი მდივანი ალექსანდრე ლომაია, გავრცელებული ინფორმაციით, ინგლისში საქართველოს ელჩი გახდება.

აქამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ცვლილება არ შეეხებოდა იუსტიციის მინისტრ ეკა ტყეშელაშვილს, თუმცა, ცნობილი გახდა, რომ საკადრო გადაადგილება, შესაძლოა, მასაც შეეხოს და ევროსაბჭოში საქართველოს ელჩად დაინიშნოს. ამ პოსტზე გიგა ბოკერია მოიაზრებოდა, თუმცა, სავარაუდოდ, იგი პარლამენტში დარჩება.

**ინტერპრესნიუსი**

№ 14. პარასკევი, 25 იანვარი, 2008 წელი.

**დღეს ქართველი ხალხი პოლიტიკით ცხოვრობს, ძალზე პოლიტიზებულია. მიხეილ სააკაშვილმა ინაუგურაციის ცერემონიალზე განაცხადა, დღეს დაპირისპირების დრო არ არისო, მაგრამ უდავოა, შერიგება უსამართლობისა და გაურკვევლობის ფონზე, გართულდება. სამწუხაროდ, ამ ვითარებაში საზოგადოებრიობის ნაწილი სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდა**



**შეფასება**

# ქეთი დოლიძე: ჩემთვის ეს ხელისუფლება 7 ნოემბერმა მთლიანად გადახაზა, საქართველოში ფარაონიზმი არ მოისპობა

*დღეს ქართველი ხალხი პოლიტიკით ცხოვრობს, ძალზე პოლიტიზებულია. მიხეილ სააკაშვილმა ინაუგურაციის ცერემონიალზე განაცხადა, დღეს დაპირისპირების დრო არ არისო, მაგრამ უდავოა, შერიგება უსამართლობისა და გაურკვევლობის ფონზე, გართულდება. სამწუხაროდ, ამ ვითარებაში საზოგადოებრიობის ნაწილი სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდა.*

*რა განმუხტავს ამ სიტუაციას? როდემდე გააგრძელებს ბრძოლას ოპოზიცია? ამ საკითხებზე და შექმნილ ვითარებაზე რეჟისორი ქეთი დოლიძე გვესაუბრა:*

**— თქვენ ოპოზიციის მებრძოლი მომხრე ბრძანდებით. რამ განაპირობა თქვენი ასეთი პოზიცია?**

— ჩემთვის პირველი ძალზე შემაშფოთებელი და ტრაგიკული ზარი ზურაბ ჟვანიას სიკვდილი იყო. ამის თაობაზე დღესაც ბევრი კითხვის ნიშანი მაქვს, რომლებზეც პასუხი არ გაცემულა. მერე იყო სანდრო გირგვლიანის ამბავი, როდესაც პრეზიდენტს ღია წერილი მივწერე, მაგრამ მის გარდა, ასეთ წერილებს ყველა კითხულობს. მერე იყო სასამართლო სისტემის სრული გაქრობა. აბსოლუტურად შეუიარაღებელი თვალით ჩანს, რომ ეს სასამართლო მართულია მხოლოდ ტელეფონით. ამაზე უცხოელებიც წერენ და ეს მხოლოდ ჩემი შეხედულება არ არის. ვერ წარმომიდგენია, ქვეყანაში, რომელშიც პრეზიდენტი იურისტია, იმ სახელმწიფოში, რომელიც ამტკიცებს და თავს იკლავს დემოკრატიისთვის, სამართალი არ იყოს. თუ მართალი ხარ, სასამართლოში საქმის მოგება, არ არსებობს. ამ ყველაფრის საშინელი, შავი გვირგვინი 7 ნოემბერი იყო. ლოგიკურია ის ფაქტი, რომ 2 ნოემბერს გამოსული ხალხი ღირსების არანორმალურ შელახვას აპროტესტებდა. ახლა ამბობენ, გამოვასწორებთო, მაგრამ შეიძლება ადამიანი ასაკის გამო ოთხი წელი შეურაცხყო, სამსახურიდან გააგდო, პროფესიონალები მოსპო, ოთხი წლის მერე კი, როცა შენს ხელისუფლებას საშიშროება დაემუქრება, მაშინ მიხვდე, რომ შეცდომებია დაშვებული? ამდენ შეურაცხყოფას როგორ ჩამორეცხავ? მიხეილ სააკაშვილი იბარებს და ხვდება მათ, ვინც მისი მაამებელია და მხარდამჭერია. რომელ ოპოზიციას ხვდება და რომელ ხელის გაწვდენაზეა ლაპარაკი? ჩემთვის ეს ხელისუფლება 7 ნოემბერმა მთლიანად გადახაზა, რადგან აბსოლუტურად არანორმალური იყო ის, რაც მათ ჩაიდინეს.

**— დღეს ინტელიგენციისა და ხელოვანთა ნაწილი სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდა. რატომ მოხდა ასე?**

— აღვშფოთდი და წინ აღვუდექი უსამართლობას, ღირსების შელახვას და ტყუილს. ისინი რატომ აღმოჩნდნენ სხვა მხარეს, არ ვიცი. მაინტერესებს, ჩემი კოლეგებიდან, რომლებიც რაღაც წერილებს აწერენ ხელს, ვინ მოაწერს ხელს იმას, რაც 7 ნოემბერს მოხდა? ვფიქრობ, ყველა ადამიანი, რომელმაც ეს საშინელება გაამართლა, თვითონ არის ამის ჩამდენი. უკმაყოფილების კიდევ ერთ მიზეზად სწორედ ხელისუფლება აღმოჩნდა ვინც ხალხი სხვადასხვა მხარეს დააყენა.

**— როგორ ფიქრობთ, საზოგადოებრიობაში რამდენადაა გამეფებული კონფორმიზმი?**

— პირველად ზვიად გამსახურდიას შევთავაზე თეატრალური ფესტივალის ჩატარება. ამ ფესტივალს სიამოვნებით ჩავატარებდი, მოვლენები ნორმალურად რომ განვითარებულიყო. მაშინაც გაუთავებლად გაიძახოდნენ: „წითელი ინტელიგენცია“, „კრემლის აგენტებიო“, მაგრამ ახლა ეს ყველაფერი ავიწყდებათ. საჭირო არ არის, რომ ადამიანს, რაც არ უნდა ეროვნული იყოს, წმინდანის გვირგვინი დაადგან. რაც 1991 წელს მოხდა, ორივე მხარემ ერთმანეთს დააბრალოს. პირადად მე, ყოველთვის შერიგებისკენ მოვუწოდებდი, ამიტომაც შევქმენი „თეთრი მანდილი“ 1700 ქალთან ერთად ოჩამჩირემდე მივედი, სადაც, ფაქტობრივად ფრონტის ხაზი იყო.

ყველაფერს დიდი წვალებით, წამებით და არგუმენტით ვაკეთებ. ყველაფერს კი ჩემი ოჯახის, შვილების კეთილდღეობა ეწირება. ასე რომ, „ხელდასხმული“ არც ერთი ხელისუფლების დროს არ ვყოფილვარ.

**— ოპოზიციის ზოგიერთი წევრი რუსეთის აგენტად და მტრად გამოცხადდა. რატომ?**

— ახლა ლაპარაკობენ, გოგა ხაინდრავა მოღალატეაო. იგი პირველია, ვინც ზვიად გამსახურდიასთან იყო. მის ოჯახში ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა გაიზარდნენ. მათ ყველაზე დიდი დისიდენტური გაკვეთილები სწორედ გოგას მამის, ლევან ხაინდრავასგან მიიღეს. თუ ამაზე მიდგა საქმე, ამ ხელისუფლების წარმომადგენლები ედუარდ შევარდნაძის გუნდში არ იყვნენ? „მოქალაქეთა კავშირის“ წევრი არ ვყოფილვარ, მაგრამ ამის მიუხედავად, ვცდილობდი, მხარდამჭერი ვყოფილიყავი. მესმის მათიც, ვინც თანამდებობებზე არიან, ემსახურებიან იმას, რასაც ემსახურებიან. კონფორმიზმია ეს, აბა რა არის? ასე რომ, ყველა მთავრობასთან ზუსტად ორი წელი ოპოზიციაში აღმოვჩნდი, ისე, როგორც ყოველთვის უნდა იყოს ინტელიგენცია. ინტელექტუალების ყველაზე მთავარი მოთხოვნა და შეკვეთა ეს უნდა იყოს: თუ ქვეყანაში რაღაც ისე არ ხდება, ამაზე სწორედ საზოგადოებრიობის მოაზროვნე ნაწილმა უნდა ამოიღოს ხმა.

**— ოპოზიცია ფარ-ხმალს არ ყრის და ბრძოლას აგრძელებს...**

— არც შეწყვეტს. რამდენიმე ქვეყნის დამკვირვებელმა თქვა, ვიცით, რომ დარღვევები იყო, მაგრამ ამერიკას და ევროპას ახლა ხელს აძლევს მიხეილ სააკაშვილი, ამიტომ ჩვენ ამაზე თვალს დავხუჭავთო. მათ ზუსტად ასე თქვეს.

**— თქვენ სად ხედავთ გამოსავალს? რა განმუხტავს ამ სიტუაციას?**

— ერთადერთი გამოსავალი იქნება ის, რომ ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდეს. ამას როგორ გააკეთებს ხელისუფლება, არ ვიცი, მაგრამ სასამართლო და მედია აუცილებლად უნდა გათავისუფლდეს. „რუსთავი-2“-ისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ყურება არ შემიძლია. მართალია, ეს ტელეარხები რაღაცას აშუქებენ, მაგრამ ისინი ხელისუფლების მიერ მართული არიან.

მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტად თავი თავად აღიარა და მსოფლიოსაც აღიარებინა. დღეს ამერიკის და ევროპის ყველაზე დიდი შეცდომა, ამ არჩევნების ლეგიტიმურად ცნობაა. ეს მათ აუცილებლად ბუმერანგივით დაუბრუნდებათ, რადგან ეს მთავრობა ჭკუას არ ისწავლის.

ბევრი რამ კარგიც გაკეთდა — ერთი მხრივ, ისტორიული ძეგლების აღდგენა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვა... მეორე მხრივ, აღმაშფოთებელია რაც, მაგალითად, ფეხბურთის ფედერაციაში მოხდა. ეს ზნეობაა? სახელმწიფო და მინისტრები ფედერაციის საქმეში რომ ერევიან, განა ეს უკან გადადგმული ნაბიჯი არ არის?

ნახეთ ჩემი სპექტაკლი „ვაჟა-ფშაველა“, რომელიც ნახევარი წლის წინათ დავდგი. არც მაშინ იყო ოპოზიცია გაერთიანებული. ვაჟა-ფშაველას ენით ჩემი სათქმელი გამოვხატე და ყოველთვის ამას ვაკეთებ.

**— ინტელიგენციის დამოკიდებულების თვალსაზრისით, რა განსხვავებაა ამ ხელისუფლებასა და შევარდნაძის რეჟიმს შორის?**

— ერთი დიდი განსხვავება ის არის, რომ ედუარდ შევარდნაძე ინტელიგენციასთან მიდიოდა, და არა — პირიქით. ის ინტელიგენციას თავად ეძახდა.

ქვეყანას დღესასწაულებს ვჩუქნი, როგორიცაა მიხეილ თუმანიშვილის თეატრი, რომელიც ედუარდ შევარდნაძის დახმარებით, მაგრამ ჩემი მოფიქრებული ხერხით შეიქმნა. მისი დღევანდელი დირექტორის შეურაცხყოფის გარდა, იქიდან არაფერი მიმიღია. ფესტივალ „საჩუქარზე“ გამოყოფილი თანხა ყოველთვის შეურაცხყოფასა და განადგურებასთან იყო დაკავშირებული, ეს მაშინ, როცა მოგონილ ფესტივალებზე ფულები იყრება. როცა ფულს ხოსე კარერასს უხდი, მესმის, მაგრამ როცა რუსლანასა და შაკირას უხდი ფულს, ეს არ მესმის. ვფიქრობ, ჩვენ იმ დონეზე არა ვართ, როგორც „პური და ცირკი“. ჩვენ კი გარშემო სწორედ ცირკი გვაქვს მოწყობილი.

ჩემი აზრით, ეს საარჩევნო კამპანია არ იყო. ეს არგადამდგარი პრეზიდენტის საქართველოში წინასაარჩევნო მოგზაურობა იყო. მათიას იორშმა პირადად მითხრა, ნუ გეშინიათ, მიხეილ სააკაშვილი გამოსწორდებაო.

**— თქვენ გჯერათ, რომ მიხეილ სააკაშვილი გამოსწორდება?**

— რას ჰქვია გამოსწორდება? ეს კოლონიაა თუ რა არის? მაინტერესებს, ევროპა მიხეილ სააკაშვილს როგორ ინსტრუქციას მისცემს. ბაგრატის ტაძრის აღდგენა ჯერ კიდევ ოთარ ლითანიშვილის დროს დაიწყო. ეს პროექტი კი 8 წლის წინათ დიდი არქიტექტორის ირაკლი ციციშვილის შედგენილია.

მიხეილ სააკაშვილი ერთი და იმავე ადამიანებს ხვდება, რომლებიც ხან დავით აღმაშენებელს ადარებენ, ხან კი — სხვას. საქართველოში ფარაონიზმი არ მოისპობა.

არც ერთ პარტიაში არა ვარ, მაგრამ მე ქეთი დოლიძე ვარ, რომელსაც გამორჩეული აზრი მაქვს. მანახეთ ჩემს გარდა სხვაც, რომელმაც ვლადიმერ პუტინს წერილი მისწერა, მაშინ, როცა ემბარგო დაიწყო. ემბარგოც ამ ხელისუფლების ბრალი იყო, რადგან არ შეიძლება იმხელა ქვეყნის პრეზიდენტს კნინობითი სახელი უწოდო და არც ის უნდა თქვას რომელიმე მინისტრმა რუსები თავის ფეკალიებს სვამენო. ახლა ვიწყებთ რუსებთან ურთიერთობას, ნულიდან?

მე რომ მკითხოთ, არაოფიციალური ელჩი ვარ საქართველოსი რუსეთში და პირიქითაც. ამ ყველაფერზე მიხეილ სააკაშვილს წერილი მივწერე, ის რომ ჩემნაირების წერილებს კითხულობდეს, უკეთესად ექნებოდა საქმე.

**ესაუბრა**
**მაია ხორგუაშვილი**

**ცესკო უარყოფს**

# ოპოზიციის საჩივრების უმეტესობას დოკუმენტურად დაუსაბუთებლად მიიჩნევენ

*ცენტრალური საარჩევნო კომისია საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო შედეგს დღეს გამოაქვეყნებს. ამის მიუხედავად, პრეზიდენტ სააკაშვილის ინაუგურაცია უკვე შედგა. ბუნებრივია, ცესკოს დასკვნები არაფერს შეცვლის, თუმცა საგულისხმოა, რომ ცესკო ეუთომ სწორედ დასკვნის შედეგების დაგვიანების გამო გააკრიტიკა.*

*ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ოქმები ჩასწორებული, შეცვლილი და გაყალბებულია, რაზეც ცესკოში საკუთარი არგუმენტები აქვთ. ვესაუბრეთ საოქმო სარეგისტრაციო სამსახურის უფროსს ლიზი ველიძეს.*

**— ოპოზიციის ეროვნულ საბჭოში ირწმუნებიან, რომ შედეგების შეჯამების შემდეგ ოქმები გადაასწორეს. ცესკოს ოქმების 01 და 02 ეგზემპლარი კი ერთმანეთისაგან განსხვავდება. მაგალითად, ბათუმის მე-11 უბანზე, 01 ოქმის მიხედვით, სააკაშვილს 175 ხმა აქვს, ხოლო გაჩეჩილაძეს — 277 ხმა, 02 ოქმის მიხედვით კი სააკაშვილს — 755 ხმა აქვს, ხოლო გაჩეჩილაძეს 129. ხმების მატება, ალბათ, შესაძლებელია, მაგრამ ხმის მოკლება შეიძლება?**

— არავინ არ ლაპარაკობს ფაქტებით. ოფიციალურად დოკუმენტი ამის თაობაზე არავის წარმოუდგენია და ამიტომ, ჩვენ გამოძიების საშუალება არა გვაქვს.

**— 01 ოქმი, რომელიც ვახსენე, ასეთი მონაცემებით თქვენს ვებგვერდზე არსებობს?**

— არ არსებობს.

**— მაშინ დედანი ოპოზიციას საიდან ექნება?**

— წარმოდგენა არ მაქვს. ეს უბანი გასაჩივრდა, მაგრამ სარჩელი სასამართლომ არ დააკმაყოფილა. ამ უბნის მხოლოდ 02 ოქმი არსებობს.

**— 01 ოქმი არ არის?**

— არ არსებობს.

იხ. 6 გვ.

№ 14. პარასკევი, 25 იანვარი, 2008 წელი.

# ახლა

● საყურადღებო მაინც ის არის, რომ „ვარდების რევოლუციად“ ხმობილი ეს გადატრიალება სულაც არ იყო ვარდების სურნელის მფრქვეველი, ეს არც იყო „რევოლუცია“, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, რადგანაც მას არ მოჰყოლია რაიმე სტრუქტურული თუ სოციალური ცვლილებები, ძველი რეჟიმის ძირეული გარდაქმნა, არამედ ეს იყო უბრალოდ ხელისუფლების მონაცვლეობა



◉ რადიკალური პოზიცია

*შობა-ახალმა წელმა ჩაიარა. ჩინელები გვაუწყებენ, თაგვის წელიაო. არც აქამდე გვაკლდა მღრღნელები, ახლა კი ერთიანად მოუღებენ ჩვენს ისედაც გაჩანაგებულ მამულს და, რაც თაგუნებს გადაურჩათ, მთლიანად მოუღებენ ბოლოს დროებით განებივრებული კატიჟამია ვირთხები...*

*აგერ უკვე თხუთმეტი წელია საიმედო, შეუბილწავი სიტყვა ვერ მითქვამს ჩემი ხალხისთვის. მსურს, სულიერი სიმშვიდე მივანიჭო, გული დავუამო, მაგრამ მყისვე ერის ჭირისუფლის, დიდი ილიას სიტყვები მახსენდება: რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!*

*მართლაცდა, რა გითხრათ, რით გაგახაროთ?! გვაქვს კი გასახარებლად საქმე?! ვფიქრობ, არა! საწუხარი კი თავზესაყრელია, რამდენიც გნებავთ: თანდათან უკუღმა დატრიალდა ქართველი ერის ბედის ჩარხი, დატრიალდა და ელვისებური სისწრაფით მიექანება უფსკრულისაკენ... სულის შემძვრელი უნდა იყოს ყველა ცნობიერი არსებისათვის ნიჭითა და ჭკუით გამორჩეული ერის სიკვდილის მოახლოება. მაგრამ ასე რომ არ არის!.. თითქმის მთელი ერი საღათას ძილს მისცემია, მშვიდად ფშვინავს, ნირვანაში ჩაძირული ადეპტივით ნეტარების ღიმილი დასთამაშებს... მიქელ-გაბრიელი თავს დასდგომია, შემუსრვას უპირებს, ის კი ყურს არ იბერტყავს, ღმერთი გადაგვარჩენსო, ღმერთის იმედადღა არის დარჩენილი.*



## მსურდა ჩემი ხალხისთვის უქამო ქამი მიმელოცა...

როდემდე, ქართველნო, თქვენი გულარხეინობა?! რამ დაგაჩლუნგათ, რამ ჩაგიკლათ ღირსების გრძნობა?! რამ დაგიბნელათ გონება, რამ გაგიყინათ ერთდროს მჩქეფარე სისხლი?! ნუთუ ვერ ხვდებით, რა უბედურება გვეწევა?! როგორ ზეიმობს ჩვენზე გამარჯვებული უცხო გარემოცვა?! რამ წაგვგვარათ მახსოვრობის უნარი, გარდასული დროის ანალიზის და მომავლის განჭვრეტის ნიჭი?!

ვიცი, არ არის სასიამოვნო, მაგრამ მაინც უნდა გავიხსენო ჩვენი ისტორიის ზოგიერთი სამარცხვინო ფაქტი: ჩვენ თავადვე საკუთარი ხელით გამოვუღადრეთ ყელი საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, რომელიც სამართლიანი ბრძოლითა და გაუყალბებელი არჩევნებით მოვიპოვეთ. დიახ, უცხო ძალების წაქეზებით ქართველმა ქართველის სისხლი დაღვარა და დაამხო კანონიერი, ეროვნული ხელისუფლება...

სწორედ იმ ჟამიდან იწყება საქართველოს დაქცევა და უბედურების უწყვეტი ჯაჭვი: სამეგრელოს ხუთგზის დაუნდობელი რბევა, აფხაზეთის უაზრო ომი, იქიდან ქართველთა ეთნიკური წმენდა, 30 ათასამდე ქართველი ახალგაზრდის სიკვდილი, 300 ათასამდე ქართველის საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილად ქცევა და ფაქტობრივად ჩვენი ძირძველი ტერიტორიის – აფხაზეთის დაკარგვა. ამას მოჰყვა შიდა ქართლის, სამაჩაბლოს გასხვისებაც. მოკლედ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა და დღემდე ამ პრობლემის მოგვარებას პირი არ უჩანს.

არანაკლებ შემაშფოთებელი იყო ქვეყნის შიდა მდგომარეობა: ბოროტება აღზევდა, სიკეთე გაუჩინარდა, უსამართლობამ ფრთები გაშალა: პატიოსან, გულანთებულ პატრიოტებს მოღალატეებად აცხადებენ, აპატიმრებენ და ციხეში ამწყვდევენ. ხელისუფლების მიერ შექმნილ „საძმოებს“ შორის გაჩაღდა ბრძოლა, რამაც უამრავი „საჯიშე“ ახალგაზრდა შეიწირა. მეტიც, საქართველო ბრძოლის ველად გადაიქცა: ხალხმრავალი მიტინგები, რომელიც საოცარი სისასტიკით ირბეოდა, გადაიზარდა შეიარაღებულ დაპირისპირებაში, რამაც კიდევ უფრო დააქცია ქვეყანა. ამას მოჰყვა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სრული გაჩანაგება. დაიწყო ტოტალური უმუშევრობა, საყოველთაო შიმშილი, ფიზიკური კვდომა, ქართველ კაცს, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მყოფს, ჩაუკლეს თავმოყვარეობისა და ღირსების გრძნობა...

ერთხანს ითმინა ხალხმა ყოვლად მიუღებელი უმსგავსოება, ითმინა და მერე, როგორც ხდება ხოლმე, იხუვლა, ქუჩებს გამოეფინა და წინ წამოიწია დევიზი: გაუმარჯოს საქართველოს შევარდნაძის გარეშე! მეტიც, ე. წ. ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა მოახერხეს ხალხისთვის შთაენერგათ განწყობა, რომელიც ასე შეიძლება გავაჟღეროთ: ოღონდაც შევარდნაძე მოვიშოროთ და მის ნაცვლად, ვინც გინდა ის მოგვევლინოს. ასეთი თვალთახედვა არ გახლავთ გონივრული და საფრთხის შემცველია, რადგანაც „ვინც გინდაში“ უარესის მოვლინება უფრო იგულისხმება, ვიდრე უკეთესისა.

ასეც მოხდა: ახლად აფუებულმა ე. წ. ნაციონალურმა მოძრაობამ და მისმა ახლად თავწამოყოფილმა ლიდერმა, რომელიც დარბაისლობით მაინცდამაინც ვერ გამოირჩევა, ისარგებლეს ხალხის ზღვარდაუდებელი უკმაყოფილებით და რუსეთის, „მეგობარი“ ამერიკის ხელშეწყობითა და სოროსის წარმოუდგენელი გულუხვი დაფინანსებით მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება, შემდგომში აშშ-სა და დემოკრატიული თანამეგობრობის მიერ „ვარდების რევოლუციად“ რომ იქნა მონათლული. დიახ, ეს გახლდათ სახელმწიფო გადატრიალება, რომელმაც, მართალია, თითქმის უსისხლოდ ჩაიარა, მაგრამ მას ვერავითარ შემთხვევაში კანონიერად და, მით უმეტეს, „დემოკრატიულად“ ვერ მივიჩნევთ და იგი სამართლებრივ დონეზე უნდა შეფასდეს, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული...

საყურადღებო მაინც ის არის, რომ „ვარდების რევოლუციად“ ხმობილი ეს გადატრიალება სულაც არ იყო ვარდების სურნელის მფრქვეველი, ეს არც იყო „რევოლუცია“, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, რადგანაც მას არ მოჰყოლია რაიმე სტრუქტურული თუ სოციალური ცვლილებები, ძველი რეჟიმის ძირეული გარდაქმნა, არამედ ეს იყო უბრალოდ ხელისუფლების მონაცვლეობა, როცა ერთი უგვანი ხელისუფლება შეიცვალა კიდევ უფრო უარესით, რამაც არათუ გააუმჯობესა ხალხის სავალალო მდგომარეობა, არამედ კიდევ უფრო გააუარესა. სხვაგვარად, გარე, კულისებს მიღმა არსებული ხელისუფლებისა და პლანეტარული იმპერიის შემქმნელი არქიტექტორებისათვის უკვე არასასურველი (სხვათა შორის, რუსეთისთვისაცძ მოხუცი შევარდნაძის ხელისუფლება ჩაანაცვლეს ახალგაზრდა, ენერგიული, გონებადაუმჯდარი მ. სააკაშვილის მთავრობით. ეს არის და ეს.

მართალია, „დემოკრატიული რეფორმების“ ფორმით დაიწყო ქვეყნის ეკონომიკური, სამართლებრივი და სულიერ-კულტურული გარდაქმნა, მათი გაგებით, განვითარება, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო და არის ქართული სახელმწიფოს, ქართული კულტურის, სულიერების, ზნეობის ნგრევა-მოსპობა, რაც ასევე ამ ე. წ. „რევოლუციის“ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა. აი, შედეგიც:

აქ საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. დღევანდელი ხელისუფლების გადამკიდე, თავის უპირველეს მოვალეობად ამერიკის ნების აღსრულება რომ მიაჩნია, საქართველო პოლიტიკურ რუკაზე მოიაზრება აშშ-ს ერთ-ერთ პროვინციად, სადაც უსიტყვოდ და პირნათლად ხორციელდება ამერიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პოსტულატები, რაც სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი რწმენის, კულტურის, ქართული ცნობიერების, მენტალიტეტის, ქართული სახელმწიფოებრიობის და, ბოლოს, ეროვნების მოსპობა.

ბძ დღევანდელი სოროსის ჭიპლარს გამობმული ხელისუფლების მთავარი დანაშაული სწორედ ის არის, რომ ისინი განსაკუთრებული შემართებით შეუდგნენ ამ ვერაგული გეგმის აღსრულებას. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, მთლიანად გააჩანაგეს ქართული ეკონომიკა. მათ იავარჰყვეს კერძო და სახელმწიფო მეურნეობები. არად დაგიდევენ კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას. მეტიც, მათ უთავბოლოდ გაანიავეს ხალხისა და სახელმწიფოს კუთვნილი ქონება. გაყიდეს ქვესკნელი და ზესკნელი, გაყიდეს მიწა, წყალი და ჰაერი, მთა, ტყე და ველი, მდინარეები და ზღვები. გაასხვისეს აეროპორტები, რკინიგზა, წყლის, გაზისა და ნავთობის სადენები. ყიდიან შენობებს, კერძო თუ სახელმწიფო კუთვნილებას. სწორედ ამიტომ მწერლებს წაართვეს დ. სარაჯიშვილის ანდერძით ნაბოძები სასახლე: ჟურნალისტები ქუჩაში გამოყარეს და ძალადობით დაატოვებინეს შენობა, სადაც თითქმის ნახევარი საუკუნეა, კალმოსანთა მთელი კორპუსი იყო თავმოყრილი; კომპოზიტორებს წაჰგვარეს მათი საკსრებით აშენებული დასასვენებელი სახლი, მხატვრებს გამოაცალეს საგამოფენო დარბაზები, მკითხველს – ბიბლიოთეკები, უნივერსიტეტს – კორპუსები, მეცნიერთა აკადემიას – შენობები და მისთ. და მისთ...

მაგრამ ამით როდი დაკმაყოფილდნენ?! მათ მთელი ძალით შეუტიეს სულიერებას. მათ სურთ ამოშანთონ ეროვნული ცნობიერება, გარდაქმნან ქართველი უკაცის აზროვნების სტრუქტურა, მენტალიტეტი. ამ მიზეზით დაანგრიეს ქართული ტრადიციული სკოლა, სადაც სწავლება მეორე პლანზეა გადაწეული, ხოლო ეროვნული ფასეულობებისგან სავსებითაა გამოშიგნული. დააკნინეს უნივერსიტეტების სწავლების დონეც, ღირსეული, ცნობილი მეცნიერები განდევნეს უმაღლესი სასწავლებლებიდან, გააუქმეს კათედრები, სამეცნიერო კერები. სამაგიეროდ იქაურობა აავსეს კმარელი გოგო-ბიჭებით, რომელთა განათლებისა და ცოდნის დონე წულის ნიშნულის ქვემოთ არის, აუქმებენ უმაღლეს სასწავლებლებს, სანაცვლოდ ხსნიან მზარეულების, მიმტანების, დალაქების მოსამზადებელ კურსებს და ამით ამაყობენ კიდეც, თავი მოაქვთ, აი, ეს არის ჩვენი განათლების რეფორმის გვირგვინიო. მათ სურთ მეცნიერების, ხელოვნების, მწერლობის და, საერთოდ, კულტურის მოსპობა. ქართველი ხალხი, დემოგრაფიული კატასტროფის ზღვრამდე რომ მიიყვანეს, მოსამსახურე პერსონალად: მიმტანებად, მზარეულებად და ა. შ. ამზადებენ. თურმე ნუ იტყვით და, მრავალსაუკუნოვანი, მდიდარი ისტორიისა და კულტურის ქართველი ერი მხოლოდ ყმა-მსახურთა ხვედრს იმსახურებს... რატომ ღმერთი არ გაიცინებს!..

ღმერთის რა მოგახსენოთ, მაგრამ თქვენ კი გულში გეღიმებათ. თქვენ სასიკვდილოდ გაიმეტეთ ქართველი ხალხი. ახალგაზრდები თუ ძველგაზრდები. მამების თაობა მხოლოდ იმიტომ გაწირეთ, რომ ძნელია მათი თქვენ თარგზე მორგება, აზროვნებისა და ცნობიერების შეცვლა. ისინი ქართველებად არიან ჩამოყალიბებულნი და შეუძლებელია მათი გაამერიკელება. თქვენ ქვეყნის მოძულენო, უმუშევრად დატოვეთ საქართველოს მოსახლეობის დიდზე დიდი ნაწილი. არავის წყალობით, თუ ე. წ. ნაციონალურ მოძრაობას არ ეკუთვნის, თუ თქვენი ნების მორჩილი აღმსრულებელი არ არის, აიძულეთ ქართველები (დაახლოებით მილიონნახევარზე მეტიძ საზღვარგარეთ ეძიათ სარჩო-საბადებელი. თქვენ შეგნებულად შექმენით დემოგრაფიული კატასტროფა: მსოფლიოს მომაკვდავ ერთა შორის საქართველოს პირველი ადგილი უკავია. ვგონებ, ეს გახარებთ კიდეც, თქვენ საზღვარგარეთელ „ბოსებს“ სიამაყით ახსენებთ: დავალება შესრულებულია, ქართველი ხალხი ფიზიკური მოსპობის პირას არისო... სიხარულით ცქმუტავთ, ჯილდოს ელით. მაგრამ მალე ეგ სიხარული მწარე სინანულად შეგეცვლებათ.

თქვენ ისიც გეამაყებათ, რომ ახალ-ახალ ციხეებს აშენებთ. განუკითხავად იჭერთ ადამიანებს, კორუფციას ვებრძვითო, ყელყელაობთ და ამ მიზეზით გასაცოდავებულ, ისედაც წელში გატეხილ ხალხს უკანასკნელ ორ გროშს ღლიტავთ. და თუკი უარი შეგბედათ, წამსვე, ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების დარღვევით ციხეში ისტუმრებთ. ხოლო თქვენი თანამოაზრეების ნამოქმედარს, ყაჩაღობით და ძალმომრეობით მილიონებს რომ ითვისებენ, ვერ თუ არ ამჩნევთ. აი, სწრედ თქვენზე, სხვის თვალში ბეწვის მაძიებელნო, უთქვამთ – აქლემის ქურდი ნემსის ქურდს ციხეში ისტუმრებდაო. ციხეები გაავსეთ პოლიტპატიმრებით. თქვენ შეიპყარით და ციხე ახეხინეთ უდანაშაულო, ცამდე მართალ მოღვაწეებს: დავით მირცხულავას, სულხან მოლაშვილს, ირაკლი ბათიაშვილს (სულ ახლახან აბობოქრებული ხალხის შიშით კეთილი ინებეთ და ისინი გაათავისუფლეთ. ალბათ, გგონიათ კიდეც, რომ მადლობას იმსახურებთ. გავიწყდებათ, რომ ეს ადამიანები, სრულიად უდანაშაულონი, ამდენ ხანს აწამეთ ციხეში, გსურდათ ისინი მორალურად და ფიზიკურად გაგეტეხათ და ახლა სიამოვნებით ხელებს იფშვნეტთ. ნუ ხარობთ, მალე ყველაფერი მოგეკითხებათ!.ძ. თქვენ ციხეში გამოამწყვდიეთ ყოვლად უდანაშაულო და უბრალო თორმეტი ადამიანი: სამი შვილის დედა მაია თოფურია, რვა შვილის მამა თემურ ჟორჟოლიანი, ცნობილი ჟურნალისტი ზაზა დავითაია, მრავალტანჯული გურამ პაპიაშვილი, პოლიტიკოსი ვ. ტალახაძე, წესიერებით გამორჩეული ბულია და სხვა აბსურდული სიყალბით შეკოწიწებული ბრალდების გამო დღესაც ციხეს ახეხინებთ, მათი ოჯახების ტრაგედიაც თქვენვე მოგიბრუნდებათ...

ეი, დიდო დემოკრატებო, არც ერთი დემოკრატიული სახელმწიფო არ ამაყობს ციხე-საპყრობილეების აშენებით. პირუკუ, ყველა ოცნებობს, თეთრი ბაირაღი ააფრიალოს საპყრობილეს თავზე, რაც იმის მაუწყებელია, რომ არც ერთი პატიმარი აღარ ჰყავთ. თქვენ ადამიანის ასეთი რა სიძულვილი შეგყრიათ, რომ ასე ხარობთ პატიმრებით გადავსებული ციხეებით. რატომ არ უკვირდებით იმას, რომ ოთხმოც-მილიონიან გერმანიაში სულ 3 ათასამდე პატიმარია, ხოლო არადემოკრატიულ და დესპოტურ ბელორუსიაში, სადაც 10 მილიონია მოსახლეობა – 5 ათასი, თქვენ კი 22 ათასსაც არ ჯერდებით, თქვე მართლაც ყვარყვარეებო!

და ყოველივე ზემოთქმულის შემდგომ თქვენ ამაყობთ თქვენი წარმატებებით: შადრევნების, კარუსელების, მინიმოედნების გამართვით, დასანგრევად გამზადებული სახლების ფასადების ჭრელა-ჭრულა შეღებვით, შუქისა და გაზის მოწოდებით (ალბათ გავიწყდებათ, რომელი საუკუნეა. ისიც არ გახსენდებათ, როგორ გააძვირეთ ელექტრონიც და გაზიც, რაც თქვენ ნაძარცვ ქონებას კიდევ უფრო ზრდის!..ძ. განსაკუთრებით გეამაყებათ აჭარის ხელში ჩაგდება (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობითძ. ყოყლოჩინობთ, აჭარა დავიბრუნეთო. ნუთუ ერთხელაც არ გებადებათ კითხვა: რა სჭირდა აჭარას დასაბრუნებელი?! მართალია, ისტორიასთან საერთოდ მწყრალად ხართ, მაგრამ არა მგონია, არ გახსოვდეთ, რომ აჭარა თქვენგან სიძულვილით განდევნილი ასლან აბაშიძის ბაბუის – მემედ აბაშიძის დიდი მცდელობით უკვე საუკუნეზე მეტი ხანია, თურქებს წავგვარეთ და საქართველოს განუყოფელ ნაწილად ვაქციეთ.

**ელიზბარ ჯაველიძე**

(გაგრძელება იქნება)

# ახლა

● ჩვენ ისეთივე დემოკრატია გვინდა, როგორიც მანდ, საშინაო მოხმარებისთვის გაქვთ. ნაკლებზე არა ვართ თანახმა და თუ პარტნიორებად განგვიხილავთ და არა მონებად, სადაც მხოლოდ ნავთობსადენს გაიყვანთ ან სამხედრო აეროდრომებს ააშენებთ, კეთილი ინებეთ და მხარი ქართველ ხალხს დაუჭირეთ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, და არა ხელისუფლებას



## ◎ ბრავო, ამერიკა!

# ეი, მეთიუ, ერთი აქეთ მოიხედე, ყმაწვილო!

*ჩემო მკითხველო, მეთიუში მხოლოდ მეთიუ ბრაიზას არ ვგულისხმობ. არამედ ზოგადად ყველა დამკვირვებელს, ვინც დააკვირდა და ვერაფერმა გააკვირვა ე.წ.ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე. „არჩევნები გარკვეული ხარვეზებით ჩატარდა, რომელთაც საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია და ამდენად დემოკრატიულ სტანდარტებს შეეფერებოდა“. აი დასკვნა, რაც ე. წ. უცხოელმა დამკვირვებლებმა დადეს. რამდენი ზუსტად ასეთი შინაარსის დასკვნა დაუდვიათ „ავად სახსენებელი“ შევარდნაძის დროს, კარგად გემახსოვრება, ჩემო მკითხველო, მაგრამ როგორც შევარდნაძისდროინდელი დასკვნები გადავყლაპეთ, იგივეს გაკეთება დღეს გაგვიჭირდა, თუმცა მაინც გადაგვაყლაპეს, მაგრამ პროტესტის ნიშნად მთელ ქართველ ხალხს დაასლოკინა, რადგანაც აშკარად უკეთესის მოლოდინი გვქონდა და ღირსნი რომ ვიყავით ამ „უკეთესისა“, ეს მთელს მსოფლიოს დაანახვა ქართველმა ხალხმა, 28 სექტემბრიდან დაწყებული დღემდე, როცა არაერთი მრავალათასიანი მიტინგი თუ მანიფესტაცია ჩავატარეთ ისე მშვიდად, რომ უკითხავად ხიდან ფოთოლი არ ჩამოვარდნილა.*

*გასული წლის 28 სექტემბრიდან, ოპოზიციას, რომელსაც მოსახლეობის უმეტესობა უმაგრებდა ზურგს და ხელისუფლებას, როგორც ბელგიის მოქალაქე ომარ ხახაშვილმა ხატოვნად უწოდა უძალოვნო პასუხისმგებელთა შორის, შეიძლება ითქვას, ნერვების ომი დაიწყო. ხალხის სიმშვიდით გაკვირვებულ, იმედგაცრუებულ უძალოვნო პასუხისმგებლებს ნერვებმა უმტყუნეს და 7 ნოემბერი ჩაიდინეს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ 7 ნოემბრის ვანდალური დარბევის ბრძანება სააკაშვილს არ გაუცია. ვეთანხმები იმავე ომარ ხახაშვილს, რომ იმ პერიოდში სააკაშვილს, უძალოვნო პასუხისმგებლები, როგორც მინიმუმი, მოქმედების უფლებას არ აძლევდნენ და დარბევის ბრძანება იმ ხალხმა გასცა, ვინც ბატონ ომარ ხახაშვილს ნავარაუდევი ჰყავს პრეზიდენტის უფლებამოსილების უზურპატორი საბჭოს შემადგენლობაში: ბოკერია, უგულავა, გვარამია, ნადირაძე და ა.შ.მით უმეტეს, რომ დღეს დანამდვილებით ამბობენ, ე. წ.ციხის ბუნტის დროს სროლის ბრძანება გიგა ბოკერიამ გასცაო. ამის მიუხედავად, 7 ნოემბერზე პასუხისმგებლობა პრეზიდენტ სააკაშვილს ეკისრება და ამ შავ ლაქას არა მხოლოდ პოლიტიკური ცხოვრების, სიცოცხლის ბოლომდე ვერ მოიშორებს.*

### არ არის ცუდი კარგის გარეშე

**თუმცა ეს მაქსიმა რუსულად უფრო კარგად ჟღერს – „Нет худо без добра“, ანუ 7 ნოემბერს, მიუხედავად საშინელება-სისასტიკისა, მაინც ჰქონდა დადებითი მომენტი. ამ დღის შემდეგ ცნობილი სენტენცია, „ყველა ხალხი იმ ხელისუფლებას იმსახურებს, რომელიც ჰყავს“, ჩვენზე, ქართველ ხალხზე მართებული არ არის. მან უკანასკნელი თვეების მანძილზე მთელს მსოფლიოს დაანახვა, მრავალათასიანი მიტინგების დროს, მე ვიტყოდი, აგრესიული სიმშვიდე, ანუ ის, თუ რა ხილია დემოკრატია. დიახ, მან ეს მეთიუ ბრაიზაზე, მათიას იორშზე, დიტერ ბოდენზე, ზოგადად ევროპა-ამერიკაზე ნაკლებად არ იცის და თუ სწავლაა, თვითონ თუ არ იკადრებენ, იქნებ სხვებს ასწავლონ ქართველი ხალხის მაგალითზე.**



მაგრამ რაც იყო, იყო, მიხეილ სააკაშვილი, ვინმე აღიარებს თუ არა, მეორე ვადით დე ფაქტოც და დე იურეც საქართველოს პრეზიდენტია და პირველ რიგში, ჩემი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, წარმატებებს ვუსურვებ. თუმცა დღესვე ეჭვი მეპარება, რომ მან შეასრულოს ის, რაც ხალხს ასე გულუხვად დაპირდა. მთავრობის შემადგენლობის მნიშვნელოვანი გადახალისება, რასაც სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად დაგვპირდა, როგორც ჩანს, მორიგი კარუსელი იქნება, რისი მომსწრენიც არაერთხელ ვყოფილვართ.

წინ საპარლამენტო არჩევნები გველის, რომელიც აქედანვე ჩანს, ძველი მეთოდებით ჩატარდება, რადგან ვეჭვობ, მიხეილ სააკაშვილმა უძალოვნო პასუხისმგებლობის, იგივე ქვეყნის რეალური მმართველობის მარწუხებისგან თავის დაღწევა მოახერხოს, ანუ ბოკერია-ლომაიებმა კარგად უწყიან, რომ ხელისუფლების დაკარგვისთანავე, ქართველი ერის რისხვა დაატყდებათ თავს, ამიტომ ვერ გამოვრიცხავ ვარაუდს, რომ სააკაშვილი საკუთარი გარემოცვის მძევალია, რომ საპარლამენტო არჩევნებიც იგივე, შეიძლება უარესი გაყალბებებით ჩატარდება, და თუ მაშინაც დემოკრატიის ნიმუშად აღიარებენ უცხოელი დამკვირვებლები, ამას, მაშინ დიდი ალბათობით შეიძლება საქართველოში უმართავი პროცესები დაიწყოს. რა ერქმევა განრისხებული ქართველების ქმედებას: საყოველთაო, სახალხო აჯანყება თუ სხვა რამ, ეს მეათეხარისხოვანია. უკიდურესობათა თავიდან ასაცილებლად ახლავე უნდა ვიფიქროთ. ასე რომ, ბატონო მეთიუ ბრაიზავ, აქეთ მოიხედე და როგორც აქამდე გვარწმუნებდნენ, საქართველოს ლობისტიაო, იყავი საქართველოს ხალხის ლობისტი, და არა მხოლოდ მისი ხელისუფლების, როგორც დღემდე ყოფილხარ.

### თბილისი მთელი საქართველო არ არის!

**ეს პასუხი აქვს ხელისუფლებას მას შემდეგ, რაც თბილისში არჩევნები სამარცხვინო შედეგით წააგო. მართალია, ბატონო პრეზიდენტო!** მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ თბილისი საქართველოს დედაქალაქი, მისი გულია – „საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი შიგ ჩასმული ბადახში“, ეს სიტყვები, „დიდ პოეტ“ კაკალაშვილს არ უთქვამს. „ვიღაც“ იოსებ გრიშაშვილმა თქვა. ასევე, ისიც უდავო ჭეშმარიტებაა, რომ თბილისში ლამის მთელი საქართველოს მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს და ას-ორასათასიან მიტინგებში ლომის წილი სწორედ თბილისელებმა დაიდეს. ვინც თბილისს დაუპირისპირდა, ვინც თბილისმა არ ინდომა: ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე, ყველამ ცუდად დაამთავრა. ნუ გაიმეორებთ თქვენს წინამორბედთა შეცდომებს, ბატონო პრეზიდენტო! საქართველო პატარა ქვეყანაა და ამიტომ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მისი ბედი აქ, თბილისში წყდებოდა ყოველთვის.

### დაბოლოს

**22 იანვარს აშშ-ს საელჩს წინ კობა დავითაშვილის ინიციატივით საპროტესტო, თუმცა კეთილგანწყობილი მიტინგი გაიმართა, რომლის პათოსსაც უპირობოდ ვუერთდები. ბატონო ამერიკელებო, მსოფლიო დემოკრატიის მამები, დროა მიხვდეთ, რომ საქართველო, ქართველი ერი, განსაკუთრებული ქვეყანა და ხალხია. თქვენ, ამერიკელებს, სიგარეტიც კი ორმაგი სტანდარტისა გაქვთ. მაგალითად არის „მალბორო“, რომელიც მხოლოდ ამერიკაში იყიდება, ევროპისთვის კი სხვა ხარისხის „მალბოროს“ უშვებთ.**

ასევე გაქვთ დემოკრატიის ორმაგი სტანდარტიც. ერთი საშინაო, ნამდვილი დემოკრატია და მეორე ფერადი რევოლუციების ქვეყნებისთვის. სიგარეტი მშვიდობაში მოგახმაროთ, არ ვითხოვთ თბილისში ნიუ-იორკის „მალბოროს“ მოწოდებას, მაგრამ რაც შეეხება დემოკრატიას, ნურას უკაცრავად – ჩვენ ისეთივე დემოკრატია გვინდა, როგორიც მანდ, საშინაო მოხმარებისთვის გაქვთ. ნაკლებზე არა ვართ თანახმა და თუ პარტნიორებად განგვიხილავთ და არა მონებად, სადაც მხოლოდ ნავთობსადენს გაიყვანთ ან სამხედრო აეროდრომებს ააშენებთ, კეთილი ინებეთ და მხარი ქართველ ხალხს დაუჭირეთ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, და არა ხელისუფლებას. სააკაშვილი არ არის ჩვენი მთავარი პრობლემა, დაეხმარეთ მას და, აქედან გამომდინარე, საქართველოს – წაიყვანეთ სულ 50 კაცი პრეზიდენტის გარემოცვიდან და მაშინ ჩვენს მეგობრობას 100 წელი საფრთხე არ დაემუქრება.

**დავით მხეიძე**



## ◎ წკეპლიკა

# მე, უცხოეთით აპელირებასთან დაპირისპირებული...

**ამ დღეებში რედაქციაში ჩვენი გაზეთის ერთმა ერთგულმა მკითხველმა და შიგადაშიგ ავტორმა, პროფესორმა კაცმა შემოიარა, თანამშრომლებს ახალი წელი მოგვილოცა, ჩვენს სიმპათიურ და უმძიმე პირობებში თავგამოდებით მომუშავე ქალბატონებს ტკბილეული მიართვა...**

მოხდა ისე, რომ იმ კაცს დღის ბოლოს ფილარმონიასთან შევხვდი, ტრანსპორტის გაჩერებაზე. ჩვენჩვენი ავტობუსების მოლოდინში გასაუბრება მოვასწარით, 7 ნოემბრის გახსენებითაც. ჩემდა გასაკვირად, ხელისუფლების სადამსჯელო ოპერაციები გაამართლა და არგუმენტად ეს მოიყვანა – ხელკეტებს, ცრემლმდენ გაზს, წყლის ჭავლებს საზღვარგარეთაც ხომ იყენებენ, დემოკრატიულ ქვეყანაშიო.

თბილისური ინტელიგენციის ერთ ნაწილში ასეთი „ არგუმენტაცია“ მართლაც ფეხმოკიდებულია და მის გასაგონად ვაძლევ თავს ჩემი საპასუხო პოზიციის გამომზეურების ნებას: უცხოეთში, როგორც მე მგონია, პოლიციაა თუ სპეცრაზმები, რეპრესიებს მომიტინგეთა თუ დემონსტრანტთაგან წინაალმდეგობის გაწევისას, ძალადობისას მიმართავენ – როგორც ავტომობილების გადაწვაა, ქვებისა და აგურების დაშენაა, ცეცხლგამჩენი ბოთლების სროლაა, მაღაზიების დარბევაა. 7 ნოემბერს თბილისში კი არც ერთი ყოფილა, არც მეორე, მესამე ან მეოთხე. მით უფრო არ ყოფილა ხელისუფალთა მხრიდან გამოგონილი და თავმოხვეული ბრალდება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისა. გარდა ამისა, რაღაც არ მახსენდება შემთხვევა, რომ იმ საზღვარგარეთ ასე ბარბაროსულად აეწიოკებინოთ რომელიმე ტელეარხი... და კიდევ – SIC! – მოდით, ნურც იმას ვიფიქრებთ, რომ იქ ყველაფერი კარგია, ოკეია და მისაბაძი...

მაგალითად, ერთ დიდად ევროპულ, დიდად კულტურულ და დიდად პატივსაცემ ქვეყანაში ცოლთან გაყრილმა პრეზიდენტმა გააქანა და ბაც! – ცხრამამაკაცმოვლილი ქალბატონი პირველ მანდილოსნად დასვა. რა ვქნათ ახლა, გავხადოთ მაგალითად?...

**ლუკა გორგაძე**

## ◎ ინფორმაცია

### რატომ დაერივნენ კახეთში პოლიციის უფროსებს?

**შს სამინისტროს კახეთის მთავარი სამმართველოს ახლად დანიშნულმა უფროსმა ირაკლი ქადაგიძემ ლაგოდეხის, თელავის, დედოფლისწყაროს, ყვარლისა და გურჯაანის პოლიციის უფროსები თანამდებობიდან გაათავისუფლა.**

**როგორც რადიო „ჰერეთი“ იუწყება, არაოფიციალური ინფორმაციით, მათი თანამდებობიდან გათავისუფლება საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება.**

**მათ დაკისრებული მოვალეობა ვერ შეასრულეს და „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა კახეთში არადამაჯერებელი პროცენტით გაიმარჯვა,– აღნიშნავს რადიო „ჰერეთი“.**

**მისივე ინფორმაციით, თელავის პოლიციის უფროსი დიმიტრი ბოჭორიძე აცხადებს, რომ თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება საკუთარი სურვილით დაწერა. ბოჭორიძის განმარტებით, იგი მუშაობას სხვა სამსახურში გააგრძელებს, თუმცა სად, არ აკონკრეტებს.**

**რადიო „ჰერეთის“ ცნობით, სამსახურიდან წასვლის შესახებ ინფორმაციას ლაგოდეხის პოლიციის უფროსი ალექსანდრე საჩიშვილი არც უარყოფს და არც ადასტურებს.**

**ინტერპრესნიუსი**

# ნაარჩევნებს

● იანვრის თვეში გაწერილმა დენისა და გაზის გადასახადების უზომო მოცულობამ ხალხი ერთდროულად კიდევაც განაცვიფრა და კიდევაც აღაშფოთა

№ 14. პარასკევი, 25 იანვარი, 2008 წელი.

◎ SOS!

# უმძიმესმა გადასახადებმა ხალხი წელში გაწყვიტა



## დენისა და გაზის ტარიფები მართლა გაორმაგდა?

ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა, ვიდრე საკითხი ოფიციალურად არავის შეუსწავლია, ალბათ გაძნელდება. ერთი კი ფაქტია, იანვრის თვეში გაწერილმა დენისა და გაზის გადასახადების უზომო მოცულობამ ხალხი ერთდროულად კიდევაც განაცვიფრა და კიდევაც აღაშფოთა. ამას დაემატა ლეიბორისტთა განცხადება: აი ნახეთ, მიხეილ სააკაშვილი რომ ცრუპენტელა და მატყუარაა, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, მან ინაუგურაციის მეორე დღესვე გაზისა და ელექტროენერგიის ტარიფები ერთიორად გაზარდაო.

მართლა ორჯერ გაიზარდა ტარიფები, თუ ამ მომენტს ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიები და მათი ცალკეული ლიდერები ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის ასაგორებლად იყენებენ? როგორც უკვე ვთქვით, თავად ფაქტმა – გადასახადების უზომოდ გაზრდამ – გამოიწვია ასეთი უკმაყოფილება და აჟიოტაჟი და არა პოლიტიკური პარტიების მოწოდებებმა. გაჭირვებითა და უსამართლობით გაწბილებული ადამიანები რეკავენ გაზეთების (მათ შორის ჩვენი გაზეთისძ რედაქციებში, ცალკეულ ტელეკომპანიებში, მოითხოვენ პასუხს იმ გაუგებრობის თაობაზე, რაც მათ ხელისუფლებამ თავს დაატეხა. ბევრს მიაჩნია, რომ გადასახადები მრიცხველების ცრუტრიალით, თანხის ხელოვნურად წამატებით ან სხვა მაქინაციებით არის გაზრდილი, რათა ის თანხები, რომელიც ხელისუფლებამ საპრეზიდენტო არჩევნების მოსაგებად გადაყარა, ხალხის კისრიდან ამოიღონ. მათი აზრით, დღევანდელი მრიცხველები ისეთივე სიზუსტით ითვლიან ენერგიის ხარჯვას, როგორც ცესკოს ხელმძღვანელმა ლევან თარხნიშვილმა არჩევნების შედეგები დათვალა (!ძ

აი თავად ელექტროენერგიისა და გაზის სადისტრიბუციო კომპანიების მესვეურები კი ხალხში გავრცელებულ ამ ხმებს არასერიოზულად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ გაუგებრობა არა ტარიფების გაზრდამ, არამედ იმან გამოიწვია, რომ დენისა და გაზის გადასახადები მთელი 40 დღისა ერთბაშად გამოიწერა. მომხმარებელი მომხდარში ვერ გაერკვა და ჩათვალა, რომ ტარიფები გაორმაგდა. მათი განმარტებით, ტარიფები იგივე დარჩა, რაც იყო, ოლონდ გადასახადის გაანგარიშების პერიოდი გაიზარდა, რამაც ბუნებრივია თანხის გაზრდაც გამოიწვია.

რა ვქნათ, ამის მთქმელნი მართლა კრავებად წარმოვიდგინოთ და ყველაფერი დავუჯეროთ? არაო, კატეგორიულად აცხადებს ცნობილი ეკონომიკური ექსპერტი ნიკო ორველაშვილი. მისი აზრით, ხელისუფლებამ დიდი დანაშაული ჩაიდინა, როცა თავის დროზე არ ალაგმა სემეკის ყოფილი უფროსის გია თავაძის თვითნებობა, რომელიც წლების მანძილზე დაუსაბუთებლად, უსამართლოდ ზრდიდა ტარიფებს და ხალხს კაბალურ პირობებში აქცევდა. რადგან მას პასუხი არავინ მოსთხოვა, დღესაც იგივე პოლიტიკა გრძელდება – ტარიფები სულ უფრო მატულობს და მასთან ერთად ხალხის გაჭირვებაც. ხელისუფლებამ, იმის მაგივრად, რომ ხალხის ამ გასაჭირიდან ამოყვანაზე იზრუნოს, მხოლოდ დაპირებებს იძლევა, საქმით კი არაფერს აკეთებს.

ტარიფები რომ რეალური არ არის და ხელოვნურად გაზრდილია, ამაზე ქვემოთ მოყვანილი ფაქტიც ნათლად მეტყველებს. სემეკმა გაზის სამომხმარებლო ტარიფის გაანგარიშების დროს, იაფ აზერბაიჯანულ აირთან („შაჰდენიზის" 63 დოლარი, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის – 120 დოლარიძ ერთად რუსეთიდან იმპორტირებული გაზიც (ათასი კუბმეტრი 235 დოლარიძ გაითვალისწინა და საშუალო შეწონილ ტარიფად 167 დოლარი აიღო. გაზაფხულის შემდეგ საქართველოში რუსეთის აირი აღარ შემოსულა, ქვეყანა მთლიანად აზერბაიჯანულ გაზს მოიხმარს. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, როგორც ექსპერტები ანგარიშობენ, 1 კუბმეტრი გაზის ტარიფი 40 თეთრს არ უნდა აღემატებოდეს, ფაქტობრივად კი თბილისში მისი რაოდენობა 50, 62 თეთრია, რეგიონებში კი 51-55 თეთრი. აქედან გამომდინარე, ტარიფი დაახლოებით 30 პროცენტით უნდა შემცირებულიყო, მარეგულირებელი კომისია კი ამის გაკეთებას არცა გეგმავს.

გაუგებარი ის კი არ არის, რომ ხალხმა ვერ აღიქვა 40 დღეზე გაანგარიშებული გადასახადი და ის გაბერილად ეჩვენა, არამედ ის, რომ ხელისუფლება არარეალური და უსამართლო გადასახადებით საკუთარ მოსახლეობას, რომელიც ისედაც გაჭირვებულია, კუდით რიკამდე აწყავებს. თუ სემეკი ენერგიაზე ფასის აწევისთანავე სასწრაფოდ აუწევს ხოლმე ტარიფებს, რატომ ამჯერად, როცა აზერბაიჯანიდან იაფ გაზს ვიღებთ, ტარიფი არ შეამცირა?

ახლა, როცა ქვეყანაში ვითარება ისედაც უკიდურესად გამწვავებულია, ხელისუფლება ალბათ გონს უნდა მოეგოს, გადახედოს ტარიფებს და უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ მოსახლეობას ამოსუნთქვის საშუალება მისცეს. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მიხვდეს, რომ სომალის პირობებში ჩაყენებული ხალხი ევროპული დონის გადასახადების ზიდვას ველარ გაუძლებს და ეს ყველაფერი ისევ და ისევ ხელისუფლებას ბუმერანგივით დაუბრუნდება?!

ოთარ ხუციშვილი

◎ ცესკო უარყოფს

# ოპოზიციის საჩივრების უმეტესობას დოკუმენტურად დაუსაბუთებლად მიიჩნევენ

(მესამე გვერდიდან)

**– ამბობენ, რომ ოპოზიციურ პარტიებს საუბნო კომისიის საკუთარმა წევრებმა სხვა შემაჯამებელი ოქმები მიაწოდეს, ხოლო ცესკოს ვებ-გვერდზე სხვა ოქმია გამოქვეყნებული.**

– საერთოდ, საუბნო კომისიიდან მოსული მონაცემი უკვე არის ჩასწორებული, დამუშავებული და ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი, და ეს არის უკვე საბოლოო მონაცემი. საოლქოში ცვლილებები არ შეაქვთ. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუკი საუბნოს მონაცემს თან ერთვის ჩასწორების ფურცელი, რომელსაც ასევე ხელს აწერს საუბნო კომისიის ყველა წევრი.

თავიდან იყო ხარვეზები, როცა ოქმებს გვიგზავნიდნენ ფაქსით და ერთმანეთში ირეოდა პირველადი და ჩასწორების ოქმების მონაცემები, მაგრამ საბოლოოდ, როცა დედნები მივიღეთ, ყველა ეს ხარვეზი გასწორდა. ამის გამო ეუთოსგან შენიშვნებიც მივიღეთ.

**– ოქმებზე მაღალი აქტივობა დაფიქსირდა, ანუ ხმას რამდენიმე წამის განმავლობაში აძლევდნენ. 2 წუთში 3 ადამიანი აძლევდა ხმას?**

– არც ამის ფაქტები აქვთ და ზოგადად საუბრობენ. როცა ცესკოში შემოვიდა კონკრეტული საჩივარი დარღვევების შესახებ, ცესკომ ამ უბნის შედეგები გააუქმა. ეს არის წალკის 22-ე, საბურთალოს პირველი, მესტიის, ახალქალაქის, თელავის უბნები. ასევე, რამდენიმე უბნის საჩივარი განიხილა სასამართლომაც.

ჩვენ მივმართეთ ყველას, ვისაც ჰქონდა პრეტენზია, გამოეთხოვათ ვიდეოჩანაწერები და ენახათ, რა როგორ ხდებოდა, მაგრამ არც ერთ პარტიას ამის სურვილი არ გამოუთქვამს. დაინტერესდა მხოლოდ ეუთო და სახალხო დამცველის აპარატი.

**– ასევე პრეტენზიას გამოხატავენ, მაგალითად, მარნეულის 56-ე უბანზე, სადაც ერთიან სიაში 2071 ამომრჩეველია, მაშინ როცა უბანი 1500 ამომრჩეველზე იქმნება.**

– ეს არის სოფლის უბანი, რომელსაც არ შეეხო ეს კანონი. ასეთი ბევრი უბანია, რადგან ტერიტორიული განლაგების გამო ვერ მოხერხდა დაყოფა. ესეც მომავალი არჩევნებისთვის გასწორდება. მაგრამ იყო ოფიციალური ინფორმაცია იმის გამო, რომ ზოგან 2000 ან მეტი ამომრჩეველი აღინუსხა და ეს მათ უნდა სცოდნოდათ.

**– ტელევიზიით ვნახეთ, რომ კახა კუკავამ იუსტიციის მინისტრს ყალბი ოქმები გადასცა. რა შედეგი გამოიღო ამან?**

– გეტყვით ერთ კონკრეტულ მაგალითს და მერე თქვენ განსაჯეთ:

ბატონი კახა მოვიდა ცესკოს სხდომაზე, ტელეკამერებისა და ჟურნალისტების თანხლებით. მან თქვა, რომ მოიტანა 18 ყალბი ოქმი. ვიცით, რომ არსებობს ოქმი 01, რომელიც წინასწარ შედეგებით დგება, არის ოქმი 02, სადაც უკვე აღნუსხულია საბოლოო მონაცემები. და არის კიდევ მესამე ოქმის ფორმა, რომელიც არის ფორმალური, მას ნომერი არ აქვს და არც იურიდიული ძალა გააჩნია. კახა კუკავამ სწორედ უნომრო ოქმების დედანი მოიტანა, ხოლო 01 და 02 ოქმის – ასლები. მას როცა დედანი მოსთხოვეს, თქვა, რომ დედანი სასამართლოში, საქმეშია ჩაკერებული. რა თქმა უნდა, ცესკომ ეს პრეტენზია არ დააკმაყოფილა.

**– სასამართლომ თუ დააკმაყოფილა?**

– კონკრეტულად უბნები არ მახსოვს, მაგრამ ვიცი, რომ არც სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

**– უნდა გკითხოთ იმ წითელ კონვერტებზეც, რომელიც ოპოზიციას აქვს და ამბობს, რომ წესით ეს კონვერტები ცესკოში ხუთი წელი უნდა ინახებოდეს.**

– არც ამის შესახებ შემოუტანიათ საჩივარი ცესკოში, რომც შემოეტანათ, მაინც არ დაკმაყოფილდებოდა. ჩვენ ვერანაირად ვერ დავადასტურებთ იმას, რომ ეს არის ჩვენგან გასული კონვერტი ან ბიულეტენი. ხმის მიცემის დროს თავისუფლად შეიძლებოდა ცარიელი კონვერტი ჩაეგდოთ, ხოლო ბიულეტენი ჯიბეში ჩაედოთ. კონვერტის შექმნა კი სრულიად მარტივია. ასევე ძლიერი კონტროლის მიუხედავად, შეიძლებოდა ხმის დათვლისას ჩაედო ვინმეს ჯიბეში კონვერტი.

კიდევ ერთხელ ვამბობ: იმ ფაქტზე, რომელზეც ოფიციალური დოკუმენტი წარმოადგინეს და საჩელი შემოიტანეს, ცესკომ ყველა საქმე განიხილა, თქვენს მიერ ხსენებულ ფაქტებზე კი არც ერთი საჩელი არ შემოსულა და შესაბამისად არც განხილულა.

ესაუბრა
თეა მოსია.




◎ ინფორმაცია

## გაერთიანებული ოპოზიცია ფინეთის დელეგაციას შეხვდა

გაერთიანებული ოპოზიციის წევრები დარწმუნებულები არიან, რომ ფინეთის საპარლამენტო დელეგაცია ქვეყნის გარეთ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ობიექტურ ინფორმაციას გაიტანს.

ამის შესახებ საპარლამენტო ოპოზიციისა და ფინეთის საგარეო საქმეთა კომიტეტის დელეგაციის შეხვედრის შემდეგ დეპუტატმა კახა კუკავამ განაცხადა.

მისივე თქმით, შეხვედრაზე ისაუბრეს საპრეზიდენტო არჩევნებზე, კერძოდ, როგორ გაყალბდა იგი ხელისუფლების მხრიდან. როგორც კუკავამ განაცხადა, ოპოზიციამ მოახერხა „გარღვევა", რომ საპრეზიდენტო არჩევნები არ შეფასდა ზუსტად ისე, როგორც ხელისუფლებას სურდა.

ფინეთის დელეგაცია იქნება ის დელეგაცია, რომელიც ობიექტურ ინფორმაციას ჩაიტანს ეუთოში. რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებს, მსოფლიო დიდ დესტაბილიზაციას უნდა ელოდოს, თუ საპარლამენტო არჩევნები ისეთივე გარემოში ჩატარდება, როგორიც საპრეზიდენტო არჩევნების შემთხვევაში იყო, – აღნიშნა კუკავამ.

ინტერპრესნიუსი

# ჩვენ

● ბატონი მერაბის პროგრამას, მახსოვს, ხალხი ელოდებოდა, რადგან მასში გამოდიოდნენ პრაქტიკოსები, რომლებიც თვალსაჩინოდ უხსნიდნენ მაყურებელს, თუ როგორ უნდა აეგოთ საკუთარი ხელით მიკროჰესი, ბიოდანადგარი, მზის დაფა, რათა მიეღოთ სინათლე და ცხელი წყალი. ეს იყო მეცნიერული ნოვაციების, საგამომგონებლო , პრაქტიკული ქვეყნისთვის ე. ი. მეტად საჭირო გადაცემა



◉ ვითხოვთ ხელისუფლების ყურადღებას!

# განძების საჩუქარი– ქვეყანა ჩვენი!

## რატომ ეჭიდება საზოგადოებრივი მაუწყებელი საზოგადოებას?

კომპიუტერთან ჩვენი თაობის გაძნელებული ურთიერთობა არ უშლის ხელს, უზომოდ გამოვხატოთ აღფრთოვანება ტექნიკის ამ საოცრების განუსაზღვრელი შესაძლებლობების, განსაკუთრებით კი მეხსიერების გამო. ამას წინათ, ჩემმა ახალგაზრდა მეგობარმა მომაწოდა ინტერნეტით მიღებული ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკის ექსვიცე-პრეზიდენტმა ელ გორმა ნობელის პრემია მიიღო. საკითხი ასეა წარმოდგენილი: „მზის განახლებადი ენერგიის, როგორც პრაქტიკული შედეგების მქონე იდეის პროპაგანდა“, ანუ მიკროელექტროსადგურები, ბიოდანადგარები , მცირე ჰესები, მზის სისტემის გამოყენება ელექტროენერგიისა და ცხელი წყლის მისაღებად, ქარის ენერგია, მიწისქვეშა თერმული წყლები. ყველაფერი ეს იქნა მიჩნეული შედეგად იმ იდეისა, რაც თავისთავად პრაქტიკული, ეკონომიკური შედეგით იმსახურებს დიდ ჯილდოს – ნობელის პრემიას, რაზედაც ჩვენს პატარა და არც თუ მდიდარი, მაგრამ ენერგორესურსებითა და მზით დიახაც, უხვ ქვეყანაში, უკვე დიდი ხანია ლაღადებენ ხელებაწეული. ამ იდეით შეპყრობილი ჩვენი მეგობარი სულიკო ხაბეიშვილი განიცდიდა: „ამდენი სიმდიდრე იკარგება, ჩვენ კი მის შეძენაში აურაცხელ ფულს ვხარჯავთ, ვინ ვართ ჩვენო?! “ – ვინ ვართ და როგორც დიდი დავითი ამბობდა „განსვენებასა მიცემული“ ხალხი. ცხადია, ბატონ სულიკოს მხედველობაში ჰქონდა ყველა ის პატარა ნაკადული, მდინარე, რომელზედაც ის პატარ-პატარა ჰესებს ხედავდა. მხედველობაში ჰქონდა ჩვენი მანათობელი და გამათბობელი – მზე, რომელსაც ქართველი ლექსს უწერს. ნამდვილად არის სამხრეთის ხალხი უფრო ზარმაცი, მზეც და ბუნებაცაა ამაში დამნაშავე, მაგრამ ხომ მოაშენა ქართველმა კაცმა ვაზი? ხომ აიტანა ცხენისწყლის ქვა, მარტვილის ასაშენებლად, ჯვრის ასაშენებლად. რამდენი ერთი ჩამოვთვალო? საქართველოში არ შეიქმნა ვანის ოქროს სამკაულები, საფრანგეთის იუველირები რომ განაცვიფრა? შეუძლია ქართველს და მერე როგორ? თანაც მერამდენედ ვიმეორებ, ღმერთმა ნამდვილი წალკოტი გვიბოძა, ოღონდ ჩვენც უნდა გავანძრიოთ ხელი. ოღონდ მთავრობამაც უნდა მოგვხედოს და შრომის ისეთი პირობები შეგვიქმნას, რომ რაც შეიძლება უკეთ გამოვიყენოთ ღვთის ეს საჩუქარი. გავიხსენოთ, რომ ნორვეგიაში ამ ცივ, ფიორდების ქვეყანაში თერმული წყლებით ამუშავებენ სათბურებს და თავზე საყრელად აქვთ ხილი, კენკარა, ბოსტნეული და უზარმაზარი შემოსავლებით ივსება ხაზინა. ეგეც შენი ჩრდილოეთი!

გამახსენდა როგორი გადაცემები იყო ტელევიზიით მზის ენერგიის გამოყენებაზე, როგორი გატაცებით მიჰყავდა ის ბატონ მერაბ ბერაძეს, შეპყრობილი იყო ამ იდეით. ქვეყნის სასიკეთოდ უნდოდა ჩვენი მზე და ჩვენი მიწიდან ამოხეთქილი თბილი წყლები, ჩვენი პატარა მდინარეები. არადა, ბატონი მერაბი, დამსახურებული ჟურნალისტი, „შედეგიანი იდეის ავტორი“, დღემდე უმუშევარია. იქ უცხოეთში, შედეგიანი იდეისთვის ნობელის პრემიას აძლევენ, აქ საქართველოში იგივესთვის – სამსახურიდან ხსნიან. დიახ, ამ სიკეთის მკეთებელი ტელეჟურნალისტი, უაღრესად მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეს არის ჩამოშორებული. არადა, ვინ იცის ამ ხნის განმავლობაში, რამდენ დიდებულ ქართულ საქმეს დაედგმებოდა გვირგვინი?

რას ამბობდა ეს კაცი ისეთს? ყველაფერს კარგს, საქართველოში, მზის და წყლის ქვეყანაში, გამოვიყენოთ განძებით ბოძებული სიმდიდრე, გავათბოთ ხალხი, ცხელი წყალი მოვიხმაროთ, მზის სიკეთეს ნუ დავკარგავთო. ხელი შევუწყოთ მეცნიერებს, განვავითაროთ სოფლის მეურნეობა, მცირე და საშუალო ბიზნესი, შევქმნათ სამუშაო პირობებიო. ცუდი აზრია?

ყურად ილოს ქვეყანამ ერის მოძღვრის სიტყვები, რომელიც საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეებშია გაჟღერებული: „დღეს უმთავრეს პრიორიტეტად უნდა იქცეს სოფლის მეურნეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები, რომ დასაქმდეს ხალხი და გამოვიდეს მძიმე სოციალური პირობებიდან, ჩვენ უნდა შევთავაზოთ უცხოეთს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, რომელზეც უზარმაზარი მოთხოვნაა. ვარაუდობენ, რომ უახლოეს ათწლეულში სასმელი წყალი გახდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი კაცობრიობისთვის. საქართველო კი ამ სიმდიდრის ერთ-ერთი დიდი მფლობელია... ქვეყანამ არ უნდა დაკარგოს ის სამეცნიერო მონაპოვარი, რაც მას გააჩნია. მრავალ დარგში საქართველოს მსოფლიოში აღიარებული მკვლევარები ჰყავს და გამოუსწორებელი შეცდომა იქნება, ქვეყანამ ეს არ გამოიყენოს“, ანუ ნუ დავკარგავთ მას, რასაც ჩვენთვის კოლოსალური სარგებლობის მოტანა შეუძლიაო! – ბრძანებს პატრიარქი. ახლა ვნახოთ, თუ რას წერენ საერთაშორისო რანგის ექსპერტები ბატონ მერაბ ბერაძის საავტორო გადაცემა „ენერგიის“ შესახებ: „ამ თემატიკის სისტემატური პროპაგანდით ფართოდ გამოვიყენებთ მზის ენერგიის წყაროებს, განვითარდება მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს ძალიან მალე მოუგვარდება ელექტროენერგიის, გაზის, ცხელი წყლის, გათბობის პრობლემა. შესამჩნევად გაიაფდება ცეცხლმოკიდებული ბაზარი, დიდად გამრავლდება პირუტყვი, რაც თავისთავად გააფართოვებს მსუბუქ, კონკრეტულად კი ტყავისა და ბეწვეულის წარმოებას. გადარჩება მდინარე, საგრძნობლად შემცირდება ტყის ბარბაროსული ჭრა, გამრავლდება ფლორა და ფაუნა, ნაკლებად შეგვაწუხებს ზვავები, მეწყერები და წყალდიდობები, მოვიყვანთ ეკოლოგიურად სუფთა მოსავალს, რომელსაც ბუნებრივ სასმელ წყალთან ერთად შევთავაზებთ მსოფლიოს, გაიკვალება ახალი საერთაშორისო ტურისტული მარშრუტები, რაც დიდ მოგებას მოუტანს ქვეყანას. გასუფთავდება უსაშველოდ დაბინძურებული ჰაერი. უკან დაიხევს მრავალი ავადმყოფობა, გაიზრდება ჯანსაღი ინტელექტუალური თაობა. დასაქმდება ხალხი, აღარ აიყრება განსაკუთრებით მაღალმთაინი სოფლები, განვითარდება მცირე და საშუალო ბიზნესი, შესაბამისად შეიქმნება საშუალო ფენა და პრაქტიკულად აღარ გვეყოლება ამდენი მათხოვარი“.



ბატონ მერაბ ბერაძის პროგრამას „ქართული დისქავერი“ ეწოდა. მის შესახებ უამრავი რეცენზიაა გამოქვეყნებული, რომელთაც ხელს აწერენ ქართული მეცნიერების პრაქტიკულად მთელი თანავარსკვლავედი (ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანსძ. ერთ -ერთ რეცენზიას ფრიად შთამბეჭდავი სათაური აქვს „ჟურნალისტმა სოფელი აყრას გადაარჩინა“, მეორეს „В программе „энергиа“ рецепты выхода страны из кризиса“. კითხულობ ამ ტკივილით და საქართველოში უკეთესი ცხოვრების დანერგვის დიდი სურვილით დაწერილ წერილებს და ფიქრობ, ნუთუ განგებ კეთდება ისე, რომ ჩვენი ხალხი სამუდამო გაჭირვების დიდ უფსკრულში გადაიჩეხოს?

სხვათა შორის, ბატონი მერაბ ბერაძე ის ქართველი ჟურნალისტია, რომელსაც პირველს საქართველოში მიენიჭა იუნესკოს სპეციალური მედალი მეცნიერებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის. იგი ასევე ერთადერთი ქართველი ჟურნალისტია, რომელიც საინჟინრო აკადემიის მრჩევლად აირჩიეს. იბრძოდა აფხაზეთში და იყო ეროვნული გმირის, ბატონი ჟიული შარტავას სპეცჯგუფში. საზოგადოებრივი ტელევიზიიდან კი იმიტომ დაითხოვეს, რომ თურმე „უინტერესო და ანტისახელმწიფოებრივი“ ყოფილა მისი გადაცემა. არა და თუნდაც მაშინდელი გამოკითხვით, ახლა რომ რეიტინგს ეძახიან, მისი საავტორო პროგრამა „ენერგია“ ყოველთვის ამშვენებდა პირველ სამეულს.

სწორედ მისი რეპორტაჟების უშუალო დამსახურებაა ის, რომ მცხეთის დედათა და ქოზიფის მამათა მონასტრებში მზისგან მიიღეს სინათლე და დღეს ორივეგან ამ შუქზე ტარდება წირვა- ლოცვა. შუამთაში კი დამონტაჟდა ბიოდანადგარი, სადაც ნაკელისგან იღებენ ბუნებრივ აირს. ასევე საქართველოს უამრავ კუთხე-კუნჭულში აგუგუნდა მიკროჰესი, ბიოდანადგარი, ქარის სისტემა, დამონტაჟდა მზისგან სინათლის და ცხელი წყლის მიმღები სისტემა და სხვ.

– თუ ჩემი იდეით და მოწოდებით თუნდაც ერთი პატარა სახლის მკვიდრთ სინათლე, გაზი ან ცხელი წყალი მივეცი, მაშინ მე სახელმწიფოებრივი საქმე მიკეთებია, რადგანაც სახელმწიფო, ასეთი პატარა სახლებისგან შედგებაო! – გულისტკივილით ამბობს საზოგადოებრივი ტელევიზიის მიერ უარყოფილი კომენტატორი.

ისე, როგორც მე, ისე ბევრ სხვასაც უკვირს, თუ რატომ ჰქვია ამ ტელევიზიას საზოგადოებრივი, თუ კი მას ოდნავაც არ ადარდებს საკუთარი საზოგადოების ტკივილი და რატომ ვიხდით თითოეული ჩვენგანი მის შესანახ ფულს?

ბატონი მერაბის პროგრამას, მახსოვს, ხალხი ელოდებოდა, რადგან მასში გამოდიოდნენ პრაქტიკოსები, რომლებიც თვალსაჩინოდ უხსნიდნენ მაყურებელს, თუ როგორ უნდა აეგოთ საკუთარი ხელით მიკროჰესი, ბიოდანადგარი, მზის დაფა, რათა მიეღოთ სინათლე და ცხელი წყალი. ეს იყო მეცნიერული ნოვაციების, საგამომგონებლო , პრაქტიკული ქვეყნისთვის ე. ი. მეტად საჭირო გადაცემა. 2004 წლის მაისში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებათა 48 დოქტორმა წერილობით მიმართა ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს გადაცემა „ენერგიის“ აღდგენის შესახებ. პასუხში კვლავ განმეორდა სიტყვა „უინტერესო“, თუმცა იმ ფონზე, რაც დღეს საქართველოს ტელევიზიებში ხდება, ეს არ არის გასაკვირი. დიახ, პროგრამა „ენერგია“ არ არის „ჯეო-ბარი“, „ღამის შოუ“, „ვაკაჭი“, 700 თუ 800-სერიიანი ფილმი და ბევრი სხვა. სასაცილოა ეს ყველაფერი, სატირალი რომ არ იყოს!

ახალი პრემიერი ბატონი ლადო გურგენიძე ენერგიული და საქმიანი კაცი ჩანს, იქნებ მან გამოიჩინოს მეტი გულისყური და იფიქროს იმ გადაცემის აღდგენაზე, რომელსაც უზარმაზარი სიკეთის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის. ეს ხომ ყველა ჩვენგანის უპირველესი სურვილია!?

**თამილა მაკარიძე.**

*რედაქციისგან: ეს წერილი ავტორმა კარგა ხნის წინათ დაწერა, მაგრამ მაშინ სიტუაციის გამწვავების თავიდან არიდების მიზნით, არ იჩქარა მისი გამოქვეყნება. დღეს კი მისი დაბეჭდვა, დიახაც, მეტად აქტუალურად მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ ახლა ძალზე მოდაშია ერთი ლოზუნგი: „საქართველო სიღარიბის გარეშე!“ სხვათა შორის, ამ სტატიაში ქალბატონმა თამილამ ნობელის პრემია ახსენა, რომელიც ელ გორს ზუსტად იმ თემატიკის პროპაგანდაში მიენიჭა, რაზეც მერაბ ბერაძე ათეულ წელზე მეტია ქადაგებს. სხვათა შორის, მერაბ ბერაძე ოთხჯერ იყო წარდგენილი სახელმწიფო პრემიაზე, რომელიც დიდი ჭაბუა ამირეჯიბის განმარტებით, მისთვის წელმაგარი იმუნიტეტი იქნებოდა, რათა პროგრამა ეთერიდან არ მოეხსნათ, მაგრამ პრემიების კომიტეტმა მისთვის ეს ჯილდო არ გაიმეტა. თურმე იმიტომ, რომ ყველაფერი ის, რასაც ამაოდ დამაშვრალი კომენტატორი აკეთებდა, მეტად „უმნიშვნელო ყოფილა“(?!ძ.*

---

საქმე №2-83-08

# განჩინება

**საქართველოს სახელით**
21 იანვარი 2008 წელი, ქ. რუსთავი
**რუსთავის საქალაქო სასამართლო**

**მოსამართლე ლ. ლიპარტელიანმა ერთპიროვნულად განიხილა სს „ქიმბოჭკოს“ გაკოტრების საქმეზე გაკოტრების კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი.**

**დაადგინა:**

2008 წლის 5 თებერვალს 12 საათზე რუსთავის საქალაქო სასამართლოში (გაკოტრების სასამართლოშიძ მისამართზე: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ.№6-ში მოწვეული იქნეს სს „ქიმბოჭკოს“ გაკოტრების კრედიტორთა კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. სს „ქიმბოჭკოს“ გაკოტრების საქმეზე დაგვიანებით გაცხადებული მოთხოვნების შემოწმება;
2. სს „ქიმბოჭკოს“ გაკოტრების მმართველის შ. გიგოლაშვილის მიმდინარე ანგარიშის მოსმენა გაკოტრების გახსნის დღიდან;
3. სს „ქიმბოჭკოს“ კრედიტორთა კომიტეტში ცვლილებების შეტანა და ახალი წევრების არჩევა.

განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, გამოიკრას სასამართლო დაფაზე. გამოქვეყნების ხარჯები გაღებულ იქნას გაკოტრების მასიდან.

განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა მისი გამოქვეყნებიდან 12 დღის ვადაში.

**მოსამართლე ლ. ლიპარტელიანი.**

# თარიღი

ამიტომ იწვევს მძაფრ ინტერესს, ზოგჯერ მწვავე განრჩხრეკვას მისი ყოველი ნ
ბიჯი სწორედ სამშობლოში. ამიტომ ვისმენთ ზოგჯერ მისი მოღვაწეობის ურთ
ერთგამომრიცხავ შეფასებებს სწორედ საქართველოში, განსაკუთრებით, ამ ბ
ლო დროს, როცა ემოციებმა, ვგონებ, სძლიეს რეალობის ობიექტურ აღქმას



◉ ედუარდ შევარდნაძე — 80

*როცა „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციამ შემომთავაზა ედუარდ შევარდნაძის 80 წლისთავთან დაკავშირებული წერილის ავტორობა, ჯერ ახლის დაწერაზე ვფიქრობდი, მით უმეტეს, ექსპრეზიდენტის მისამართით მოუზომელი და ზოგჯერ ლანძღვა-გინებაში გადასული „შემოქმედებით“ გამოირჩევიან საზოგადოების არამარტო რიგითი წევრები, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტე რედაქციისთვის შემომეთავაზებინა 10 წლის წინანდელი პუბლიკაცია, რომელიც წინ უძღოდა შევარდნაძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ წიგნს. ეს წიგნი არ გაყიდულა, იგი შეზღუდული ტირაჟით გამოვეცი მაშინ და გარკვეულ წრეს საჩუქრად დაურიგდა. ვფიქრობ, ამ წიგნში გამოქვეყნებული მოგონებები, რომელთა ავტორები მსოფლიო მნიშვნელობის მოღვაწენი არიან, ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომი რომ გამხდარიყო, ბევრი ამრატებული და უზნეო პიროვნება, მათ შორის დღევანდელი მაღალჩინოსანიც, იძულებული გახდებოდნენ დაეოკებინათ ბოღმა და სხვა უარყოფითი ემოციები.*

*უწინარეს, მათ გასაგებად მინდა ვთქვა: დიახ, ჰქონდა შევარდნაძეს შეცდომები და — სერიოზულიც, მაგრამ ჰქონდა ის, რასაც ვერ გადაფარავს ვერავითარი შეცდომა, მით უმეტეს, ვერ გადაფარავს ვერანაირი ლანძღვა-გინება. ეს არის ღვაწლი არა მარტო მთელი სახელმწიფოს — მამულის, ენისა და რწმენის წინაშე, არამედ ღვაწლი მსოფლიოს წინაშე.*

*და რაც არ უნდა მოინდომოთ თქვენ, ეს ღვაწლი არ და ვერ დაიმალება. იგი გახდება ცნობილი ახალთაობისთვის, მომავალი თაობებისთვის და 21-ე და შემდგომი საუკუნეების საქართველო იამაყებს თავისი ღირსეული შვილით, ისევე, როგორც ამაყობს, საქართველოს წარსულის გმირებით.*

# ღვაწლი მსოფლიოს წინაშე

### ქართველი მკითხველისადმი

1998 წლის 25 იანვარს ედუარდ შევარდნაძეს 70 წელი შეუსრულდა.

მისი ცხოვრება და საქმიანობა ყოველთვის იწვევდა ჩვენი საზოგადოების ინტერესს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბედმა და დრომ იგი მსოფლიო პოლიტიკის ორომტრიალში ჩააბა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში, მიხეილ გორბაჩოვთან ერთად, მისი სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა 1985 წლის შემდეგ განვითარებულ ისტორიულ მოვლენებს, რომლებსაც მოჰყვა „ცივი ომის“ დამთავრება და, პრაქტიკულად, ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება. რაღა თქმა უნდა, ასეთი ფიგურის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი უკვე აღარ შემოიფარგლება მისი სამშობლოს საზღვრებით.

ეს ინტერესი მრავალგზის არის განვითარებული განსხვავებული ჟანრების პუბლიკაციებში, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ წიგნებში. პარადოქსად ჩანს ის ფაქტი, რომ ასეთი არც ერთი წიგნი არ გამოცემულა მის სამშობლოში, მის მშობლიურ ენაზე. ბუნებრივია, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, გაჩენილიყო მისი გამოცემის სურვილი. თანაც, დასამალი არც ის არის, რომ იგი საიუბილეო საჩუქრად გახლდათ ჩაფიქრებული და მისი კონცეფციაც შესაბამისად იქნა გააზრებული.

როცა საქმე თითქმის დასრულებული იყო, ჩვენს ენთუზიაზმს ცივი წყალი გადაასხა... თვითონ შევარდნაძემ, თანაც, ჩვეული არგუმენტით: არ არისო ახლა ამის დრო!..

მაგრამ 9 თებერვლის ტერაქტმა და მის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა, ცალსახად დაგვარწმუნა ამ წიგნის სწორედ ახლა გამოცემის აუცილებლობაში...

და აი, თქვენ ხელთ გაქვთ წიგნი, რომლის ავტორთა თითოეულ ფრაზას შევარდნაძესთან ერთად მსოფლიო პოლიტიკის არენაზე თუ საქართველოში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება და თაობათა თვალწინ განმტკიცებული მეგობრობა, გულწრფელი პატივისცემა და აღიარება უდევს საფუძვლად.

ეს მოგონებები საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კი არის დაწერილი, მაგრამ მათ აშკარად საერთაშორისო ისტორიული ღირებულება აქვს. განსაკუთრებით იმ ნაწილს, რომელიც ეხება „პერესტროიკით“ გამოწვეულ მოვლენებსა და პროცესებს. ასევე, ჩვენი ახალგაზრდებისთვის, ვფიქრობთ, ერთობ საინტერესო უნდა იყოს „ქართული თემაც“, რადგანაც, უწინარესად, ეხება მშობლიური კულტურის განვითარების იმ პერიოდს, როცა ჩვენი ლიტერატურის, კინოს, თეატრის, მუსიკის და ხელოვნების სხვა დარგებში მოპოვებულმა წარმატებებმა საზოგადოებრიობა აალაპარაკა.

პირადად ვარ ბევრი იმის მოწმე ან მონაწილე, რაზედაც მკითხველს მოუთხრობენ ჩვენი კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი; მოსაგონებლად თვითონაც მაქვს არაერთი რამ, ეგებ, საზოგადოებისთვის აუცილებლად გასაზიარებელი, — ისიც, რასაც სხვა მოწმე არ ჰყავს, მაგრამ ამ წიგნის რედაქტორ-გამომცემლის როლის სპეციფიკიდან გამომდინარე, მკითხველი მარტო მინდა დარჩეს 74 ავტორის მიერ დახატულ 460-გვერდიან სამყაროში.

ერთადერთი, რასაც მორიდებულად ვთხოვ ქართველ მკითხველს, განსაკუთრებით ახალთაობას, ის არის, რომ ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, ეგებ ღირდეს მიუკერძოებელი და ფიქრიანი ანალიზი იმისა, თუ რატომ აფასებენ ასე ღირსეულად შევარდნაძეს, რისთვის გამოხატავენ ასეთ მადლიერებას მისადმი, ასე რატომ ამაყობენ მასთან მეგობრობით, რისთვის ეძებენ ამ კაცში მაგალითის სხვადასხვა ასპექტს, ღირსებების, მსოფლიო ისტორიაში ადამიანები; ისინი, ვინც თავისი ნიჭით, გამჭრიახობით, შეუპოვრობით მიაღწია უმაღლეს შემოქმედებით მწვერვალებს; რა აიძულებთ იმათაც კი, ვისაც ხანგრძლივი დროის მანძილზე ხელთ ეპყრათ ასეულ მილიონობით ადამიანის ბედი და ახლაც ხელეწიფებათ გადაწყვიტონ მსოფლიოს ბედ-იღბალი, პატივი მიაგონ მას და აღიარონ რომ:

— მსოფლიო მისგან დიდად დავალებულია (ჯონ მეიჯორი, ინგლისის ყოფილი პრემიერი);

— მან შეცვალა ეპოქა და კვლავაც შეცვლის მას (რობერტ ბერდი, ამერიკის შეერთებული შტატების სენატორი);

— აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფრონტაციის დასასრულის ისტორიის შექმნაში შევარდნაძეს მეტი წვლილი მიუძღვის, ვიდრე რომელიმე ცალკეულ პიროვნებას (ჯეიმს ბეიკერი, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი);

— იგი მთელი მგზნებარებით იბრძოდა საქმის პატიოსნად შესრულებისთვის. გმობდა და უარყოფდა ყოველგვარ ხრიკს, პარტნიორების მოტყუების მცდელობას, საქმის არსის გაყალბებას, დამუხრუჭების ყოველგვარ ცდას... იგი პრინციპების ადამიანია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — დოგმატიკოსი (მიხეილ გორბაჩოვი, საბჭოთა კავშირის ყოფილი პრეზიდენტი);

— მან რეალობად აქცია ახალი საბჭოთა პოლიტიკის პრინციპები, რომელთანაც უკვე შეიძლებოდა საქმის დაჭერა (ბორის ელცინი, რუსეთის პრეზიდენტი);

— უდავოა, რომ იგი იყო ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა, რომლის წყალობითაც მოხერხდა ისტორიის „ცივი ომის“ თავის დახურვა და ახლის გახსნა (სულეიმან დემირელი, თურქეთის პრეზიდენტი);

— მისი უდიდესი დამსახურებაა ის, რომ მნიშვნელოვან წილად სწორედ მისი მოღვაწეობის წყალობით შეჩერდა გამალებული ბირთვული შეიარაღების საზარელი მექანიზმი (ლეონიდ კუჩმა, უკრაინის პრეზიდენტი);

— ახლა ის დროა, როცა შევარდნაძის მრავალი მეგობარი მთელს მსოფლიოში უნდა დაფიქრდეს წვლილზე, რომელიც მან შეიტანა პლანეტაზე მშვიდობისა და სტაბილურობის დამკვიდრებაში (ბილ კლინტონი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი).

პოლიტიკოსის ბედის წინასწარმეტყველება უმადური საქმეა. ასევე ფუჭია იმის მცდელობა, რომ შეუცდომლად განსაზღვრო ის ადგილი, სადაც ასპარეზიდან წასვლის შემდეგ მოგაკუთვნებენ ჯერ თანამედროვენი და შემდეგ — ისტორია.

მით უმეტეს, ერთი ჩინური წყევლისა არ იყოს, თუ ისეთი უიღბლო ხარ, რომ ცხოვრობ გარდაქმნათა ეპოქაში.

ჩვენი ეპოქაც ასეთია: რადიკალური ძვრების, მსხვრევის და დაპირისპირების, მსოფლიოს გავლენის სფეროებად დაყოფის ხანა, როცა დიდია შანსი ვეშაპი ქვეყნების გეოპოლიტიკურ ინტერესებს შეეწიროს მომცრო ქვეყნების დამოუკიდებლად არსებობა, როცა შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მცირერიცხოვანი ერების ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ამ დროს ლიდერად ყოფნა გმირობის ტოლფასია ყველასათვის. მით უმეტეს, საპირისპირო გეოპოლიტიკური ინტერესების მქონე დიდი ქვეყნებით გარშემორტყმულ, ევროპისა და აზიის გასაყარზე მყოფ პატარა ქრისტიანულ საქართველოში.

სულიერი და ფიზიკური ძალების დაძაბვით, ერის და ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლობის უმძიმესი ტვირთის ტარების, ზოგჯერ საკუთარი თავმოყვარეობის დათრგუნვის ხარჯზე მიღებული ესა თუ ის გადაწყვეტილება, არცთუ იშვიათად, ყველასათვის გასაგები ან მისაღები როდია.

როგორი ვნებათაღელვა იცის ამ დროს პროვოცირებულმა მასამ — სისხლიანი, ძმათა ომში გადაზრდილი... ქართველებს ეს არაერთგზის გამოგვიცდია საკუთარ თავზე.

თითქმის 26 საუკუნის წინათ წერდა კონფუციუსი: თუ ბრბომ ვინმე შეიძულა, ვიდრე განსჯი, ყურადღებით გამოიკვლიე, რატომ მოხდა ასე. თუ ბრბომ ვინმე ძლიერ შეიყვარა, აქაც გაარკვიე, ვიდრე დასკვნას გამოიტანდე.

ასე იყო ყველგან და ყოველთვის.

დღესაც ასეა.

ეგებ, ამიტომაც ეკითხება ამ წიგნში შევარდნაძეს ჩვენი მეგობარი, გამოჩენილი მწერალი ჩინგიზ აითმატოვი: „ყველა გაიგებს, ყველა მიხვდება თქვენს მისიას?“

და იქვე უპასუხებს: „რას იზამ, ასეთები არიან ადამიანები, ასეთია საზოგადოების არსი, ასეთი ლიდერის ხვედრი“.

არც შევარდნაძე-ლიდერი არის და იქნება გამონაკლისი.

ამიტომ იწვევს მძაფრ ინტერესს, ზოგჯერ მწვავე განრჩხრეკვას მისი ყოველი ნაბიჯი სწორედ სამშობლოში. ამიტომ ვისმენთ ზოგჯერ მისი მოღვაწეობის ურთიერთგამომრიცხავ შეფასებებს სწორედ საქართველოში, განსაკუთრებით, ამ ბოლო დროს, როცა ემოციებმა, ვგონებ, სძლიეს რეალობის ობიექტურ აღქმას.

თუმც ამაში არაფერია გასაკვირი.

ისტორია მხოლოდ ბრალდებებით არ იწერება.

ქართველთა ყველა თაობა ცდილობს გაიაზროს საქართველოს ისტორიისთვის პრინციპული მნიშვნელობის ფაქტები და მოვლენები, დამოუკიდებლად, დროის ახალი გადასახედიდან შეაფასოს ისიც კი, რაც წინა თაობებს გააზრებული და განაჩენგამოტანილი აქვს...

სახელმწიფოებრივი ძლიერების შენარჩუნებისა და საქართველოს შემდგომი აღმავლობის მიზნით დავით მეოთხემ საქართველოში ყივჩაღები ჩამოასახლა...

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენის ამოცანის განსახორციელებლად გიორგი მეხუთემ მონღოლური დამპყრობლური ძალის კეთილგანწყობა გამოიყენა...

ქვეყნის შიგაპოლიტიკური პრობლემების მოგვარება გიორგი სააკაძემ შაჰ-აბას პირველის ირანის დახმარებით მოინდომა, უცხო ჯარს სამშობლოში შემოუძღვა და თავისი მიზნის განხორციელებისთვის შვილიც კი გასწირა...

მეფე ერეკლეს საბედისწერო გადაწყვეტილებას, ორიენტაცია აელო ერთმორწმუნე რუსეთზე, იმხანადაც გამოუჩნდა და ახლაც ბევრი ოპონენტი ჰყავს, თუმცა არავის მოუვა აზრად ეჭვი შეიტანოს დიდი მეფის პატრიოტიზმში, ისევე, როგორც დავით მეოთხის, გიორგი მეხუთის, სააკაძის...

დროის გადასახედიდან ჩანს, რომ ეს გადაწყვეტილებები მაშინდელი რეალობიდან გამომდინარეობდა, გამიზნული იყო ქვეყნის ინტერესების დასაცავად და მის გასაძლიერებლად, მათი საფუძველი სამშობლოს სიყვარული იყო და, მიუხედავად განსხვავებული თუ სადავო ისტორიული შედეგებისა, არავის უკიჟინებს იმდროინდელ არაპოპულარულ ნაბიჯებს მათ, რომელთაგანაც ერთი ერმა წმინდანად შერაცხა და აღმაშენებელი უწოდა, მეორეს ისტორიაში ადგილი ბრწყინვალის სახელით დაუმკვიდრა, მესამე დიდ მხედართმთავრად აღიარა და ძეგლები დაუდგა, მეოთხეს — პატარა კახს, სიყვარულით მოიხსენიებს და ყოველწლიურად მის პატივსაცემად სახალხო დღესასწაულსაც მართავს.

ასევე, თანამეროვეთა, უფრო — შთამომავლობის ობიექტურ შეფასებას და ისტორიაში კუთვნილ ადგილს ელის ზვიად გამსახურდია — პიროვნება, უაღრესად დრამატული ლიდერი — საუკუნის მიჯნაზე საქართველოს გამარჯვების მედროშე და, ამავე დროს, ქვეყნის ურთულესი ვითარების ერთ-ერთი, ნებსით თუ უნებლიე შემოქმედი, ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერით, ტრიუმფით რომ მოვიდა ხელისუფლების სათავეში ყველა ქართველისთვის სანუკვარი მიზნით...

დიახ, ძნელია ლიდერის ხვედრი.

და მიუხედავად ამისა, ლიდერის ცხოვრება, მოღვაწეობა, მისი ბედ-იღბალი ყოველთვის იქნება საზოგადოების ცხოველი ინტერესის ობიექტი.

...შევარდნაძეზე არა მარტო ისაუბრებენ, არა მარტო შეაფასებენ — მოიწონებენ თუ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებენ მის მოღვაწეობას, არამედ შეისწავლიან;

შეისწავლიან იმიტომ, რომ იქნება შედეგი — ისტორიული შედეგი, რომელიც განსაზღვრავს იმას, იქნება თუ არა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო, ექნება თუ არა მას კუთვნილი ადგილი ცივილიზებულ მსოფლიოში;

შეისწავლიან იმიტომ, რომ მან, უდავოა, უკვე მოიპოვა ადგილი ისტორიაში.

მისი საერთაშორისო მოღვაწეობის შედეგებით და ავტორიტეტულ მოღვაწეთა უყოყმანო აზრით „ძნელად მოიძებნება მსოფლიოში ადამიანი, რომელმაც შეძლო სამყარო შეეცვალა ისე, როგორც ეს ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ამჟამინდელმა საქართველოს პრეზიდენტმა მოახერხა. როდესაც ამ საუკუნის გამორჩეულ პიროვნებებს შეაფასებენ, ერთ-ერთი პირველი, ამ პიროვნებების რიცხვში, საქართველოს პრეზიდენტი აღმოჩნდება“ (ვილი ვიმერი, გერმანიის პარლამენტის წევრი); თუნდაც იმიტომ, რომ „ერთობა დაუბრუნა გერმანელ ხალხს, მისი სახელი სამუდამოდაა შეტანილი ამ ხალხის ისტორიაში“ (ჰანს — დიტრიხ გენშერი, გერმანიის პარლამენტის წევრი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი).

ასე ფიქრობენ იქ.

ჩვენი ქვეყნის ჟამთაალმწერლებსაც მუდამ ექნებათ სურვილი და მოთხოვნილება გააანალიზონ და შეაფასონ რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს 200-წლიანი ყოფნის შედეგები, ის პროცესები, რომლებმაც საქართველოს ამ საუკუნეში მეორეჯერ მოუტანა დამოუკიდებლობა, ის სისხლიანი ფასი, რაც დაჯდა ეს გამარჯვება, ის უძნელესი გზა, რომელმაც შევარდნაძის ჩანაფიქრით საქართველო ტაძრამდე უნდა მიიყვანოს...

და ამ ანალიზისას, ვფიქრობ, ვერც ერთი ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის შევარდნაძის საქმიანობას, მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორია ვერ დაიწერება მისი ფენომენის გააზრების გარეშე.

სხვა, განსხვავებული აზრიც არსებობს. ესეც ბუნებრივია. და დღევანდელი მრავალფეროვანი გამის მიუხედავად, დროს და შთამომავლობას ობიექტურ განსაზღვრაში ეს წიგნი სამსახურს აუცილებლად გაუწევს.

**ნუგზარ ფოფხაძე**
15 ივნისი, 1998 წ.

გასული წლის ბოლო ბათუმში ღირსშესანიშნავი მოვლენით დაგვირგვინდა. 27 დეკემბერს ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში გაიხსნა უაღრესად საინტერესო გამოფენა, რომელშიც ასახულია სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს უძველესი ისტორია – ადამიანის პირველი გამოჩენიდან, ვიდრე შუა საუკუნის ჩათვლით



ინფორმაცია

## ბაიბურთო, ნუ გაყიდი რკინიგზას!

„საქართველოს რკინიგზის“ პრივატიზების საკითხით, შესაძლოა, ყაზახური მხარე დაინტერესდეს.

როგორც გადაცემა „კაპიტალის“ ეთერში ბანკი „ტურან ალემის“ ვიცე-პრეზიდენტმა ერკინ ტატიშევმა აღნიშნა, ბანკისთვის რკინიგზის პრივატიზების პროცესში მონაწილეობა საკმაოდ საინტერესოა.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პრივატიზების პოლიტიკის სამმართველოს ხელმძღვანელმა გრიგოლ ბაიბურთმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე აღნიშნული ბანკიდან, მისი ინფორმაციით, ეკონომიკის სამინისტროში განაცხადი შესული არ არის.

ბაიბურთის განცხადებით, ინვესტორების მხრიდან რკინიგზის პრივატიზებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებაზე დიდი ინტერესი შეინიშნებოდა. კონკრეტულად ვისი ან რამდენი განაცხადია შესული რკინიგზის პრივატიზების მიზნით, გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაზე ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ჯერ არ აკონკრეტებს.

ინტერესთა გამოხატვის პროცესი დღეს დღის მეორე ნახევარში დასრულდება და კონკრეტული წინადადებების შესახებ ცნობილი, სავარაუდოდ, მას შემდეგ გახდება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობა საინტერესო წინადადების მოლოდინში რკინიგზის გასხვისების სხვადასხვა მოდელზე ფიქრობს, თუმცა, შემოსულ თითოეულ განცხადებასა და იდეას დეტალურად განიხილავს.

რკინიგზის გასხვისების ერთ-ერთ საინტერესო მოდელად მისი აქციების საფონდო ბირჟებზე გატანა სახელდება.

## „ლეიბორისტები“ ტერი დევისს მიმართავენ

„საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ წევრები ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ტერი დევისს საქართველოში 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების ობიექტურ შეფასებას სთხოვენ.

პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე „ლეიბორისტების“ ლიდერებმა განაცხადეს, რომ ევროსაბჭოში წერილს გააგზავნიან, სადაც დაფიქსირებულია, თუ როგორ ახორციელებდა მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკურ ოპონენტებზე ზეწოლას და როგორ მოხდა არჩევნების ტოტალური გაყალბება.

ევროსაბჭოს არ ჰქონდა უფლება, ხალხის აზრის გათვალისწინების გარეშე შეეფასებინა არჩევნები, – აღინიშნა პრესკონფერენციაზე.

გარდა ამისა, „ლეიბორისტული პარტია“ ევროსაბჭოში სპეციალური ჯგუფების შექმნას ითხოვს, რომელიც 7 ნოემბერის მოვლენებს სათანადოდ შეისწავლის.

ინტერპრესნიუსი

მხარე

# ხელისუფლების გაგზავნილი ტრაქტორები მუდმივად გამგებლების ეზოებში დგანან

**მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების საფასურის ოდენობა შემცირდა. მესაკუთრეებს ამიერიდან გაცილებით დაბალი თანხის გადახდა მოუწევთ. ამ საინტერესო ინიციატივის შესახებ ინფორმაცია დედოფლისწყაროს გამგეობის პრესსამსახურმა გაავრცელა.**

საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ გასული წლის მიწურულს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისია. კომისია პირველი სხდომის გამართვას ერთი თვის ვადაში გეგმავდა.

ამ ხნის მანძილზე კომისიის თავმჯდომარის სახელზე საკმაოდ ბევრი განცხადებაც დაგროვდა. თუმცა, დეკემბრის ბოლო რიცხვებში კომისიის სხდომა არ გამართულა. ამის მიზეზი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში მოსალოდნელი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე მიღებული ინფორმაცია გახდა. ცვლილებები და დამატებები მართლაც მოხდა და სახეცვლილ კანონს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ ხელი 2007 წლის 28 დეკემბერს მოაწერა.

უნდა ითქვას, რომ კანონში ცვლილებები მიწის მომავალ მფლობელთა სასარგებლოდ განხორციელდა. როგორც დედოფლისწყაროს გამგეობის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, საგრძნობლად გაიაფდა საკუთრების უფლების აღიარების საფასურის ოდენობა.

18 იანვარს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედმა კომისიამ პირველი სხდომა გამართა, რომელსაც კომისიის თავმჯდომარე ზაზა ფიროსმანაშვილი უძღვებოდა.

პრესსამსახურის ცნობით, კომისიაში შემოსული იყო დაახლოებით ორმოცდაათამდე განცხადება, მაგრამ პირველ ეტაპზე, საკუთრების უფლების აღიარებისთვის საჭირო დოკუმენტების არასრულყოფილების გამო, კომისიამ მხოლოდ ოცდაორი განცხადება განიხილა.

მათგან საკუთრების უფლების აღიარების მოწმობა პირველივე ჯერზე გადაეცა მხოლოდ ათ მოქალაქეს. დანარჩენი განცხადებები მეორად განხილვას დაექვემდებარა. იყო კომისიისთვის არასწორად მიმართვის ფაქტებიც. ასეთი კატეგორიის განცხადებები კომისიამ შესაბამის ადრესატებს გადაუგზავნა.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, კომისია მეორე სხდომას უახლოეს დღეებში გამართავს.

დედოფლისწყაროელები აღნიშნულ ფაქტს მიესალმებიან და იქვე იმასაც დასძენენ, რომ ამგვარი ინიციატივით გლეხის ყოფა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გათავისუფლდება შებოჭილი გადასახადებისგან, რომელთა დიდი ნაწილი ბოლო დროს თითქმის ორმაგად გაიზარდა. მოსახლეობა იქვე იმასაც დასძენს, რომ გადასახედია სხვადასხვა გადასახადების საკითხიც, რომელთა დიდი ნაწილი სრულიად უსაფუძვლოდაა გაზერილი.

მოსახლეობა სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ პრობლემებზეც ღიად საუბრობს და დანანებით აღნიშნავს, რომ შირაქის უხვმოსავლიანი მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი რამდენიმე წელია დაუმუშავებელი რჩება. ამის უმთავრესი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ გაძვირებულია საწვავი და არ არსებობს სათანადო ტექნიკა. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის ნაჩუქარი ტრაქტორები დედოფლისწყაროსაც ერგო, მისი ასავალ-დასავალი ადგილობრივი გლეხებისთვის დღემდე გაურკვეველია. ისინი დანანებით აცხადებდნენ, რომ სააკაშვილის გამოგზავნილი ტრაქტორები მუდმივად გამგებლების ეზოებში დგანან და გლეხკაცისთვის ისინი მუდმივად მიუწვდომელია...

**ილია მარტყოფლიშვილი**



სიახლე



# აჭარის მიწის საიდუმლოებანი – მუზეუმებში

***გასული წლის ბოლო ბათუმში ღირსშესანიშნავი მოვლენით დაგვირგვინდა. 27 დეკემბერს ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში გაიხსნა უაღრესად საინტერესო გამოფენა, რომელშიც ასახულია სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს უძველესი ისტორია – ადამიანის პირველი გამოჩენიდან, ვიდრე შუა საუკუნის ჩათვლით. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი განთავსებულია შესანიშნავ შენობაში ფართო ვესტიბიულითა და დიდი საგამოფენო დარბაზით. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამ ხასიათის მუზეუმი მხოლოდ ბათუმშია, რომელიც მისი დირექტორის, ცნობილი არქეოლოგის, პროფესორ ამირან კახიძის დიდი მეცადინეობის შედეგად დაარსდა. უთუოდ საგულისხმოა ის დიდი სამუშაოები, რასაც მუზეუმის თანამშრომლები ეწევიან ველზე არქეოლოგიური გათხრებისას თუ საცავებში ექსპონატების მოვლა-პატრონობის, დაცვის მიზნით. სწორედ მათი უშუალო მონაწილეობით გახდა შესაძლებელი უაღრესად საინტერესო გამოფენის მოწყობა. საექსპოზიციო მასალა დიდი გემოვნებითაა შერჩეული და გამოფენილი.***

არ არის შემთხვევითი, რომ ამ ხასიათის მუზეუმი სწორედ ბათუმში დაარსდა. აჭარა ის რეგიონი იყო, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა სამხრეთ კავკასიის დასავლეთი ნაწილის უძველეს ისტორიაში. აქ უნდა ჩაყროდა საფუძველი ახალ ეკონომიკურ სისტემაზე, მიწათმოქმედებაზე და მესაქონლეობაზე გადასვლას. აქედან იწყება კოლხეთის დაბლობის ათვისების პირველი ცდა და ქობულეთთან შესწავლილ ისპანის ნამოსახლარზე კარგად აისახა ეს პროცესი. ლითონის ხანაში მძლავრად ამოქმედდა ჭოროხის მეტალურგიული ცენტრი და სწორედ აქ ეყრება საფუძველი ბრინჯაოს ხანის კოლხურ კულტურას, რომელმაც მთელი დასავლეთი ამიერკავკასია მოიცვა და მის ფარგლებს გარეთაც გავრცელდა. ანტიკური ხანის უბრწყინვალეს ძეგლზე ფიჭვნარში, ქობულეთთან, წლების მანძილზე მოღვაწეობს ქართულ-ინგლისური ერთობლივი ექსპედიცია პროფესორ ა. კახიძის ხელმძღვანელობით. აქ გამოვლინდა მკვიდრი მოსახლეობის და ბერძენი კოლონისტების სამაროვნები, სადაც უაღრესად საყურადღებო სამარხეული ინვენტარი აღმოჩნდა. ფიჭვნარის სამაროვანზე კარგად აისახა ადგილობრივი და მოსული მოსახლეობის თანაცხოვრების მაგალითი. საგულისხმოა, რომ ამ საყურადღებო ძეგლს მიეძღვნა პროფ. ა.კახიძის ფუნდამენტური მონოგრაფიული გამოკვლევა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი საშუალო საუკუნის ძეგლებიდან აღსანიშნავია გონიოს ციხე-სიმაგრეზე მოპოვებული მასალები, სადაც წლების მანძილზე ფართო ხასიათის გათხრები მიმდინარეობს პროფ. შოთა მამულაძის ხელმძღვანელობით. უთუოდ მისასალმებელია ის, რომ სულ ახლახან გამოქვეყნდა აჭარის ისტორიის მრავალტომეულის პირველი ტომი, სადაც ფართოდაა გამოყენებული გამოფენაზე წარმოდგენილი მასალა. სამწუხაროდ, ამას ვერ მოესწრო მისი პირველი რედაქტორი, აჭარის წარსულის დაუღალავი მკვლევარი, ბრწყინვალე მეცნიერი და დიდებული პიროვნება, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი დავით (დურსუნ) ხახუტაიშვილი.

ექსპოზიციაში კარგადაა ასახული, რომ საქართველოს ეს მხარე ყოველთვის იზიდავდა ადამიანს, რომელიც აქ უწყვეტად განაგრძობს არსებობას უხსოვარი დროიდან. თქმა არ უნდა, რომ გამოფენას დიდი ინტერესით გაეცნობიან აჭარის მრავალრიცხოვანი სტუმრები, დამსვენებლები, ტურისტები და, რაც მთავარია, მოზარდი თაობა, მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელსაც სრული წარმოდგენა შეექმნება თავისი კუთხის შორეულ წარსულზე.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის გამოფენის გახსნას, სამწუხაროდ, არ დასწრებია აჭარის ადგილობრივი მთავრობის არც ერთი წევრი, კულტურის მინისტრიც კი. არც თბილისი გამოხმაურებია ამ თვალსაჩინო მოვლენას. ეს, მით უმეტეს, გასაკვირია, რომ ხშირი მოწმენი ვართ იმ ზარ-ზეიმებისა, რომლებიც არცთუ იშვიათად იმართება ბათუმში ზოგჯერ გაცილებით უფრო ნაკლებ ამბავთან დაკავშირებით. რომ არა ბათუმის უნივერსიტეტის, მისი რექტორის ალექსანდრე ლაშხის უშუალო მონაწილეობისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაღლამი არქეოლოგისა, ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში გამოფენის გახსნა სრულიად შეუმჩნევლად ჩაივლიდა. აჭარაში ამ ბოლო დროს ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა და არქეოლოგიური გამოფენა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საჩუქარია ბათუმისთვის.

**ოთარ ჯაფარიძე,**
აკადემიკოსი.

„სამხრეთ ოსეთის“ ლიდერის ინიციატივის თაობაზე ბატონმა ბაქრაძემ განაცხადა, რომ „საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრა ვერ იქნება საკუთარი თავის გადარჩენის საშუალება და პოლიტიკური რეკლამა



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილის ღვინის პიარი საპარლამენტო ასამბლეაში

სტრასბურგში ხუთშაბათის მთავარი მოვლენა გახდება საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა. ქართველ ლიდერს შესაძლებლობა მიეცემა პრესტიჟული ტრიბუნა გამოიყენოს როგორც თავისი შიდა პოლიტიკური მიზნებით, ასევე იმისთვის, რომ მნიშვნელოვანი სიგნალები გაუგზავნოს რუსეთსა და დასავლეთს. საღამოს სააკაშვილი დარბაზობაზე იწვევს 47 ქვეყნის წარმომადგენლებს. პარლამენტარებსა და სხვა სტუმრებს ქართული ღვინით უმასპინძლებენ, რომელიც სპეციალურად სტრასბურგში პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტისთვის მოამზადეს. საქართველოს ლიდერის პროგრამა დატვირთულია. ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეის წევრების წინაშე გამოსვლის გარდა მას შეხვედრები ელის ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან ტერი დევისთან და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახალ თავმჯდომარესთან ლუის მარია დე პუჩთან.

ევროსაბჭოს წარმომადგენლები საპატიო სტუმრის ყურადღებას უთუოდ მიაპყრობენ ამასწინანდელი საპრეზიდენტო არჩევნების დროს მეთვალყურეთა მიერ დაფიქსირებულ დარღვევებს. საქართველოს საკითხზე მომხსენებელმა უნგრელმა პარლამენტარმა მათიაშ იორშმა ხაზი გაუსვა, რომ ეს „საკმაოდ სერიოზული დარღვევებია“ და „ისინი რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღმოიფხვრას“, რაც შეიძლება სწრაფად, ალბათ იმას ნიშნავს, რომ მაისის საპარლამენტო არჩევნებისთვის.

მაგრამ ბატონი სააკაშვილი იმდენად ჭკუის დარიგების მოსმენას კი არ აპირებს, რამდენადაც პიარს. პრეზიდენტს სულ ცოტა პრესის წინაშე ორი გამოსვლა და დიდი პრესკონფერენცია აქვს დაგეგმილი. რამდენიმე ასეული კაცისათვის გათვალისწინებულ დარბაზში მიღებაც შემთხვევითი როდია. სააკაშვილი ცდილობს წარმოაჩინოს კავკასიური სტუმართმოყვარეობა და მშვიდობისმოყვარეობა, ამასთან რეკლამა გაუწიოს ქართულ ღვინოს დასავლეთის ბაზრებზე გასვლისათვის.

რუსეთი არ მალავს, რომ უკმაყოფილოა საქართველოს ლიდერის ჩამოსვლით. საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის დელეგაციის მეთაურმა კონსტანტინე კოსაჩოვმა „ნეზავისიმაია გაზეტას“ ასე განუმარტა სიტუაცია: „პირველად სააკაშვილის მოწვევის წინადადება წამოაყენა ლიბერალთა ჯგუფმა დეკემბრის დამდეგს, როცა ჯერ კიდევ არ იყო ცხადი, თუ როგორ ჩაივლიდა საპრეზიდენტო არჩევნები და ჯერ ლაპარაკიც არ იყო საპარლამენტო არჩევნებზე. ახლა კი, როცა ეს საკითხი ისევ მსჯელობის საგანი გახდა, ასამბლეაში აზრი გაიყო. მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლებმა, სააკაშვილისადმი თავიანთი დამოკიდებულების მიუხედავად, მიიჩნიეს, რომ სწორედ ამ სესიაზე მისი მოწვევა სწორი არ იქნებოდა“. როგორც კოსაჩოვმა თქვა, როცა ამ საკითხს საპარლამენტო ასამბლეის ბიუროზე განიხილავდნენ, წამოყენებული იყო ორი წინადადება, ამ სესიაზე გაეგზავნათ მოწვევა, თუ რომელიმე მომავალ სესიაზე. რუსეთმა მეორე ვარიანტს დაუჭირა მხარი.

კოსაჩოვმა აღნიშნა, რომ რუსეთის პოზიციას მხარი დაუჭირა საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური ჯგუფების ხუთი ლიდერიდან სამმა და მთელმა რიგმა ავტორიტეტულმა პარლამენტარებმა დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. „პირველად მოხდა, რომ სახელმწიფოს ლიდერს კონსენსუსის სიტუაციაში არ იწვევდნენ, — განმარტა კოსაჩოვმა. — იმათ, ვინც სააკაშვილის ჩამოსვლას მოითხოვდა, მას დათვური სამსახური გაუწიეს. არ ვისურვებდი სახელმწიფოს ლიდერის ადგილზე ყოფნას, რომლის სტრასბურგში ჩამოსვლასაც ასეთი დისკუსია უძღოდა წინ“.

ნეგატიური რეკლამაც რეკლამაა. პოლემიკის მონაწილეთა მიერ საქართველოს ლიდერისთვის გაწეული სამსახური, საეჭვოა, თავად სააკაშვილმა „დათვურ სამსახურად“ აღიქვას. ვიზიტისათვის საჭირო ფონი შექმნილია. მაგრამ საქართველოს ლიდერმა გონივრულად უნდა გამოიყენოს გამოსვლისათვის გამოყოფილი დრო. დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ სააკაშვილი ეცდება რამდენიმე დღის წინ თავისი ინაუგურაციის დროს გაჟღერებული ზოგიერთი აზრის განვითარებას. მაგალითად იმის თაობაზე, რომ „ყველაფერს გააკეთებს საქართველოს გაერთიანებისთვის“ და რომ „მეგობრობის ხელს უწვდის ყველა მეზობელს, განსაკუთრებით რუსეთს“. ამიერკავკასიაში კონფლიქტების თემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კოსოვოს თაობაზე დისკუსიის ფონზე, რომელიც სტრასბურგში მიმდინარეობს. საპარლამენტო ასამბლეის ზოგიერთი წარმომადგენელი ბოლო დღეების განმავლობაში აღნიშნავდა რუსეთის პოზიციის არაკონსტრუქციულობას, რომელიც კოსოვოს საკითხში სერბიას ემხრობა და იმავდროულად მხარს უჭერს სეპარატისტულ ტენდენციებს საქართველოში.

რაც შეეხება უშუალოდ კოსოვოს შემთხვევას, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ღრმა შეშფოთება გამოხატა იმით, რომ კოსოვოს სტატუსზე ურთიერთმისაღები გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღწეული. ასამბლეამ გაეროს უშიშროების საბჭოს მოუწოდა ყოველი ღონე იხმარონ და გამონახონ კომპრომისი, რათა „კოსოვო დენთის კასრად“ და „ბალკანეთის გაყინულ კონფლიქტად არ გადაიქცეს“. პარლამენტარებმა განაცხადეს, რომ კოსოვო უნდა იყოს „პოლიეთნიკური სივრცე, უსაფრთხო ყველა იქ მცხოვრები ადამიანისთვის“, სადაც სრულად იქნება გამოყენებული ევროსაბჭოს სტანდარტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. თავის მხრივ, ალბანეთის პრეზიდენტი ბამირ ტოპი ოთხშაბათს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოსვლისას, აშკარად ლობირებდა კოსოვოს დამოუკიდებლობას.

სტრასბურგში ყველაზე საინტერესო მოვლენა გახდა შვეიცარიელი პარლამენტარის დიკ მარტის გამოსვლა გაეროსა და ევროკავშირის შავი სიების პრობლემის თაობაზე. მარტის მოხსენების თანახმად გაეროს შავ სიას, რომელში შეყვანაც იწვევს დაინტერესებულ პირთა საბანკო ანგარიშების გაყინვას და გადაადგილების აკრძალვას, ადგენენ მკაცრად გასაიდუმლოებული რეჟიმით. ამას ნიუ-იორკში აკეთებს კომიტეტი 1267 უშიშროების საბჭოს წევრთა მოთხოვნით. ამ სიაში შეყვანილ პირებს ამის შესახებ არ აცნობებენ და მათ წართმეული აქვთ შესაძლებლობა ვინმეს მიმართონ დახმარებისთვის. ამჟამად შავ სიაში შეყვანილია 362 კაცის და 125 საწარმო და ორგანიზაცია.

**იულია პეტროვსკაია**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# როგოზინის აზრით საქართველოს და უკრაინას ნატოში შესვლის მცირე შანსი აქვთ

ნატოში რუსეთის მუდმივ წარმომადგენელს დიმიტრი როგოზინს ეჭვი ეპარება, რომ უკრაინას და საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მიიღებენ. „მართალი გითხრათ, არც უკრაინა და, მით უმეტეს, არც საქართველო არ შეესაბამებიან ნატოში შესვლის კანდიდატი ქვეყნის სტანდარტებს“, — განაცხადა დ.როგოზინმა. მისი აზრით, ამ ქვეყნებს ახლა ალიანსში მიღების მცირე შანსი აქვთ. „სრულებით არ მჯერა, რომ ნატოში აღმოჩნდებიან ისეთი შეუპოვრები, რომლებიც ალიანსთან ჩვენი ურთიერთობის ესოდენ რთულ მომენტში უკრაინას და საქართველოს თავის შემადგენლობაში მიიწვევენ“, — აღნიშნა მან.

გარდა ამისა, ხაზი გაუსვა როგოზინმა, საერთაშორისო კავშირში, კოალიციაში, მით უმეტეს, სამხედრო კოალიციაში სახელმწიფოს შესვლა ნიშნავს, რომ იგი ნებაყოფლობით უარს ამბობს თავისი სუვერენიტეტის ნაწილზე, იმ უფლებაზე, რომ გადაწყვიტოს მრავალი საკითხი თავდაცვის, უშიშროების, სამხედრო და საგარეო პოლიტიკის სფეროში და ამ უფლებას ზესახელმწიფო სტრუქტურას გადასცემს.





„ანუ ამგვარ ნაბიჯს კარდინალური ცვლილებები, სირთულეები მოსდევს თავად ასეთ სახელმწიფოებში — საქმე ეხება უკვე მათ გეოპოლიტიკურ არჩევანს, იმ ფაქტის აღიარებას, რომ ნატოში მონაწილეობა ეს არის ნეიტრალური, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსზე უარის თქმა“, — გადმოსცემს „ინტერფაქსი“ მუდმივი წარმომადგენლის სიტყვებს.

იგი დარწმუნებულია, რომ ნატოში უკრაინის შესვლის შედეგებს ნეგატიური ხასიათი ექნება და რუსეთთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის, ჩვენი ქვეყნების „მრეწველთა შორის ჰორიზონტალური ურთიერთობის“ დარღვევას გამოიწვევს. „უკვე ალარაფერს ვამბობ ფსიქოლოგიური და ჰუმანიტარული ხასიათის შედეგებზე. ეს სიტუაცია დრამატულად მესახება“, — დასძინა მან.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

# კოკოითმა თბილისს დიალოგი შესთავაზა

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის მეთაურმა ედუარდ კოკოითმა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს „პირდაპირი მოლაპარაკება“ შესთავაზა. მან რუსეთსა და ეუთოს მიმართა თხოვნით „ხელი შეუწყონ ამ შეხვედრის ორგანიზებას“. ცხინვალი თბილისს სთავაზობს ხელი მოაწეროს მემორანდუმს ძალის გამოუყენებლობის შესახებ. სამხრეთ ოსეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ბორის ჩოჩიევმა „ვრემია ნოვოსტეის“ განუცხადა, რომ „თუ მხარეები შეთანხმდებიან ხელი მოაწერონ ასეთ დოკუმენტს, მისი შედგენა პრობლემა არ არის“. მოსკოვი მხარს უჭერს მემორანდუმის ხელმოწერას.



მაგრამ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ თვითაღიარებულ რესპუბლიკებთან თანაბარ პირობებზე არანაირი დოკუმენტი არ დაიდება, ვინაიდან „ეს ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის შეთანხმების ხელმოწერის ტოლფასი იქნება“. მისი თქმით, შეთანხმება შეიძლება მხოლოდ საქართველოში შიდა კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის ნაწილი გახდეს. „სამხრეთ ოსეთის“ ლიდერის ინიციატივის თაობაზე ბატონმა ბაქრაძემ განაცხადა, რომ „საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრა ვერ იქნება საკუთარი თავის გადარჩენის საშუალება და პოლიტიკური რეკლამა. ასეთი შეხვედრა გაიმართება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოკოითს კონკრეტული წინადადებანი ექნება კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ
НОВОСТЕЙ

# უცხოეთის პრესა

ლავროვის თქმით, რუსეთი გულწრფელად დაინტერესებულია საქართველოსთან ურთიერთობის მოწესრიგებით. „ზოგიერთისგან განსხვავებით, ჩვენ საქართველოში მიმდინარე პროცესებში არ ვერევით. არ ჩავრეულვართ არც ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობაში. არ გვინდა, რომ რუსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკა სხვა ამოცანათა გადაწყვეტისათვის გამოიყენებოდეს“

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „სამეული“ ამიერკავკასიაში მიემგზავრება

აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო ემზადებიან ევროკავშირის „სამეულის“ ვიზიტისათვის, რომელიც ევროკავშირის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელთაგან შეიქმნა. ვიზიტი თებერვლის დამდეგს არის დაგეგმილი. ცნობილია განსახილველი თემებიც: ევროკავშირის კეთილმეზობლური პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან და ტერიტორიული კონფლიქტები. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კონფლიქტურ ზონებში ევროპის წარმომადგენელთა გააქტიურება, რაც ბოლო ხანს შეინიშნება, ექსპერტთა აზრით, კოსოვოს სიტუაციას უკავშირდება. სამი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უწყებებში აღნიშნეს დელეგაციის ვიზიტის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ვიზიტისა, რომელიც ითვალისწინებს უმაღლესი დონის შეხვედრებს. ამასთან სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-მდივანმა ვლადიმერ კარაპეტიანმა „ნეზავისიმაია გაზეტას“ კორესპონდენტთან საუბრისას არ გამორიცხა სამხრეთ კავკასიის საკითხებში ევროკავშირის სპეცწარმომადგენლის პეტერ სემნების ჩამოსვლა, რომელსაც „თანამდებობრივად შეუძლია ვიზიტის მომზადება“. საგარეო ურთიერთობების ევროკომისრის ბენიტა ფერერო-ვალდნერის და ევროკავშირის თავმჯდომარე სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრის დმიტრი რუპერის მეთაურობით ევროკავშირის დელეგაციის ვიზიტის „განსაკუთრებული მნიშვნელობა“ შეიძლება უკავშირდებოდეს იმას, რომ იმავე დღეებში სერბიაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართება და არ არის გამორიცხული ამას კოსოვოს საერთაშორისო აღიარების პროცესი მოჰყვეს. სამხრეთ კავკასიამ, სადაც სამი ტერიტორიული კონფლიქტია, შეიძლება სტუმრებისაგან ზოგიერთ საკითხზე პასუხი მიიღოს. რამდენიც უნდა ამტკიცოს დასავლეთმა, რომ კოსოვოს საკითხის გადაწყვეტა პრეცედენტი არ გახდება, როგორც საქართველო, ისე აზერბაიჯანი შეშფოთებული არიან. შემთხვევითი არ არის, რომ უალტერნატივოდ პროდასავლური თბილისი კოსოვოს საკითხში თავიდან მოკრძალებით, ბოლო ხანს კი გადაჭრით უჭერს მხარს რუსეთს, რომელიც ამ მხარის სუვერენიტეტის წინააღმდეგ ილაშქრებს. „კოსოვოს დამოუკიდებლობა შეიძლება სტიმული გახდეს აფხაზეთისთვის და სამხრეთ ოსეთისთვის, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტია“, – უთხრა „ნეზავისიმაია გაზეტას“ თბილისის განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრის ხელმძღვანელმა პაატა ზაქარეიშვილმა.

აზერბაიჯანთან და სომხეთთან დაკავშირებით ცოტა სხვაგვარი სიტუაციაა. თუ საქართველოში ტერიტორიების დაკარგვა თავიდანვე შიდა კონფლიქტმა გამოიწვია, ყარაბაღის შეტაკება პირველივე დღეებიდან სახელმწიფოთაშორისი ხასიათის იყო. ბაქოსა და ერევანს შორის მოლაპარაკების უშედეგობას ზოგიერთი ექსპერტი იმით ხსნის, რომ ამ მოლაპარაკებაზე წარმოდგენილი არ არის მთიანი ყარაბაღი. ამ თვალსაზრისს დაეთანხმა ეუთოს მინსკის ჯგუფის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე ბერნარ ფასიე, რომელიც მოლაპარაკების პროცესს კურირებს. იანვრის შუა რიცხვებში ბაქოში, ერევანსა და სტეფანაკერტში ეუთოს მინსკის ჯგუფის თითქმის ერთკვირიანი ვიზიტის დროს დიპლომატმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებაში მთიანი ყარაბაღის წარმომადგენელთა ჩართვა ხელს შეუწყობს მოლაპარაკების განვითარებას.

მოლაპარაკებაში სტეფანაკერტის შესაძლო მონაწილეობის თაობაზე პოლიტოლოგიის პროფესორმა რასიმ მუსაბეკოვმა აღნიშნა, რომ, ერთი მხრივ, არალოგიკურია, როცა ხელისუფალნი, მიიჩნევენ რა მთიან ყარაბაღს აზერბაიჯანის ტერიტორიად, უარს ამბობენ მათთან მოლაპარაკებაზე, ანუ თავის მოქალაქეებთან. მაგრამ, მეორე მხრივ, 90-იან წლებში შეწყვეტილ მოლაპარაკებაში სტეფანაკერტის მონაწილეობა პროცესს დინამიზმს არ მატებდა. „ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთის ახლანდელი ლიდერები, რომლებიც ყარაბაღიდან არიან წარმოშობით, არ დაუშვებენ მშობლიური მხარის ინტერესების შელახვას, ამდენად ის, რომ ყარაბაღის მხარე მოლაპარაკებაში არ მონაწილეობს, ფორმალურ ხასიათს ატარებს“, – დარწმუნებულია აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი. ევროკავშირის „სამეულის“ ვიზიტი, მისი აზრით, დაკავშირებულია იმასთან, რომ შარშან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ხელი მოაწერეს კეთილმეზობლობის პოლიტიკის თაობაზე შეთანხმებას, რეგიონმა იკისრა ვალდებულებანი და დადგა იმის შემოწმების დრო, თუ რა გაკეთდა გასული წლის განმავლობაში. „აზერბაიჯანი, რა თქმა უნდა, ევროპას ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით აინტერესებს. რაც შეეხება ყარაბაღის პრობლემას, ევროკავშირი უშუალოდ არ მონაწილეობს მოწესრიგების პროცესში და ალბათ არც მოისურვებს იკისროს ასეთი ტვირთი. იგი მხარს უჭერს ეუთოს მინსკის ჯგუფის ძალისხმევას და, ბუნებრივია, კოსოვოს თაობაზე მომავალი გადაწყვეტილების ფონზე დაინტერესებულია რაიმე დიალოგი მაინც გაგრძელდეს ყარაბაღის თემაზე, რათა სიტუაცია ჩიხში არ მოექცეს“, – განუცხადა მუსაბეკოვმა „ნეზავისიმაია გაზეტას“. „კეთილმეზობლობის პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირს, განცხადებების უმრავლესობით თუ ვიმსჯელებთ, ურჩევნია საქმე რეგიონულ დონეზე იქონიოს. მაგრამ ასეთ მიდგომას ხელს უშლის აზერბაიჯანისა და სომხეთის ურთიერთობა“, – უთხრა „ნეზავისიმაია გაზეტას“ ერევნის რეგიონული თანამშრომლობის ცენტრის მეთაურმა სტეფან გრიგორიანმა. მისი თქმით, სავარაუდოა, რომ კოსოვოსთან დაკავშირებით, სადაც სიტუაციის გადაჭრას საფუძვლად ედება ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, ევროპა ეცდება ანალოგიური პროცესი შეაჩეროს მთიან ყარაბაღში. პოლიტოლოგს მიაჩნია, რომ საქმე შეიძლება ეხებოდეს ერთგვარად პირობითი დოკუმენტის ხელმოწერას, რომელშიც დაფიქსირებული იქნება რეფერენდუმის გამართვა, ვთქვათ, ათი წლის შემდეგ. „დასავლეთი, რომელიც კოსოვოს შემთხვევის თავისებურებას და სხვა კონფლიქტებზე მისი გავრცელების დაუშვებლობას აცხადებს, ეცდება დრო მოიგოს და გაყინოს სიტუაცია სამხრეთ კავკასიაში“, – თქვა გრიგორიანმა. მან აღნიშნა, რომ იანვრის შუა რიცხვებში ეუთოს მინსკის ჯგუფის წარმომადგენლებმა ბაქოსა და ერევანში უმაღლესი დონის შეხვედრების შემდეგ განაცხადეს, რომ პრეზიდენტებს განსახილველად გადაეცათ წინადადებანი, რომლებიც მათ კეთილგანწყობით მიიღეს. „მაგრამ რეალური ვითარება ჯერჯერობით ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა“, – თქვა გრიგორიანმა. ძნელია ამას არ დაეთანხმო, როცა ბაქოსა და ერევანს შორის კვლავაც გაისმის მწვავე განცხადებები, რაც არღვევს ეუთოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მადრიდის შეხვედრის ფორმატში მიღებულ შეთანხმებას სამხედრო რიტორიკის გამორიცხვის შესახებ. აზერბაიჯანის მხარე ისევ ალაპარაკდა ყარაბაღის კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადაწყვეტის და სომხეთის სახელმწიფოებრიობის მოსალოდნელი გაქრობის შესახებ, ხოლო სომხეთის მხარე, თავის მხრივ, იმუქრება, რომ აზერბაიჯანი ტერიტორიის კიდევ 20 პროცენტს დაკარგავს. სინამდვილეში ამ ურთიერთმუქარამ დაარღვია დაპირისპირებული ქვეყნების შეხების ხაზზე ცეცხლის განუახლებლობის რეჟიმი. სროლის შედეგად, როგორც წყაროები იტყობინებიან, ორივე მხარეს არის მსხვერპლი.

**იური როკსი**

НЕЗАВИСИМАЯ



## სერგეი ლავროვი:

# „ზოგიერთისგან განსხვავებით, ჩვენ საქართველოში მიმდინარე პროცესებში არ ვერევით“

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში რთული დრო დადგა. ეს განაცხადა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა 23 იანვარს მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას, იტყობინება საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმის“ კორესპონდენტი. მისი თქმით, რუსეთის მხარეს არაერთგზის უცდია თბილისთან დიალოგის მოგვარება. „მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობასთან ყოველი შეხვედრის შემდეგ ჩვენს ურთიერთობაში ახალი ნეგატიური მომენტები ჩნდებოდა. ასეთ მომენტებს მივაკუთვნებთ, უწინარეს ყოვლისა, იმ პროვოკაციებს, რომლებიც კონფლიქტურ რეგიონებში ეწყობოდა“, – აღნიშნა ლავროვმა. მინისტრმა ჟურნალისტებს შეახსენა 2007 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში მომხდარი ავიაინციდენტი, რუსეთის მშვიდობისმყოფელთა დაპატიმრება, რომლებიც სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში მსახურობდნენ. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ სამხედრო მოსამსახურენი დღემდე უკანონოდ იმყოფებიან საპყრობილეში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დაპირებების მიუხედავად, რომ გაერკვეოდა ამ საკითხში. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სწრაფ ნორმალიზაციასთან დაკავშირებით ოპტიმიზმს არ ბადებს არც კონფლიქტური ზონის აფხაზური მხარის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქეთა მკვლელობა, აგრეთვე ოქტომბრის დამლევს იმავე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის მშვიდობისმყოფელებთან მომხდარი ინციდენტი, აღნიშნა მინისტრმა.

ლავროვის თქმით, რუსეთი გულწრფელად დაინტერესებულია საქართველოსთან ურთიერთობის მოწესრიგებით. „ზოგიერთისგან განსხვავებით, ჩვენ საქართველოში მიმდინარე პროცესებში არ ვერევით. არ ჩავრეულვართ არც ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობაში. არ გვინდა, რომ რუსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკა სხვა ამოცანათა გადაწყვეტისათვის გამოიყენებოდეს“, – განაცხადა მან. მინისტრმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტებს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია იმ პრობლემებს შორის, რომლებიც მოსკოვსა და თბილისს შორის არსებობს. „პირველ ნაბიჯად ქართველ კოლეგებს დაბეჯითებით მოვუწოდებ გამოეხმაურონ ეუთოს ინიციატივას და ცხინვალთან ერთად მიიღონ დოკუმენტი, რომელიც სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიან გადაწყვეტას ითვალისწინებს. ანალოგიური დოკუმენტი აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისთვისაც საჭიროა. ქართველი კოლეგები, თუმცა აცხადებენ, რომ კონფლიქტების ძალისმიერ გადაწყვეტას არ აპირებენ, თანამიმდევრულად არიდებენ თავს ამ დოკუმენტის ხელმოწერას“, – აღნიშნა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

REGNUM




სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამმართველო აცხადებს აუქციონს

აუქციონზე საპრივატიზებოდ გამოტანილი იქნება:

| № | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადები მიიღება ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10 სთ-დან 15 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე.

აუქციონი ჩატარდება განცხადების მიღების დამთავრების დღესვე, 15.30 საათზე სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამმრთველოში (მის: ქ. მცხეთა, ალმაშენებლის ქ. №51, ყოფილი კონტროლის პალატის შენობაძ.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: განაცხადი, „ბე“-ს და აუქციონში მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (თანხა გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო №200122900, სახაზინო კოდი 302003000, საქართველოს ეროვნული ბანკი 220101222ძ, ასევე პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაშიძ, სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლი და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაშიძ, ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასია 50 ლარი.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით: ტელ: 8(2732ძ3093.

# პოლიტიკის სივრცეში

● კოსოვოს დამოუკიდებლობა მთელ რიგ უსიამოვნო შედეგებს გამოიწვევს, ვინაიდან ეს დასაბამს მისცემს ეთნიკური უმრავლესობებით დასახლებული ტერიტორიების გამოყოფის პროცესს



◎ ინფორმაცია

## შამბას ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა არ აწყობს

**საქართველოს ინტერესებში არა მშვიდობა, არამედ მისი ტერიტორიული მთლიანობის გარანტიები შედის.**

ამის შესახებ გამოცემა „კავკაზსკი უზელს“ აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის დავით ბაქრაძის პოზიციის კომენტირებისას განუცხადა.

ბაქრაძის თქმით, ქართული მხარე ცეცხლის განუახლებლობის შესახებ შეთანხმებების ხელმოწერის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ მიუღებელია რუსეთის მიერ შეთავაზებული შეთანხმების ფორმა, რომელშიც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არიან წარმოდგენილნი.

ბაქრაძის განცხადება მორიგი შანტაჟია, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველოს ინტერესებში არა სისხლისღვრის დაუშვებლობა, არამედ მისთვის ტერიტორიული მთლიანობის გარანტიების მიცემაა, — აღნიშნა შამბამ.

მისივე თქმით, საბრძოლო მოქმედებების განუახლებლობის შესახებ შეთანხმების პოლიტიზირება ხდება. შამბა მიიჩნევს, რომ მხარეებს შორის ნდობა იმ შემთხვევაში აღდგება, თუ ისინი აგრესიაზე უარს იტყვიან.

— შანტაჟისა და მუქარის ენაზე საუბრის უფლებას არავის მივცემთ, — განაცხადა სერგეი შამბამ.

## აფხაზები ქართულ გემებს ცეცხლს გაუხსნიან

**ე.წ. აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში ქართული სამხედრო ხომალდების გამოჩენის შემთხვევაში, აფხაზური მხარე ცეცხლს გახსნის.**

როგორც სააგენტო „ინტერფაქსი“ იუწყება, ამის შესახებ აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრმა მერაბ ქიშმარიამ განაცხადა.

— ასეთი ამოცანა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა დაგვისახა და შევასრულებთ. დავალების შესასრულებლად ყველა საშუალება გვაქვს, ქართულ ხომალდებს ჩვენს ტერიტორიულ წყლებში პირატული ქმედებების საშუალებას არ მივცემთ, — აღნიშნა ქიშმარიამ.

აფხაზურმა მხარემ გალის აკვატორიაში ორი ქართული სამხედრო ხომალდის შესვლისა და მათთვის ცეცხლის გახსნის შესახებ განაცხადა.

დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროში ვარაუდობენ, რომ ქართული ხომალდები აფხაზეთის სანაპიროზე მდგარი თევსაჭერი გემების მიტაცებას ცდილობდნენ.

ქართული მხარე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აკვატორიაში სამხედრო ხომალდების გადასვლის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს.

**ინტერპრესნიუსი**

◎ თვითონ ევროპელის აზრით

# ევროპის მოთვინიერება

**კოსოვოს დამოუკიდებლობის შესახებ გადაწყვეტილება მცდარი გადაწყვეტილებაა ევროპისთვის, რადგან მას ცუდი შედეგები მოჰყვება ცენტრალურ ევროპაში სიმშვიდისა და სტაბილურობისთვის. მიზეზი მეტად მარტივია: კოსოვოსთან დამოკიდებულებაში დასავლეთი ცალმხრივი მოძრაობის გზას იყენებს.**

პირველი შეცდომა იყო ის, რომ ნატომ იუგოსლავიის დაბომბვა დაიწყო. უფრო სწორად, ეს შეცდომა კი არა, შეერთებული შტატების მიერ ორგანიზებული წინასწარგანზრახული აქცია იყო, რათა მილოშევიჩი დაესაჯა იმისათვის, რომ იუგოსლავია კომუნისტური ევროპის უკანასკნელ ქვეყნად რჩებოდა, სადაც სოციალიზმი იყო შენარჩუნებული. ამასთან, შტატებმა წინასწარ კარგად გათვალა, რომ იუგოსლავიის კრიზისებს შეიძლებოდა ცენტრალურ ევროპაში მისი პოზიციების განმტკიცებისთვის შეეწყო ხელი — თავად ევროპის პოზიციების შეგნებულად შერყევის ხარჯზე. ამერიკელები იარაღით ამარაგებდნენ ეგრეთ წოდებულ კოსოვოს დამოუკიდებლობის არმიას, რომელიც იუგოსლავიის წინააღმდეგ იბრძოდა. ისინი ამ არმიას ალბანელთა განმათავისუფლებელ არმიას უწოდებდნენ. მათ რამდენიმე პროვოკაცია მოაწყვეს, ამასთან ამტკიცებდნენ, რომ ალბანელთა გენოციდი ხდებოდა. ეს შეგნებული სიცრუე იყო, ომის დაწყებისთვის აუცილებელი. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო დაბომბვა.

ყველაფერი წინასწარ იყო ჩაფიქრებული. ეს განაცხადა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალბერტო ნინიმ. რამბუეში მოლაპარაკების დროს მან თქვა, რომ ქალბატონი ოლბრაიტი და მისი თანაშემწენი მილოშევიჩს ისეთ წინადადებებს სთავაზობდნენ, რომელთა მიღებაც შეუძლებელი იყო. ეს სპეციალურად მოხდა, რათა ბელგრადი კუთხეში მიემწყვდიათ და დაბომბვის საბაბი მოენახათ. ევროპა მაშინ დაჰყვა ამ ნებას, პროვოკატორების ჭკუით იმოქმედა. 1998-1999 წლების იმ მოვლენების შედეგი გახდა ის, რომ ევროპა ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება ამერიკას, მოქმედებს რა არა საკუთარი, არამედ შეერთებული შტატების ინტერესებით. ამასთან, ევროპა გაყოფილია ორ ნაწილად: არიან ისეთები, რომლებიც უპირობოდ იზიარებენ შეერთებული შტატების პოზიციებს, და ისეთები, ვისაც უნდა არსებული მდგომარეობის შეცვლა. იყო პრეზიდენტ ჟაკ შირაკის საფრანგეთი, იყო კანცლერ გერჰარდ შროდერის გერმანია, ახლა საფრანგეთს ნიკოლა სარკოზი მეთაურობს, რომელიც შეერთებული შტატების აშკარა ვასალივით იქცევა. ინგლისის პრემიერი გორდონ ბრაუნი ტონი ბლერის პოლიტიკას განაგრძობს. დანარჩენი ევროპელები ფაქტობრივად დამკვირვებელთა როლში არიან: აკვირდებიან მიმდინარე მოვლენებს, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ.

კოსოვოს დამოუკიდებლობა ამერიკელებს უნდათ და არა ევროპელებს. ევროპის ზოგიერთი ოფიციალური პირი ამბობს, რომ არ ემხრობიან კოსოვოს დამოუკიდებლობის იდეას, მაგრამ არ იციან, რა ქნან. თუ დამოუკიდებლობას არ მიანიჭებთ, როგორც ამას კოსოველი ალბანელები მოითხოვენ, დიდი სისხლისღვრა მოხდება. თითქოს ადრე ევროპელებმა არ იცოდნენ, რომ კოსოვოს ახლანდელი ხელმძღვანელობა შეერთებული შტატების მიერ შეიარაღებული კრიმინალების ბანდაა. თუმცა, ევროპელები მხოლოდ მოჩვენებითად აცხადებენ, რომ კოსოვოს გამოყოფის პროცესის შეჩერება არ შეუძლიათ.

ამასთან, შეერთებულმა შტატებმა უკვე ააგო კოსოვოში ყველაზე დიდი სამხედრო ბაზა ევროპაში და ახლა პრიშტინაში ევროპაში უდიდეს ამერიკულ უნივერსიტეტს აშენებს. კოსოვო ფაქტობრივად ამერიკის კოლონია იქნება. რა თქმა უნდა, ადგილობრივი ალბანური ხელისუფლების ფორმალური ხელმძღვანელობით და ევროპის მფარველობით. ამით ევროპა კიდევ უფრო მეტად დამოკიდებული ხდება შეერთებულ შტატებზე. თუმცა სრულიად აშკარაა, რომ შეერთებული შტატები თავისი ისტორიის მანძილზე ყველაზე დიდ კრიზისს განიცდის. მაშასადამე, ეს დამატებითი სისულელეა ევროპელთა მხრიდან, რომლებიც არსებითად თავიანთი ფულით ამაგრებენ დოლარს. ყველაფერი, რაც ამ დღეებში საბანკო სფეროში ხდება, უბრალოდ გასაოცარია: ევროპის ბანკები მიმართავენ ემისიებს, ანუ ბეჭდავენ ფულს, რათა უოლ-სტრიტზე სპეკულაციების შემდეგ, ამერიკის ბიზნესის უცნაური და სახიფათო ოპერაციის შემდეგ შექმნილი სიტუაცია გადაარჩინონ. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ევროპა იმპერიის — შეერთებული შტატების ნებაზეა დამოკიდებული.



კიდევ ერთი პუნქტი, რომელზეც მინდა ყურადღება შევაჩერო კოსოვოს დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით, ეს არის ევროპისა და რუსეთის ურთიერთობა. ჩემთვის ნათელია, რომ შეერთებული შტატების ხელმძღვანელი ელიტები ღიზიანდებიან იმით, რომ ბოლო წლებში რუსეთი თანდათან, მაგრამ განუხრელად (მნიშვნელოვანწილად ნავთობსა და გაზზე მაღალი ფასების და ამასთან დაკავშირებით ევროპაში მზარდი პრობლემების გამო) დამოუკიდებლად იწყებს მოქმედებას საერთაშორისო ასპარეზზე. ამერიკაში დარწმუნებული იყვნენ, რომ უკვე მოახდინეს რუსეთის კოლონიზაცია, რომ პროცესი შეუქცევადია. მაგრამ უცებ დაინახეს, რომ რუსეთი ჯერ არ არის კოლონიზებული და საერთოდაც არ აპირებს შეერთებული შტატების კოლონიად ქცევას. ამიტომ ამერიკა მოქმედებას იწყებს: ბოლო ორ წელიწადში იქიდან მომდინარეობს რუსეთის მიმართ შეურაცხყოფის სისტემატური პოლიტიკა და პროვოკაციები მის წინააღმდეგ.

კოსოვო ამის ერთ-ერთი დადასტურებაა. კოსოვოს დამოუკიდებლობა ეს არის საშუალება, რომ ევროპა ამერიკას დაუქვემდებარონ, აგრეთვე დამატებითი შუღლი ჩამოაგდონ ევროპასა და რუსეთს შორის. ბევრი, მათ შორის იტალიაშიც, სვამს კითხვას: რატომ არიან ამერიკელები დაინტერესებული კოსოვოს დამოუკიდებლობით? სამხედრო ბაზის გარდა იქ ხომ მათ არაფერი აინტერესებთ, ბაზა კი უკვე აშენებულია. ნუთუ ასე უყვართ საერთოდ მუსლიმანები და კერძოდ ალბანელები? არა. როგორც ჩანს, ასე არ არის. თუ ასე არ არის, მაშ სხვა მიზეზები უნდა ვეძებოთ.

მიზეზები კი მარტივია: კოსოვოს დამოუკიდებლობა მთელ რიგ უსიამოვნო შედეგებს გამოიწვევს, ვინაიდან ეს დასაბამს მისცემს ეთნიკური უმრავლესობებით დასახლებული ტერიტორიების გამოყოფის პროცესს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახლანდელ მაკედონიაში დიდ ნაწილს (ერთ მესამედსძ იქ მცხოვრები ალბანელები შეადგენენ. შემდგომში ისინიც მოითხოვენ ალბანეთთან იმ ტერიტორიების შეერთებას, სადაც ცხოვრობენ. ეს აშკარაა. ამ პროცესის შედეგები თვალსაჩინო გახდება ბოსნიაშიც, სადაც სერბების რეაქცია ბუნებრივი და სავსებით მოსალოდნელია. ალბანელები არიან ჩერნოგორიაშიც, მონტენეგროშიც. ეს მესამე ადგილია, სადაც სიტუაცია შეიძლება საკმაოდ მკვეთრად გაუარესდეს. ამიტომ კოსოვოს, როგორც დაძაბულობის საშიში კერის მიმართ გადაწყვეტილებები სწორედ ევროპამ უნდა მიიღოს და არა ამერიკამ.

**დღეს ევროპა ხაფანგშია, ეს აშკარაა. თანაც რუსეთთან ურთიერთობა გაუარესდება, რადგან კოსოვოს გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებას, რომელსაც ევროპა მხარს დაუჭერს, იღებენ გაეროს რეზოლუციებისა და ნების საწინააღმდეგოდ, საერთაშორისო სამართლის დარღვევით. ვფიქრობ, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ძალიან მალე მოხდება, ორი თვის განმავლობაში. ასე რომ, შეერთებული შტატების ტაქტიკური გეგმა, ევროპისა და რუსეთის კიდევ უფრო მეტად გათიშვისა და დაძაბულობის გაძლიერების მიზნით, წარმატებით ხორციელდება.**

**მე მგონი, 2008 წელი რთული წელი იქნება საერთოდ დასავლეთთან და, კერძოდ, შეერთებულ შტატებთან რუსეთის ურთიერთობაში.**



**ჯულიეტო კიეზა,**
**იტალია.**

# სპორტი

● რუსთავის „ოლიმპი“ ერთადერთი გუნდი იყო, რომელმაც სანკტ-პეტერბურგში მიმდინარე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ბალტიისქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპი უდანაკარგოდ გაიარა და ქულათა მაქსიმუმით პირველი ადგილი დაიკავა



◎ ორბიტაზე

## მსაჯები „ხელს იბანენ“?



**რაღაც ორიოდე წელი გავიდა იმ სკანდალიდან, იტალიურ ფეხბურთში რომ აგორდა მოლაპარაკებული მატჩების გამო. მაშინ ბევრი კლუბიც დაისაჯა, ფეხბურთელიც და მათი ხელმძღვანელიც. ვერც ზოგიერთი მსაჯი – ვეტერანი გადაურჩა სასჯელს. მაშინ ელიტურ დივიზიონში ახალბედა ახალგაზრდა მსაჯები მიიწვიეს, დაბალ დივიზიონებში რომ მუშაობდნენ და სუფთა რეპუტაციით სარგებლობდნენ. ახლა ისინი სახელგანთქმული პიერ ლუიჯი კოლინას ხელმძღვანელობით ოსტატდებიან.**

თუმცა უნდა ითქვას, რომ ვერც ისინი გადაურჩნენ პრესის კრიტიკას, მათ ბრალად სდებენ სახელგანთქმული კლუბებისადმი „ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას“. ამის მაგალითად მოაქვთ ის გარემოება,რომ ახლანდელ ჩემპიონატში ლიდერის – მილანის „ინტერის“ კარში მხოლოდ ერთხელ დანიშნეს პენალტი, მათი მეტოქე გუნდების კარში კი – შვიდჯერ, რაც, ჟურნალისტთა აზრით, ხშირად ძალზე სადავო იყო.

ახლა კი იტალიურ ფეხბურთში, განსაკუთრებით მსაჯთა კორპუსში ახალი სკანდალი მწიფდება. როგორც ამბობენ, მსაჯები უარს ამბობენ მატჩის შემდეგ ფეხბურთელთათვის ხელის ჩამორთმევაზე, როგორ ეს ჰოკეიშია. მსაჯებს ურჩევნიათ, ბოლო სასტვენის შემდეგ პირდაპირ გასახდელებს მიაშურონ, ვიდრე ხელის ჩამორთმევის დროს ფეხბურთელებისაგან მათ მსაჯობაზე საყვედურები (ზოგჯერ ძალზე სამართლიანიც კიძ მოისმინონ.

## მამაკაცი რუსეთის ქალთა ნაკრებში?



**ფრენბურთში რუსეთის ნაკრებისა და ხაბაროვსკის „სამოროდკას“ მოთამაშე ნატალია კულიკოვა, კვირას ეროვნულ ნაკრებთან ერთად პეკინის ოლიმპიადის საგზური რომ მოიპოვა, ახლო მომავალში სქესს შეიცვლის და უკვე ვაჟთა ნაკრებში ითამაშებს. ეს „სენსაციური“ ამბავი პოლონურ პრესაში გამოქვეყნდა.** პოლონელები აღნიშნავენ, რომ ბოლო ხანებში კულიკოვა ძალზე შეიცვალა,თანაც ძალზე უყვარს მამაკაცის ტანსაცმელი. გუნდში კი მას ყველა მაქსს ეძახის.

პოლონური პრესის ასეთი „ინიციატივა“ წინასაოლიმპიადო ტურნირში პოლონეთის ნაკრების დამარცხების გამართლების თავისებური მცდელობაა.

## განა რედნეპები დაივიწყეს?

**ახლა, როცა ინგლისური პრემიერლიგის მოქმედი ფეხბურთელები ჩაბმულნი არიან ჩემპიონატის და თასების გათამაშების გიჟურ რიტმში, ბრიტანული ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავები სადღაც კარიბის ზღვის მიდამოებში ნებივრობენ.**

ახლა, იანვარში სწორედ იქით გაეშურნენ „ლივერპულისა“ და ინგლისის ნაკლების ყოფილი ნახევარმცველი, ამჟამად კი არხის SKy Sports ტელეწამყვანი ჯეიმი რედნეპი და მისი ლამაზმანი ცოლი ლუიზა, ადრე ძალზე ცნობილი მომღერალი რომ იყო. თუმცა მისი დაქორწინება ფეხბურთელზე არ ჩამოუვარდებოდა დევიდ ბექჰემისა და ვიქტორიას დაწყვილებას. ახლა ამ ვარსკვლავთწყვილზე გაუთავებლად ლაპარაკობენ, რედნეპები კი თითქმის დაივიწყეს. იქნებ იმიტომა, რომ რედნეპსა და მის მეუღლეს მაინც და მაინც არ უყვართ საზოგადოების ყურადღების მიქცევა.



და მაინც პაპარაცები, ჯეიმი და ლუიზა კარიბის პლაჟზე რომ აღმოაჩინეს, ამტკიცებენ, რომ აქ ბევრი დამსვენებელი კარგად ცნობს ამ წყვილსაც. თანაც 33 წლის ლუიზას შენარჩუნებული აქვს კარგი ფორმა და დიდად არ განსხვავდება ადრინდელი ლუიზა ნერდინგისგან, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში დიდი ბრიტანეთის ეკრანებზე რომ ბრწყინავდა.

◎ ფეხბურთი

## ევროპის სტადიონებზე

**რუსთავის „ოლიმპი“ ერთადერთი გუნდი იყო, რომელმაც სანკტ-პეტერბურგში მიმდინარე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ბალტიისქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპი უდანაკარგოდ გაიარა და ქულათა მაქსიმუმით პირველი ადგილი დაიკავა.**



მესამე მატჩი ანატოლი პისკავეცის შეგირდებმა ლატვიის „ვენტსპილსს“მოუგეს – 3:0 და მეოთხედფინალში ბელორუსიის უძლიერეს კლუბს ბორისოვის ბატეს შეხვდნენ.

სამწუხაროდ, ეს თამაში ქვემოქართლელთათვის აღნიშნულ ტურნირზე უკანასკნელი აღმოჩნდა, რაშიც მათმა მწვრთნელმა მსაჯი დაადანაშაულა, თუმცა ჩვენის მხრიდან დავძენთ, რომ დამარცხების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად ბალტიისპირელებთან გამართულ დუელში ერთბაშად სამი მცველის მიერ მიღებული ტრავმებიც უნდა მივიჩნიოთ.

და ბოლოს, კიდევ ერთი დასანანი ფაქტის შესახებ – საქართველოს ჩემპიონმა გადამწყვეტი გოლი უკანასკნელ წუთზე გაუშვა – 1:2.

* * *

**ინგლისი. ლიგის თასის ნახევარფინალი.** „ტოტენჰემი“ – „არსენალი“ 5:1 (პირველი მატჩი 1:1ძ, „ევერტონი“ –„ჩელსი“ 0:1 (1:2ძ.

**იტალია. თასის მეოთხედფინალი.** „ინტერი“ – „იუვენტუსი“ 2:2, „სამპდორია“ – „რომა“ 1:1, „უდინეზე“ – „კატანია“ 3:2.

**ესპანეთი. სამეფო თასის მეოთხედფინალი.** „ვალენსია“ – „ატლეტიკო“ 1:0, „ხეტაფე“ – „მალიორკა“ 1:0.



◎ კალათბურთი

## ესპანელთა შავი დღე

**ესპანურმა გრანდებმა უკვე კარგა ხანია გაინაღდეს ევროლიგის მეორე ეტაპზე თამაშის უფლება, თუმცა ის, რაც ჯგუფური რაუნდის ბოლოსწინა ტურში მოხდა, მოულოდნელობად შეგვიძლია მივიჩნიოთ – ყველა დამარცხდა.**

მათგან განსაკუთრებულად შეირცხვინა თავი „ბარსელონამ“, რომელმაც საკუთარ სარბიელზე „რომასთან“ წააგო მატჩი – 75:77. ეს კატალონიელთა ზედიზედ მესამე წარუმატებლობაა.

თანამემამულეთა შორის ყველაზე მძიმე გამოცდა „ტაუგრესს“ ჰქონდა ჩასაბარებელი, რომელიც მოსკოვში ცსკას ხვდებოდა. შეგახსენებთ, რომ არმიელებს მიმდინარე გათამაშებაში მხოლოდ ერთი მატჩი აქვთ დათმობილი. სტუმართა შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, პროფესიონალი ლეგიონერებით გაძეძგილმა რუსულმა კლუბმა მაინც მიაღწია საწადელს– 70:62.



კიდევ ერთი პირენეული გუნდი, რომელმაც გაწბილებულმა დატოვა პოსტსაბჭოთა სივრცე, გახლავთ მალაგის „უნიკახა“, რომელსაც ლიტვის „რიტასმა“ მიაყენა დარტყმა – 75:67.

გაგაცნობთ კიდევ ორი მატჩის შედეგს: „ეფესი“ – „არისი“ 4:84, „ლე მანი“ – „ციბონა“ 100:87.

№ 14. პარასკევი, 25 იანვარი, 2008 წელი.

● წლის პირველი სიმფონიური კონცერტი, რომელიც ახლახან თბილისის ოპერის თეატრში გაიმართა, მრავალმხრივ აღმოჩნდა საინტერესო. იგი მიეძღვნა ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, საქართველოს სახალხო არტისტის, პროფესორ ფელიქს ღლონტის დაბადებიდან 80 წლისთავს




## განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექციაძ 2008 წლის თებერვალს დღის 14 საათზე, ჭიათურაში, ნინოშვილის №5-ში (ჭიათურის ყოფილი ზონალური საგადასახადო ინსპექციის შენობაშიძ შპს „მაწისის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. საწვავის ავზი, 6-ტონიანი, ვარგისი, შეფასებულია 600 ლარად.
2. სამტვრეველა, 400 მმ-იანი, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 2500 ლარად.
3. კლასიფიკატორი, 750 მმ-იანი, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 4500 ლარად.
4. კლასიფიკატორი, 350 მმ-იანი, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 3000 ლარად.
5. ცხრილი, 1-კომპ, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 1800 ლარად.
6. ელევატორი. 15-ლიტრიანი ჯამებით, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 1600 ლარად.
7. ელევატორი, 18-ლიტრიანი ჯამებით, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 1600 ლარად.
8. მარგანეცის სალექი დაზგა. საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 1800 ლარად.
9. ლენტური ტრანსპორტიორი, 7 მეტრი ვარგისია, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 1200 ლარად.
10. წყლის ტუმბო, 50 კუბ.მ/1სთ-ში, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 800 ლარად.
11. წყლის მილგაყვანილობა, 200 გრძივი მეტრი, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 1500 ლარად.
12. შედუღების აპარატი, 400 ამპერიანი, შეფასებულია 1500 ლარად.
13. ელ. ძრავა 2 ცალი, 15 კვტ. საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 500 ლარად.
14. ელ. ძრავა 2 ცალი, 10 კვტ. საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 350 ლარად.
15. ელ. ძრავა 1 ცალი, 7 კვტ. საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 250 ლარად.
16. ელ. ძრავა 1 ცალი. 5 კვტ. საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 180 ლარად.
17. ჰაერმბერი 1 ცალი. საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 3000 ლარად.
18. დენის გენერატორი, შიგა წვის ძრავით, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 5000 ლარად.
19. ძრავი, 75 კვტ. საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 1500 ლარად.
20. მინი კლასიფიკატორი, შეფასებულია 600 ლარად.
21. მინი ცხრილი, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 600 ლარად.
22. მიწის ნაკვეთი, ფართობი 1945,25 კვმ. შეფასებულია 15500 ლარად.
23. შენობა, აგურის კედლებით, ერთსართულიანი, შეფასებულია 2625 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 52505 (ორმოცდათორმეტი ათას ხუთას ხუთიძ ლარს.

მესამე პირი, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციაძ.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებული იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექციაძ შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციაძ მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1.**

**ტელ: 8-231 4 20 95, 8-231-4-45-79.**


◉ საიუბილეო საღამო

# კომპოზიტორი, რომელსაც უცხოეთში უფრო აღიარებენ

**წლის პირველი სიმფონიური კონცერტი, რომელიც ახლახან თბილისის ოპერის თეატრში გაიმართა, მრავალმხრივ აღმოჩნდა საინტერესო. იგი მიეძღვნა ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, საქართველოს სახალხო არტისტის, პროფესორ ფელიქს ღლონტის დაბადებიდან 80 წლისთავს.** მეორე მხრივ, დღევანდელ საქართველოში, სამწუხაროდ, გაჭირდა სიმფონიური კონცერტების გამართვა, მით უფრო ახალი ნაწარმოებების შესრულება. ისეც ხდება, რომ ახალი ნაწარმოებები ხშირად ჯერ უცხოეთში სრულდება, მოგვიანებით კი ავტორის სამშობლოში, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვქონდა ამჯერად საქმე. საღამო გამორჩეული იყო სიახლით – ჩვენმა საზოგადოებრიობამ პირველად მოისმინა იუბილარი კომპოზიტორის სავიოლინო კონცერტი, რომელიც 9 წლის წინათ სანკტ-პეტერბურგში ს.პროკოფიევის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე პირველი პრემიით დაჯილდოვდა. ოთხი წლის წინათ შეუქმნია კომპოზიტორს საფორტეპიანო კონცერტიც, რომელიც სწორედ ამავე საღამოზე აჟღერდა პირველად.

საღამოს წარუძღვა ცნობილი მუსიკათმცოდნე გულბათ ტორაძე. მან მსმენელებს შეახსენა ფელიქს ღლონტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ეტაპები, ფაქტები. კერძოდ: მისი წარმატებული დებიუტი – პირველი საფორტეპიანო კონცერტის აღიარება 1954 წელს. პირველი საერთაშორისო აღიარება ბრიუსელში 1961 წელს, სადაც აჟღერდა მისი პირველი, რომანტიკულის სახელით ცნობილი სიმფონია. სულ კომპოზიტორი ავტორია 12 სიმფონიის, 10-მდე ინსტრუმენტული კონცერტის, ორი ოპერის („იბერიელნი“ და „კლეოპატრა“ძ, კვარტეტების, გუნდების და მთელი რიგი სხვა ნაწარმოებებისა.

რა გამოარჩევს ფელიქს ღლონტის ნაწარმოებებს?

უწინარესად თვითმყოფი, ორიგინალური ხელწერა, მონუმენტურობა, რაც ვლინდება ფორმაშიც, მუსიკალურ ენაშიც, ფილოსოფიურ კონცეფციაში. მისი საუკეთესო ნაწარმოებები სრულდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. სპეციალისტები მას აღიარებენ თანამედროვე მუსიკის ერთ-ერთ საუკეთესო კომპოზიტორად. ორი წლის წინათ კომპოზიტორი დაჯილდოვდა ამერიკის ბიოგრაფიული ცენტრის ოქროს მედლით.



თბილისურ საიუბილეო საღამოზე ურთულესი საშემსრულებლო თვისებებით გამორჩეულ სავიოლინო, ვნებათა ექსპრესიითა და მკვეთრი კონტრასტებით აღბეჭდილი მესამე საფორტეპიანო კონცერტები ააჟღერეს თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა ვახტანგ კახიძის დირიჟორობით, სოლისტებმა – მევიოლინე გალინა ბანდურამ და პიანისტმა თამარ ლიჩელმა. მათმა განსაცვიფრებელმა ოსტატობამ მსმენელებისათვის საცნაური გახადა კომპოზიტორის მასშტაბური და ღრმა ფილოსოფიური აზროვნება.

აი, როგორ აფასებს კონცერტს კომპოზიტორი **შალვა დავითაშვილი: ამ კონცერტს დიდი ინტერესით ველოდით. სამწუხაროა, რომ მთელი რიგი მიზეზების გამო ჩვენში არ სრულდება ფელიქს ღლონტის ნაწარმოებები. ბოლო წლებში მეტი ყურადღება ტაშ-ფანდურს ეთმობა, ჩვენ, მუსიკოსები კი ჩრდილში აღმოვჩნდით. ფელიქს ღლონტი ნიჭიერი კომპოზიტორია და დასანანია, რომ მისი დიდი ფორმის ნაწარმოებები უცხოეთში უფრო აღიარებულია, ვიდრე ჩვენში. სავიოლინო კონცერტი, რომელიც დღეს მოვისმინეთ, საინტერესოა კომპოზიციური მიგნებებით, გამომსახველობითი საშუალებებით, რაც ინტონაციებში, ჰარმონიაში, რიტმებით ვლინდება და რაც ასე აუცილებელია დიდი ფორმის ნაწარმოებებისათვის.**

**მესამე საფორტეპიანო კონცერტის პირველი შემსრულებლის თამარ ლიჩელის აზრით, კონცერტი უწინარესად სიახლეებით გამოირჩევა. ეს არის სრულიად ახალი მუსიკა. საყურადღებოა მისი ემოციური და ინტელექტუალური მხარე და ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ნაწარმოებმა მიმიზიდა მასშტაბურობით, ძალზე საინტერესოა ორკესტრის პარტია, მას დიდი დატვირთვა აქვს და მადლობა ვახტანგ კახიძეს, რომ მან ამ დიდი შემადგენლობის ორკესტრის რთული პარტიტურა შესანიშნავად აახმიანა და ანსამბლურობის განცდა არ დარღვეულა.**

მსმენელმა გულწრფელი აპლოდისმენტებით დააჯილდოვა შემსრულებლები და კომპოზიტორიც, რომლის შემოქმედებამაც ასეთი სიამოვნება მიანიჭა მათ.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**


**რეკლამა**

*„საქართველოს რესპუბლიკაში“*

**98-65-87;**

**899 32-85-76.**

*კოსტავას 12*


◉ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: თავს ვგრძნობ შეურაცხყოფილად ჩვენი უფროსის მოქმედების გამო, რომელიც სისტემატურად გვავიწროებს და თან შეგვახსენებს, რომ მას ამის სრული უფლება აქვს. იქნებ აგვიხსნათ, მოქმედი კანონის თანახმად, რა ჩაითვლება დისკრიმინაციად შრომის პროცესში?**

**მერი კაკონაშვილი**

**პასუხი:** კანონის თანახმად, დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი გარემოს შექმნას. ან პირისთვის ისეთი პირობების შექმნას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით. თუ თქვენ დამსაქმებლის მხრიდან ზემოაღნიშნულ პირობებში გიხდებათ მუშაობა, კანონიერი უფლების დასაცავად შეგიძლიათ სასამართლოს მიმართოთ.



**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

# სულთათანა

● *თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ, ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!*



ხსოვნა

## სოსო ბუხაიძე



წავიდა ჩვენგან სოსო ბუხაიძე, ნიჭიერი ეკონომისტი, აღმზრდელი და მასწავლებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. უნივერსიტეტზე უზომოდ შეყვარებულმა კაცმა, იქ თავისი მოღვაწეობის 50 წლის მანძილზე ბევრს დაამახსოვრა თავი. 60-იანი წლების თაობას კარგად ახსოვს მისი ცეცხლოვანი ცეკვა „სოსოური პაემანი" უნივერსიტეტის სცენაზე.

საოცარი, მადლცხებული, ქუთაისური იუმორის პატრონი, ქართული ტრადიციების და ცხოვრების წესის ტრფიალი, რომელსაც არაერთხელ მოუხიბლავს ქორწილების, წვეულებების და ნადიმების მონაწილენი.

იგი უეცრად გაქრა, გაქრა როგორც ქარში გატანილი სანთელი. ჩვენს შორის აღარ არის კაცი, რომელიც ცხოვრობდა მიწიერი უხერხულობით, ხორციელი სიმძიმით. მას უყვარდა, წუხდა, უხაროდა, კითხულობდა, წერდა, ავადმყოფობდა.

ცოდვილთ შეუნდობდა. მიმტევებელი და მპატიებელი იყო, ყოველთვის გამოირჩეოდა უპრეტენზიობის სიმშვენიერით...

სოსო ბუხაიძემ ამ წუთისოფელში ყველა ადამიანური გამოცდა ჩააბარა, რათა ღმერთთან პირნათლად წამდგარიყო. ისიც იცოდა, რომ სიცოცხლე მზადებაა სიკვდილისათვის.

ჩვენო სოსო! სხვისი გახარებით მოხარული და სხვისი ტკივილის თავის ტკივილად მიმღები, ნაღდი ქართველი კოლორიტი, მარტო თბილისის უნივერსიტეტს, სტუდენტობას, ქუთაისს, მის დიდ სამეგობროს და სანათესაოს კი არა, მთელ საქართველოს დააკლდა.

სოსო ბუხაიძის კაცობა, მადლი, სიკეთე და სიბრძნე ბევრჯერ შეგვახსენებს მის თავს, საოცრად მოგვანატრებს და მის სახელზე სანთელს აგვანთებინებს.

როინ მეტრეველი, რევაზ მიშველაძე, გივი გამსახურდია, იგორ კვესელავა, თამაზ წივწივაძე, გია მეფარიშვილი, არჩილ ფრანგიშვილი, სოსო ცინცაძე, რომან შენგელია, ნომადი ბართაია, პარმენ ლემონჯავა, მურმან ტურავა, არსენ ფანჩულიძე, ომარ გოცაძე, ვილენ მარდალეიშვილი.

## კვალი ნათელი კაცისა

ძნელია შევეგუო იმ აზრს, რომ სოსო ბუხაიძე ფიზიკურად ჩვენს გვერდით აღარ არის. გარდაიცვალა უფროსი თაობის კიდევ ერთი ღვაწლმოსილი წარმომადგენელი. იგი სამუდამოდ გამოეთხოვა თავის ახლობლებს, უნივერსიტეტის მთელ კოლექტივს, მეგობრებს, აღზრდილებს. ჩვენ კი დაგვიტოვა მწარე ცრემლი და მოგონებანი.

ბატონი სოსო ბოლო დღეებში ხშირად იგონებდა მწერალ ხუტა ბერულავას თითქმის ანდერძად ნათქვამს — „სხვას ვამშვიდებდი, როცა თვითონ მწარედ მტკიოდა; სხვას ვაპურებდი, როცა თვითონ ძალზე მშიოდა; სხვას ვაფარებდი საბანს ჩემსას, როცა მციოდა, ღრუბლიან ჟამსაც მზე გულიდან ამოდიოდა". ეს თბილი სიტყვები ბატონ სოსოს სულიერი აღქმა იყო, რამდენადაც მისი კეთილშობილება ზეამაღლებული იყო, რითიც იხიბლებოდნენ მის გვერდით მყოფნი.



სოსო (იოსებ) დაიბადა 1934 წლის 3 ივნისს, ქუთაისში, მოსამსახურის ოჯახში. ოჯახს დახმარება სჭირდებოდა. ხელმარჯვე და ბავშვობიდან შრომაში გაწაფულმა სოსომ სკოლაში სწავლასთან ერთად, მუშაობა დაიწყო ქუთაისის კიროვის სახელობის №4 სამკერვალო ფაბრიკაში მუშად.

1956 წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დღის სწავლების განყოფილებაზე — ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1961 წელს.

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე სოსო წამყვანი მოცეკვავე იყო ქუთაისში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის პირველივე დღეებიდან იგი უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრი ხდება. შემდგომში კი სახელოვანი მოცეკვავე, რომელმაც ბევრჯერ ასახელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბატონი სოსო სამუშაოდ დატოვეს უნივერსიტეტში ბუღალტრული აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის კათედრაზე ლაბორანტად. იგი ყოველ საქმიანობას უდიდესი პასუხისმგებლობითა და სისპეტაკით ასრულებდა. მისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა საქმე. მძიმე წუთებიც ჰქონდა, მაგრამ იგი ჭირთათმენის, გამძლეობის და გულითადობის მაგალითს იძლეოდა. გასაკეთებელს ყოველთვის წინასწარ გეგმავდა, დიდ მოთხოვნებს უყენებდა თავისთავს, რითაც თანამშრომელთა და ხელმძღვანელობის პატივისცემა დაიმსახურა და ჯერ ასისტენტად, შემდეგ კი მასწავლებლად აირჩიეს.

ბატონ სოსოს ყოველთვის ახსოვდა, რომ ყველა სიახლე სტუდენტი ახალგაზრდებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს და სისტემატურად აცნობდა მათ ბუღალტრულ აღრიცხვაში არსებულ სიახლეს. დიდია მისი ღვაწლი მომავალი თაობის მომზადებაში.

ძალიან მალე სოსო ბუხაიძე უფროს მასწავლებლად გადაჰყავთ. სტუდენტებს არასოდეს დაავიწყდებათ მისი შინაარსიანი ლექციები, ორატორული ნიჭი. იგი მრავალმხრივ სპეციალისტად გვევლინებოდა. მან კარგად აითვისა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, ეწეოდა აუდიტორულ საქმიანობას.

ბატონი სოსო წლების განმავლობაში ლექციებს უკითხავდა მომავალ იურისტებს საგანში: „სასამართლო საბუღალტრო ექსპერტიზა". ყველა იურისტი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ სასწავლო პროგრამაში ჩართული იყო აღნიშნული საგანი, რომლის ცოდნაც მათ ყოველდღიურ საქმიანობაში ეხმარებოდა.

ამასთან ერთად, სოსო ბუხაიძე 20-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია. უნივერსიტეტში სწავლისა და მუშაობის პერიოდში ეწეოდა სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობას. არჩეული იყო თსუ გაერთიანებული პროფკომის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ, საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე ინსტრუქტორად.

ამ ქვეყნიდან ადამიანთა წასვლა ყოველთვის გაუნელებელ ტკივილს იწვევს. განსაკუთრებით აუტანელია ის ტკივილი, როცა კარგავ ჭეშმარიტ მოქალაქეს, მეცნიერსა და მამულიშვილს, მაღალი ზნეობის ადამიანს.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი და უანგარო მეცნიერი, ჰუმანური და კეთილშობილი ადამიანი. მან ღირსეულად მოიხადა თავისი მამულიშვილური ვალი ხალხისა და სამშობლოს წინაშე, კეთილსინდისიერად გალია წუთისოფელი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს სოსო ბუხაიძის სული.

თსუ რექტორატი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,
თსუ ვეტერანთა საბჭო,
ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა

---

მეუღლე მარინა ვაჩნაძე, შვილი ლადო გურგენიძე, რძალი ლარისა, შვილიშვილები ირაკლი, ლუკა, მაიკლი, ძმა დათო, რძალი თინა, ძმისწულები ქეთი, სალომე, თეონა, ცოლისძმა გოგი ვაჩნაძე ოჯახით, დისწულები ნინო, ლელა, სიძე ირაკლი კუპატაძეები, ლადი გოგაშვილი ოჯახით, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ირაკლი გურგენიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26 I, 17 სთ. გამოსვენება 27 I, 14 სთ. მისამართი: ჭავჭავაძის პრ. №39. II სადარბაზო.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ ლადო გურგენიძეს მამის, გამორჩეული მოქალაქისა და საზოგადო მოღვაწის

ირაკლი გურგენიძის

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ნანა, მზია, სიძეები მერაბ ჯიბლაძე, სოსო გუგუტიშვილი, შვილიშვილები მაკა, ნინო, შვილთაშვილი ეკატერინე იუწყებიან

ეთერ კორძაია-ნოდიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26 I, 17 სთ. გამოსვენება 27 I, 2 სთ. მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზ. 16, I სადარბაზო, მე-8 სართული.

---

როზა ბერიკაშვილი, ჯემალ მონიავა, მარინე თექთუმანიძე, მზია ხეთაგური, ერეკლე სალლიანი, მამუკა ვაშაკიძე, სპარტაკ ქობულია, გოჩა ხუნდაძე, ლევან ღვინჯილია, მაყვალა ლიპარტელიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ პოეტსა და უახლოეს მეგობარს ლია ნაროუშვილს დედისა და დის

თამარ ცაავა-ნაროუშვილისა

და

ლუარა ჭკადუა-ნაროუშვილის

გარდაცვალების გამო და იზიარებენ მის დიდ მწუხარებას.

---

გახსენება

## ჩემო შოთა, ჩვენო — ჩვენო შოთა

ნათქვამია — „კაი კაცობა მუდამ ფრთიანია, იგი ყველასთან სწრაფად მიდისო" — გამოჭრილი თარგივით ერგებოდა შოთა ვახტანგის ძე ნოზაძეს. ღალატსა და თვალთმაქცობისაგან ღრმად დისტანცირებულმა, მართალმა და თავაწეულმა იარა ამ წუთისოფელში, ცხოვრების 6 ათეული და ოდნავ მეტი წლები უხმაუროდ, დაუღალავად სიკეთის თესვაში გაევლო.

ჭარბად მიღებული სულიერი ტრავმების ფონზე, ოჯახის მოყვარულმა კაცმა ბევრი სითბო და სიყვარული მიმოაფრქვიე შენი უშუალო გარემოცვის ყველა — ყველა წევრს და ამიტომაც წარჩინებულად ატარებდი მზრუნველი მშობელი ბაბუის სახელს.



ქ ო რ ი ვ ი თ იყო ყველაზე გადაფოფრილი, ხოლო კეთილშობილება მისი მუდმივი თანამგზავრი იყო. მეგობრობაშიც ბადალი არ ყავდა. თანადგომა-ყურადღება, ხელის გაწვდის დაუოკებელი წყურვილი მისი წკრიალა სულის ძირითადი ქვაკუთხედის უცვეთი წახნაგი გახლდათ.

თავისი დარგის აღიარებული პროფესიონალი და ორგანიზატორი, კოლეგებში გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობდა, მეტროს მშენებლობაში გამობრძმედილი ყულევსა და „აქსისში" თვალწარმტაცად წარმოჩინდა. შედეგად სამსახურებრივი იერარქიის ტ რ ა პ ზ ე ყოველთვის მაღლა და ამაყად იდგა.

ყველგან და ყოველთვის ლხინში თავშეყრისას — იუმორშეზავებული ექსპრომტად ნატყორცნი სხარტულებით, საოცარ ლაღ და ხალისიან ატმოსფეროს ქმნიდი, მიუხედავად ამისა, უბრალოება და მოკრძალება შენს სავიზიტო ბარათად რჩებოდა. ამიტომაც შენი ხალასი ღიმილით საზოგადოების კერპი — „ლიუბიმჩიკი" იყავი.

განვლილი ცხოვრების წესითა და მდგომარეობით მოდიოდა ჟ ა მ ი გადასახედისა შენს მიერ ნაკეთებ საშურ საქმეებზე, რომელიც ერთი მომხიბვლელი მოზაიკის ასოციაციას იწვევს. ამის ნათელი მაგალითია შენს სანუკვარ კარმიდამოში უმოკლეს ვადებში შექმნილი მყუდრო ატმოსფერო, სიცოცხლის ბოლომდე ხომ იქაურობის გაკოხტავების დასრულებაზე ფიქრობდი.

დიახ დგებოდა ჟ ა მ ი, რათა შენი კეთილშობილებით შემოსილი მოუსვენარი ბუნება გადაგეყვანა ლამაზი გარემოცვისა და მათ ნაგრამთან ფუსფუსის, მოფერების სიბრტყეში და გესაზრდოვა ამით. წინაპრების პატივისცემისა და ტრადიციების „ყივილისადმი" კი შენეული დამოკიდებულებით გაგეღრმავებინა თაობებს შორის ურთიერთობების ჯაჭვური რეაქციის ფონის საფუძველი. სამწუხაროდ, ამის აქტიურ მეხოტბეს სრულად არ დაგცალდა ყოველივე. მუხანათმა სენმა შთანთქა შენი უშრეტი ენერგია.

შენი გუმანითა და ალღოთი, შენი გონიერება ყველაფერს კითხულობდა, ამას ერთ-ერთი დაუვიწყარი სვლა-გეზი — მამაპაპეულ გარემოში შენი დაბადების დღის აღნიშვნაც ადასტურებს; როგორი რუდუნებითა და გულმოდგინეთ გვაჩვენებდი, ყოველივეს ანგარიშს გვაბარებდი და თითქოს გვემშვიდობებოდი კიდეც. ასეც აღმოჩნდა.

აქ მეუღლის და შვილების როლი, მათ შვილებთან ერთად შეუფასებელია, ისინი ერთად იტვირთავენ შენი სურვილების ხორცშესხმას, ცხადია, მის სათუთად მოვლა-პატრონობაზე, ჩვენი, შენი მეგობრებისა და ახლობლების პასუხისმგებლობაც უდავოა.

ჩვენს სულმნათ ჯუბასთან ერთად თ ხ ე მ ი თ-ტ ე რ ფ ა მ დ ე ჯიშისა და ჯილაგის წარმომადგენელთა დამფასებლები და მოყვარულნი, თქვენი ფუძის სოფ. ფონის გამოკვეთილ და პირნათელ სახეებად გვევლინებოდით. ჩვენდა სავალალოდ ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. მწარე რეალობაა...

შენ 28 იანვრიდან ზეციური საქართველოს ბინადარი ხდები. გვჯერა შენი წილი მზის სხივითა და მთვარის შუქით გაგვათბობ და გზას გაგვინათებ ადამიანური ურთიერთობების იმ საამურ სივრცეში, სადაც სილაღისა და კაცთმოყვარეობის საოცარ ჩუქურთმებს ძერწავდი და შედეგად სულიერად გვამდიდრებდი. და ეს ჩვენი ცხოვრების ულევი საგზალია.

ქალაქელობა მძიმე ტვირთია, მისი მუხტი მადლიანმა და ოფლდაღვრილმა კაცმა ამ წუთისოფელში ღირსეულად ატარე. ამასობაში ჩვენი მეგობრობის წამმზომმა ოთხი ათეული წელი აღნუსხა, ამჯერად წამმზომი ხილული ცხოვრებიდან „გონების თვალით" დაუვიწყარი მოგონებების განზომილებაში გადადის.

ა ქ ვ ე,

ჩვენო გულუხვობის, სიტყვაგაუტეხლობისა და ერთგულების სიმბოლოვ, დიდი ტკივილითა და მოუშუშებელი ნაიარევით დ ა ვ ძ ე ნ თ:

„აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა".

საახლობლოსა და მეგობრების სახელით
თორნიკე ნოზაძე

# ბოლო გვერდი

● ქალაქ თბილისის მერმა გიგი უგულავამ გუშინ მუხიანის დასახლებაში, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობასთან ერთად, მუნიციპალური ავტობუსის ახალი მარშრუტი გახსნა.
როგორც თბილისის მერიიდან იტყობინებიან, №94 ავტობუსი მუხიანის III მიკრორაიონიდან უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმართულებით იმოძრავებს





## მილოცვა-ლექსპრომტი მუხრანის მოტივზე

**ანზორ ჯანელიძეს — შესანიშნავ ქართველს, ღირსეულ თბილისელს, სამაგალითო ოჯახის უფროსს, დაბადების 70 წლისთავის გამო**

*ნაწილ-ნაწილ, ნაწილ-ნაწილ კი არა,*
*გლოცავ დიდ კაცს — ერთიანად,მთლიანად,*
*სულ გაკრთობდეს ლამაზების ღიმილი,*
*თუმცა კვლავაც გაუფრთხილდი ლიანას!*

შენი ძმა —
**ვილენ მარდალეიშვილი**

### ⊙ კრიმინალი

## დაკავებულია ძებნილი

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ქუთაისის ტერიტორიულ სამსახურში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძებნილი, 1975 წელს დაბადებული მიხეილ ა. დააკავეს.**

როგორც სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან იტყობინებიან, მიხეილ ა.-მ ქუთაისის ტერიტორიულ სამსახურს პირადობის მოწმობის აღების მიზნით 23 იანვარს მიმართა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი წარადგინა. მას იმავე დღეს სურდა პირადობის მოწმობის მიღება.



სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამისამართო-საინფორმაციო ბიუროს მონაცემთა ბაზაში მონაცემების გადამოწმებისას გაირკვა, რომ მიხეილ ა. 2007 წლიდან იძებნებოდა.

ქუთაისის ტერიტორიულ სამსახურში რამდენიმე საათის შემდეგ პირადობის მოწმობის ასაღებად მიბრუნებული მიხეილ ა. შს სამინისტროს ქუთაისის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს.

**ინტერპრესნიუსი**

## მოსკოვში საქართველოს მოქალაქე მოკლეს

**ქალაქ მოსკოვის დასავლეთ ნაწილში მოკლულია საქართველოს მოქალაქე. წინასწარი ინფორმაციით, მკვლელობა ჯერჯერობით დაუდგენელმა პირმა ჩაიდინა. რუსეთის შს სამინისტროს მოსკოვის საქალაქო სამმართველოს ცნობით მკვლელობა ცეცხლსასროლი იარაღით მოხდა.**

გუშინწინ საღამოს მოჟაისკის გზატკეცილზე მცხოვრებლებმა ცეცხლსასროლი იარაღიდან ორი გასროლა გაიგონეს და მილიცია გამოიძახეს. ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს მამაკაცის გვამი, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღით ორი ჭრილობა გულმკერდის არეში ჰქონდა მიყენებული. უკვე დადგენილია, რომ მოკლული საქართველოს მოქალაქეა, რომელიც 1961 წელსაა დაბადებული. 2002 წლიდან იგი მოსკოვში ცხოვრობდა, — იუწყება რუსული მხარე.

მიმდინარეობს გამოძიება და მოსკოველი სამართალდამცავები თავდამსხმელს ეძებენ.

**ჯი-ეიჩ-ენი**


**რეკლამა**
**„საქართველოს რესპუბლიკაში“**
კოსტავას 12
98-65-87; 899 32-85-76.


### ⊙ ინფორმაცია

## გატეხეს ბათიაშვილის ცოლისძმის აგარაკი

**ირაკლი ბათიაშვილის მეუღლის მაია ბათიაშვილის ძმა ავჭალაში მდებარე მისი აგარაკის გატეხვის საეჭვო გარემოებებზე საუბრობს.**

როგორც თამაზ ფანჩულიძემ განაცხადა, აგარაკის გატეხვამდე ორი კვირით ადრე ძაღლი მოუკლეს.

საეჭვოდ კიდევ ის მიმაჩნია, რომ ბინიდან არაფერი არ იყო წაღებული. არეულ-დარეული დამხვდა ყველაფერი — უჯრები ამოქექილი და ლოგინი არეული, თუმცა, წაღებული არაფერი არ იყო. რაღაცას ეძებდნენ ალბათ, — განაცხადა ფანჩულიძემ.

როგორც მან აღნიშნა, ეჭვი აქვს, რომ იარაღს ეძებდნენ.

მე უშიშროების სტრუქტურაში ვმუშაობდი. პოლკოვნიკი ვარ და ალბათ ეგონათ, იარაღი მქონდა, — განაცხადა ფანჩულიძემ, რომელიც არ გამორიცხავს, რომ მასთან დაკავშირებით კომპრომატი, შესაძლოა, სამართალდამცავებს ირაკლი ბათიაშვილის საწინააღმდეგოდ სჭირდებოდეს.

შესაძლოა, მერე ამით ირაკლი დააშანტაჟონ. მე მინდა აღვნიშნო, რომ არანაირი იარაღი არ გამაჩნია. აგარაკი კარგად უნდა შევამოწმო, შესაძლოა, ხელყუმბარა, ავტომატი ან სხვა იარაღია ჩადებული, — განაცხადა ფანჩულიძემ.

მისივე თქმით, საეჭვო გარემოებაა ისიც, რომ ბინის გატეხვიდან რამდენიმე დღის შემდეგ მის სახლს პოლიციელები კითხულობდნენ.

იმ ტერიტორიაზე რამდენიმე აგარაკი გატყდა, საიდანაც წაიღეს სხვადასხვა ნივთები. ჩემი ბინის გატეხვა საეჭვოდ იმიტომ მიმაჩნია, რომ არაფერი არ წაუღიათ, — განაცხადა ფანჩულიძემ.

## ახალი ავტობუსები მუხიანში



**ქალაქ თბილისის მერმა გიგი უგულავამ გუშინ მუხიანის დასახლებაში, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობასთან ერთად, მუნიციპალური ავტობუსის ახალი მარშრუტი გახსნა.**

როგორც თბილისის მერიიდან იტყობინებიან, №94 ავტობუსი მუხიანის III მიკრორაიონიდან უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმართულებით იმოძრავებს.

აღნიშნულ ხაზზე მოქალაქეებს „ბოგდანის“ ტიპის 12 ავტობუსი 07:00 საათიდან 23:00 საათამდე მოემსახურება.

დღეისთვის დედაქალაქის მასშტაბით სულ 85 სამარშრუტო ხაზია და ყოველდღიურად მოსახლეობას 500—მდე მუნიციპალური ავტობუსი ემსახურება.

**ინტერპრესნიუსი**

### ⊙ ანეკდოტები

ერთი „ახალი ქართველი“ მეორეს:

— გუშინ ბიჭი ექსკურსიაზე მყავდა. არ მოეწონა, თქვა, რომ იქ მისი ფეხი აღარ იქნება.

— როგორ, მუზეუმში იყავით, თუ გამოფენაზე?

— არა, თბილისის მეტროში!



* * *

კაფეში ფინჯან ყავაზე ქალიშვილი დობილს იდეალური მეუღლის სურათს უხატავს.

— ვისაც მე ცოლად გავყვები, საზოგადოებაში უნდა ჩანდეს, უნდა იყოს მუსიკალური, მღეროდეს, ჰყვებოდეს ანეკდოტებს, ღამე კი სახლში იყოს.

მეზობელ მაგიდასთან მჯდომმა მამაკაცმა ვეღარ მოითმინა.

— ქალიშვილო! თქვენ რომ გინდათ ისეთი ტელევიზორია!

* * *

— ჩემი ცოლი ფეხმძიმედაა!

— რომელ თვეშია?

— იანვარში!

* * *

გუშინ დამესიზმრა, რომ ჩემი ცოლი ხმამაღლა ხვრინავდა. გამომეღვიძა — არავითარი მისი მსგავსი, მე ხომ უცოლო ვარ!

* * *

— რა აჩუქე ქმარს დაბადების დღეზე?

— ძალზე სასარგებლო კონსტრუქტორი — „ბოლოს და ბოლოს გააკეთე რამე!“

### ⊙ კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.